პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიური მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
თვე - მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- ჩინეთში გრძელდება საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრება
- გერმანიის კოოპერატიულ ორგანიზაციების არჩევნებში გაიმარჯვეს კომუნისტებმა
- იერუსალიმში ძლიერდება არაბების მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ
- შრომისა და თავდაცვის საბჭომ დამატებით 200.000 მან. გადასდო მესტია-ჯვარის გზის გასაყვანად
- საკავშირო უმაღლესმა ორგანოებმა დაამტკიცეს ბათომის ნავთსადენის გაყვანის ხარჯთ-აღრიცხვა

ხუთშაბათი, 31 ოქტომბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 252 (2598)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა ნოემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

საფრანგეთში გრძელდება მთავრობის კრიზისი

დალადიემ უარი განაცხადა მთავრობის შედგენაზე

აჯანყებულ ჩინელ კომუნისტების რაზმები შეიჭრნენ გუანდუნის პროვინციაში

იერუსალიმში ფართე ხასიათი მიიღო არაბთა მოძრაობამ ინგლისის იმპერიალისტების წინააღმდეგ

სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორი

(სასოფლო საბჭოების დებულების პროექტის გამო)

ჩვენს გაზეთში იბეჭდება სასოფლო-საბჭოების დებულების პროექტი, რომელიც დასმულია ადგილობრივი საბჭოთა ორგანიზაციების და მუშურ-გლეხურ საზოგადოებრიობის ფართე მასების მსჯელობის საგნად. ამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის პროცესში წამოყენებული შენიშვნები და წინადადებები მხედველობაში იქნება მიღებული ხსენებული დებულების საბოლოო დამტკიცების დროს. უკვე თავის თავად ის ფაქტი, რომ ეს დებულება მუშათა და გლეხთა მასების საჯარო დისკუსიის საკითხადაა გამოცხადებული და რომ მის განხილვაში ამ მასების ჩასაბმელად ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს,—უაღრესად დამახასიათებელია ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის. ასეთ რამეზე ოცნებაც კი არ შეიძლება კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელთა საგრძნობ ნაწილს (დანარჩენები მართვა-გამგეობის აშკარა ფაშისტურ მეთოდებს ატარებენ) ახლაც მოაქვს თავი თავისი ნაქები „დემოკრატიით": იქ ხომ ყოველი კანონი ნამდვილად ხალხის მასების მონაწილეობის გარეშე და **მათი ინტერესების წინააღმდეგ** მუშავდება და იცემა. ჩვენში კი კანონმდებლობა არა მარტო ემსახურება მშრომელთა ინტერესებს, არამედ თვითონ ისინი აქტიურად იღებენ მონაწილეობას კანონების გარჩევა-მიღებაში. ესაა საბჭოთა დემოკრატიის ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულება. ამ გზით მუშურ-გლეხური მასები აშკარავებენ თავიანთ ნებისყოფას, ანხორციელებენ თავიანთ მონაწილეობას ქვეყნის მმართველობაში, ერევიან სახელმწიფოებრივ საქმიანობას და ხელს უწყობენ ხელისუფლების ორგანოების იმ გვარად ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო შეეფერება ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს.

სასოფლო საბჭოს ახალი დებულება გამომდინარეობს სწორედ იმ ამოცანებიდან, რომლებიც ჩვენი ცხოვრების განვითარების ახლანდელმა საფეხურმა წამოაყენა. ჩვენ ფართოდ მოვკიდეთ ხელი კაპიტალისტური ნაშთების აღმოფხვრას სოფლად და გლეხურ მეურნეობათა სოციალისტურ გარდაქმნას. ცხადია, სასოფლო საბჭოს, ისე როგორც ყველა ჩვენი ორგანოს, მთელი მუშაობა ამ მიმართულებით უნდა გახალისდეს. მე-16 პარტკონფერენციამ ამ მხრივ გარკვეული დირექტივა მოგვცა. მის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია: „კულაკურ და სოფლის სხვა კაპიტალისტურ ელემენტების ექსპლოატაციისაგან გლეხობის ღარიბ და საშუალო მასების დაცვის საქმეში აღმასკომებისა და საბჭოების წარმატების საზომად უნდა გახდეს ის, თუ რამდენად წარმოადგენენ ისინი სასოფლო მეურნეობის განვითარების ხელმძღვანელობას, მსხვილ საზოგადოებრივ სასოფლო მეურნეობისა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობისადმი საწარმოო დახმარების ორგანიზატორებს", ამასთან შეფარდებით, საქართვ. ცაკის დებულების პროექტში სასოფლო საბჭოების შესახებ ვკითხულობთ: „სასოფლო საბჭოებს მიზნად აქვთ: ა) სოფლის კულტურული და სამეურნეო განვითარება და მოსახლეობის მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება; ბ) სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ხელმძღვანელობა და ამ მიზნით მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ორგანიზაცია; გ) ადგილობრივი მრეწველობის განვითარების უზრუნველყოფა; დ) სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ გლეხთა და გლეხ-ქალთა, მუშა და მუშა-ქალთა, მოჯამაგირეთა და მოჯამაგირე-ქალთა უფლებების დაცვა" და სხვ..

უდავოა, რომ სოფლად მომქმედი საბჭოები ძალზე ჩამორჩენ ცხოვრების განვითარების ტემპს. და ეს აიხსნება როგორც მათი მუშაკების სისუსტით, ისე საგრძნობლად იმითაც, რომ მათ საქმიანობას დღემდე არ ჰქონდა საკმაო მატერიალური ბაზა, აგრეთვე მათი უფლებებიც შეკვეცილი იყო. სოფლის საბჭოები მეტ წილად წარმოადგენენ ადმინისტრატიულ ერთეულებს, რომელთა მუშაობა მოწმობების გაცემით, საგადასახადო ობიექტების აღნუსხვით, ჯარში გასაწვევთა სიების შედგენით და სხვა ასეთი საქმეებით განისაზღვრება. მათი როლი სოფლის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში ჯერ კიდევ მცირეა. სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, კოლექტიური მეურნეობათა მშენებლობა, ღარიბ-საშუალო გლეხობის კოოპერაციული შეკავშირება, საწარმოო ძალთა გაშლა, ბრძოლა კულაკებსა და სხვა კაპიტალისტურ ელემენტებთან, ამ ამოცანების გარშემო გლეხთა მშრომელი მასების დარაზმვა, არ დგანან საბჭოების ყურადღების და მუშაობის ცენტრში ისე მკაფიოდ და მწვავედ, როგორც ამას მოითხოვს მთელი ჩვენი სინამდვილე. საბჭოები ამავე დროს ნაკლებ მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა პოლიტიკურ-სამეურნეო კამპანიებში (პურის დამზადება, ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელება და სხვ.). ამასთან, როგორც ვსთქვით, მათ არ მოეპოვებათ საჭირო რესურსები მოღვაწეობის გასაშლელად.

სასოფლო საბჭოების ახალი დებულება მიზნად ისახავს არსებითი გარდატეხის მოხდენას სახელმწიფოს ამ ძირეულ უჯრედების მუშაობაში. ისინი ნამდვილად უნდა იქცნენ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ხელმძღვანელებად და ორგანიზატორებად. ამისათვის ფართოვდება მათი სამოღვაწეო სფერო სამეურნეო-კულტურული მშენებლობის და ადმინისტრატიული ხაზით. ამავე დროს დიდდება სასოფლო საბჭოების საშემოსავლო წყაროები და მათი საბიუჯეტო უფლებები.

დებულება ფართე ასპარეზს აძლევს სასოფლო საბჭოებს შემოქმედებითი მუშაობის გასაშლელად, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, თავის თავად არ არის საკმარისი საბჭოების საქმიანობის გასაცხოველებლად და მათ მიერ სოფლად სოციალისტურ მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის. დებულება მხოლოდ ხელსაყრელ მატერიალურ და უფლებრივ საფუძვლებს ჰქმნის ამისათვის. მთავარია დებულებით მინიჭებულ უფლებების სწორად და ნაყოფიერად გამოყენება. ეს კი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, სასოფლო საბჭოების უნარიანობაზე და კლასობრივ სიმტკიცეზე, მეორე მხრით—პარტიულ და ზევით მდგომ საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობაზე.

სასოფლო საბჭოები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებენ წარმატებით მათ წინაშე მდგარ ახალ ამოცანებს, თუ ისინი პირველ ყოვლისა ფართედ გაშლიან მასიურ მუშაობას და თავიანთ გარშემო აქტიურად დარაზმავენ მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა საზოგადოებრიობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოებთან ღარიბთა ჯგუფების ორგანიზაციას და მათ მუშაობის გაცხოველებას, რაც დღემდე ბევრგან ვერ არის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებული. ღარიბთა ჯგუფების გავლენამ უნდა უზრუნველყოს მკაფიო კლასიური ხაზის გატარება საბჭოს მოღვაწეობაში. შემდეგ—უაღრესი ყურადღების ღირსია სექციები, მათი საშუალებით საბჭო მჭიდროთ უკავშირდება მშრომელ გლეხობას, რომელიც თავის მხრით ებმება მშენებლობაში. სექციური მუშაობა მასიური მუშაობის საუკეთესო ფორმაა. სექციებში უნდა იქნან მოზიდული არა მარტო საბჭოს წევრები, არამედ ღარიბ-საშუალო გლეხობის მთელი აქტივი და საბჭოთა ინტელიგენცია. სექციებში წინასწარ უნდა მუშავდებოდეს ყოველგვარი ღონისძიება, რომელსაც შემდეგ საბჭო განიხილავს და გაატარებს. სხვადასხვა სექციათა შორის თავისი მნიშვნელობით პირველი ადგილი უთუოდ უნდა დაიკავოს სასოფლო-სამეურნეო სექციამ, რომელიც ამუშავებს გლეხურ მეურნეობათა რეკონსტრუქციის ღონისძიებებს. ის უნდა მოეწყოს საწარმოო თათბირების მსგავსად. ამ სექციაში ჩაბმულ უნდა იქნას ღარიბ-საშუალო გლეხთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი. საბჭომ თავის სექციების მუშაობას სისტემატიური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს.

იმ რთულ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც სასოფლო საბჭოების წინაშე დგანან და რომელთაც დებულება ითვალისწინებს, იჩენება სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელ და ტეხნიკურ აპარატის საკითხი. სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებისათვის საჭიროა არა მარტო სათანადო კვალიფიკაციის მუშაკები, არამედ უფრო მეტად კლასიურად გამობრძმედილი ელემენტები. ჩვენ კი ვხედავთ, რომ აქა-იქ საბჭოთა მუშაკები კულაკების და საერთოდ კაპიტალისტურ ელემენტების გავლენის ქვეშ ვარდებიან, მათ ესისხლხორცებიან და ამრუდებენ პარტიის პოლიტიკას. ამავე დროს სოფლად საბჭოთა აპარატის თანამშრომლების კვალიფიკაციის დონეც დაბალია. საჭიროა ამ აპარატის საფუძვლიანი გადახალისება მის წმენდასთან დაკავშირებით, და იქიდან გამოუსადეგარ, გადაგვარებულ, მავნე ელემენტების შეუბრალებლად გაძევება. საბჭოების აპარატი უნდა შეივსოს დაწინაურებული მოჯამაგირე და ღარიბი გლეხებით და ქალაქიდან გაგზავნილ მუშებით. საერთოდ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო საბჭოების უზრუნველყოფას მუშაკთა კვალიფიციური და პოლიტიკურად მტკიცე კადრებით. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა სოციალისტური მშენებლობა სოფლად ფართოდ იშლება და როცა კლასობრივი ბრძოლა უაღრესად გამწვავებულია.

მხოლოდ ადამიანთა ჯეროვანი შერჩევით აპარატისათვის, საზოგადოებრივი მუშაობის გაჩაღებით და საბჭოს გარშემო მთელი მუშურ-გლეხური საზოგადოებრიობის შეკავშირებითაა შესაძლებელი ზემოხსენებული დებულების საფუძველზე სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დაჩქარება. ჩვენ აქ არ შევუდგებით თვით დებულების პროექტის დეტალურად განხილვას. საჭიროა ის გახდეს ადგილობრივი აღმასკომების, საბჭოების და მთელი მუშურ-გლეხური საზოგადოებრიობის გაცხოველებულ მსჯელობის საგნად, რაც მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანებს და მათ გარშემო მასების დარაზმვას. ეს ხელს შეუწყობს სათანადო ცვლილებების და შესწორებათა შეტანას პროექტში (თუ ასეთები საჭირო აღმოჩნდება) და მასების შეგნებისა და აქტივობის ზრდას.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 29 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „დალადიემ უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზე".

სოციალისტური პარტიის ც. კ.-ის პლენუმი

პარიზი, 29 ოქტომბერი. სოციალისტური პარტიის ც.-კ.-ის პლენუმმა დაადგინა—უარი განაცხადოს სოციალისტების მონაწილეობაზე დალადიეს კაბინეტში (ადს).

უთანხმოება სოციალისტურ პარტიაში

პარიზი, 29 ოქტომბერი. სოციალისტური პარტიის საბჭოს ორი დღის მღელვარე სხდომამ ცხადჰყო, თუ რა შორს წავიდა სოციალისტური პარტიის სოციალ-ფაშისტური გადაგვარების პროცესი.

დალადიეს მთავრობაში მონაწილეობის მომხრენი აღნიშნავდნენ, რომ არ შეიძლება ძალა-უფლების აღების ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება, რომ გერმანიასა და ინგლისში სოციალ-დემოკრატების ჩადგომამ ხელისუფლების სათავეში ვითომ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო და რომ, თუ სოციალისტური პარტია უარს იტყვის დალადიეს მთავრობაში მონაწილეობაზე, იგი თავს ვერ გაიმართლებს იმ წვრილი ვაჭრებისა და გლეხების წინაშე, რომელთაც სოციალ-დემოკრატები რწმუნებით აღჭურვეს.

რადიკალების მთავრობაში მონაწილეობის მოწინააღმდეგენი აღნიშნავდნენ, რომ მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობას აუცილებლად მოჰყვება კომპარტიის გავლენის ზრდა. ლონგემ განაცხადა, რომ კომპარტიას მუშათა კლასის მნიშვნელოვანი რაზმები მისდევენ, ამიტომ მთავრობაში შესვლა ნიშნავს „კომუნისტური პროპაგანდისათვის ხელის შეწყობას"-ო.

პოლფორმა განაცხადა, რომ სოციალისტური პარტიის ქვედაფენები უკვე გამოსთქვამენ უკმაყოფილებას პარტიის საპარლამენტო ფრაქციის იმ დადგენილებით, რომლითაც მან დალადიეს წინადადება მიიღო.

მთავრობაში მონაწილეობის მომხრენი მკაცრი ობსტრუქციით შეხვდნენ კენჭის ყრის შედეგებს, რომლის მიხედვითაც მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობა უარყოფილ იქნა. გაისმოდა ხმები პარტიიდან გამოსვლისა და გათიშვის აუცილებლობის შესახებ.

სხდომა საერთო არევ-დარევის პირობებში დაიხურა (ადს).

როგორი მთავრობა შესდგება?

პარიზი, 29 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, ბრიანმა დაარწმუნა დალადიე, რომ იგი ხელს შეუწყობს მას, თუ დალადიე გამართავს მოლაპარაკებას რესპუბლიკის მთლიანობის მთავრობის შესადგენად.

ამის შემდეგ **დალადიემ განაახლა მოლაპარაკება**, მაგრამ შემდეგ დალადიემ კვლავ უარი განაცხადა მთავრობის შედგენაზე. მისი სიტყვით, რესპუბლიკის მთლიანობის მთავრობა ნიშნავს ნაციონალური კონცენტრაციის მთავრობის შედგენას, რომლის წინააღმდეგაც რადიკალები ილაშქრებენ.

კომუნისტური რაზმების გამარჯვება

შანხაი, 29 ოქტომბერი. გაზეთების გადმოცემით, კომუნისტური რაზმები ჩუ-დეს მეთაურობით განაგრძობენ მოქმედებას. ამ რაზმების მეომართა რიცხვი 20.000 კაცს აღწევს. ჩუ-დეს რაზმები წარმატებით მიიწევენ გუანდუნის პროვინციის შიგნით. ისინი ეხლა ჩაოჯოუდან ერთი დღის სავალზე იმყოფებიან. ჩაოჯოუს გარნიზონს არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა მათთვის. ამის გამო ჩაოჯოუში სხვა რაიონებიდან იგზავნება დამხმარე ჯარი. (ადს)

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის გარშემო

ნანკინის საგარეო საქმეთა მინისტრის დეკლარაცია

შანხაი, 29 ოქტომბერი. ნანკინის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა დეკლარაცია ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტის შესახებ. დეკლარაცია იმეორებს ნანკინის ძველ ჭორებს რკინის გზის ხელში ჩაგდების მიზეზების შესახებ, ხოლო შემდეგ ეხება კონფლიქტის შეთანხმებით მოგვარების ცდებს. დასასრულ, დეკლარაციას მოჰყავს „თავდასხმის მრავალი აქტი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა ჩინეთის ტერიტორიაზე ჩაიდინა".

ნანკინის მთავრობა აცხადებს, რომ იგი საბჭოთა კავშირს სცნობს პასუხისმგებლად იმ ზიანისათვის, რომელიც ჩინელებმა განიცადეს, აგრეთვე მშვიდობიანობის მოსალოდნელი დარღვევისათვის შორეულ აღმოსავლეთში. (ადს).

„ნორტ ჩაინა დეილი ნიუს"-ის კომენტარიები

შანხაი, 29 ოქტომბერი. „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს"-ი ეხება ნანკინის მთავრობის დეკლარაციას და სწერს:

„ჩინეთის მტკიცება, რომ იგი მთელი ძალღონით სცდილობდა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას, არ არის დამაჯერებელი მას შემდეგ, რაც მან ხელთ იგდო აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზა და წურბელასავით სწუწნის მას. უდიდესი ღირებულების ქონება ახლა გავერანებულია. იჩმება საკითხი, დადგება თუ არა მომენტი, როცა მესამე სახელმწიფო კვლავ შეეცდება იკისროს შუამავლობა კონფლიქტის მოსაგვარებლად. (ადს).

განაგრძობენ საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრებას

შანხაი, 29 ოქტომბერი. ხარბინში კვლავ აპატიმრებენ საბჭოთა მოქალაქეებს. ამას წინად დააპატიმრეს 25 კაცი, რომელთაც აბრალებენ საბოტაჟსა და მკვლელობებს. დაპატიმრებულთა უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენენ. (ადს).

ნანკინელების თვალთმაქცობა

შანხაი, 29 ოქტომბერი. ნანკინისა და მუკდენის ჩინური წყაროების და აგრეთვე ნანკინისათვის მომუშავე უცხოელი ინფორმატორების უკანასკნელი ცნობები აშკარად ნაკარნახევ აზრს ავრცელებენ: ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის უიმედო მდგომარეობა შეიქმნა და ეს მდგომარეობა აუცილებლად ომს გამოიწვევსო.

ამ ნაკარნახევი ცნობების მიზანია: ჯერ ერთი, გაამართლონ ჩინეთის სამხედრო მზადება ციმბირის საზღვარზე და, უეჭველია, მომავალი ახალი თავდასხმანი საბჭოთა ტერიტორიაზე, მეორე— საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მიიქციონ დაწყებული სამოქალაქო ომისაგან და მიმართონ იგი ფინ- იუისიანის წინააღმდეგ, მესამე,— საქმეში ჩარიონ სახელმწიფოები ნანკინის დასახმარებლად.

მაგრამ ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ ნანკინის მთავრობა ამ პროპაგანდით მხოლოდ თავის „სახელს იცავს", რადგან კაპიტულაციას ამზადებს მოსკოვის წინაშე და ამიტომ ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, რომ იძულებულია იარაღი დაჰყაროს ვითომდა საბჭოთა კავშირის მუქარის გამო.

არაბთა მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ

გაფიცვები სკოლებში

ბერლინი, 29 ოქტომბერი. როგორც „ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტი იერუსალიმიდან იუწყება, **არაბთა მიერ მთელ პალესტინაში ჩატარებული გაფიცვა სკოლებზედაც გავრცელდა.** არაბმა მოწაფეებმა ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, შესწყვიტეს გაკვეთილებზე სიარული. ქალაქ ნეპლუსში პოლიცია ქუჩებში იჭერდა ბავშვებს და საპატიმროში მიჰყავდა. 80 ბავშვი ცემით დასაჯეს. გაფიცულმა მოწაფეებმა იერუსალიმში გამართეს დემონსტრაცია, რომელიც პოლიციამ და ინგლისის ჯარისკაცებმა გარეკეს. (ადს).

არაბების დასჯა

ლონდონი, 29 ოქტომბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იერუსალიმიდან იუწყება, 11 არაბს მიესაჯა თხუთმეტ - თხუთმეტი წლის პატიმრობა იძულებითი მუშაობით. ორ სხვა არაბს მიესაჯა შვიდ-შვიდი წლის პატიმრობა. ეს განაჩენები დაკავშირებულია პალესტინაში ამას წინად მომხდარ მღელვარებებთან. (ადს).

არაბთა კონგრესის აზრი

ლონდონი, 29 ოქტომბერი. არაბთა კონგრესმა იერუსალიმში დაადგინა — აცნობოს ინგლისის საგამომძიებლო კომისიას პალესტინაში, **რომ მშვიდობიანობა შეუძლებელია იმ დრომდე, სანამ არ გაუქმდება ბალფურის დეკლარაცია** (პალესტინაში ებრაელთა ეროვნული ცენტრის შექმნის შესახებ).

კონგრესმა დაადგინა აგრეთვე, უარი სთქვას გადასახადების შეტანაზე, თუ არაბები არ იქნებიან წარმოდგენილი იმ კომისიაში, რომელიც თვითმართველობის პროექტს ადგენს. ინგლისის კოლონიების მინისტრისადმი გაგზავნილ დეპეშაში კონგრესი აცხადებს, რომ არაბები უნდობლად უცქერიან ინგლისის უზენაეს კომისარს და აბრალებენ მას ებრაელთა მფარველობას. კონგრესის წევრებმა ფიცი დასდეს — ბოიკოტი გამოუცხადონ ებრაულ საქონელს. 2 ნოემბრისთვის დანიშნულია არაბთა ახალი საყოველთაო გაფიცვა. (ადს).

ჩეხო-სლოვაკია საპარლამენტო არჩევნების შემდეგ

პრაღა, 29 ოქტომბერი. ოფიციალური ცნობებით, ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის არჩევნებში სულ 7.386.000 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. ყოფილი მთავრობის კოალიციის პარტიებმა მიიღეს 3.545.000 ხმა, ოპოზიციონურმა პარტიებმა, კომუნისტებს გარდა —3.080.000 ხმა, კომუნისტებმა—758.000 ხმა. ამნაირად ბურჟუაზიული კოალიციის პარტიები უმცირესობას შეადგენენ. დეპუტატთა პალატაში კომუნისტები დაახლოებით 30 მანდატს მიიღებენ (ჰქონდათ 40), ხოლო სენატში—15 მანდატს (ჰქონდათ 20).

პრაღისა და მახლობელი რაიონების კომუნისტური ორგანიზაციის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ კომპარტია, როგორ არჩევნების შედეგებმა გვიჩვენეს, რჩება მასიურ პარტიად, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ მასების მდგომარეობას, არჩევნების შედეგები პარტიისათვის ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, რაც აიხსნება ოპორტუნიზმის ნაშთების არსებობით პარტიის რიგებში. რეზოლიუცია წინადადებას იძლევა—გაძლიერებულ იქნას ბრძოლა ლიკვიდატორებისა და შენარიგებლების წინააღმდეგ, დარაზმულ იქნან მუშათა მასები ფაშიზმისა და სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. (ადს).

პრაღა, 29 ოქტომბერი. ჩეხო-სლოვაკიის საპარლამენტო არჩევნების დღემდე გამორკვეული შედეგების მიხედვით, მთავრობის ძველი კოალიციის პარტიებმა მიიღეს 143 მანდატი (წინანდელი 158 მანდატის ნაცვლად, ხოლო ოპოზიციონურმა პარტიებმა—157 მანდატი. (ადს).

ინგლისის საქმიანი წრეების აზრი

საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 29 ოქტომბერი. საქმიანი წრეების 150 წარმომადგენლის კრებაზე „ცენტროსოიუზ"-ის წარმომადგენელმა **უაიზმა** გააკეთა მოხსენება ინგლის - საბჭოთა ვაჭრობის შესახებ. **მომხსენებელმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის წარმოების უდიდესი ზრდა უკანასკნელ წლებში, აგრეთვე საფრანგეთის და გერმანიის ექსპორტის ზრდა საბჭოთა კავშირში.** უაიზმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ სხვა სასოფლო-სამეურნეო ქვეყნების მსგავსად, საბჭოთა კავშირს, თავისი ბუნებრივი სიმდიდრის დასამუშავებლად, სჭირდება უცხოეთის კაპიტალი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მრეწველებმა არმსტრონგმა და მეტკაფმა, რომლებმაც აღიარეს, რომ **ინგლისმა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის საქმეში მრავალი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან** და ახლა უნდა აინაზღაუროს დაკარგული, მაგრამ უკვე ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მსოფლიო ბაზრის სხვა მეტოქეებთან ბრძოლის პირობებში. ყველა ორატორი აღნიშნავდა, რომ **საბჭოთა ორგანიზაციები, მეტად წესიერად ასრულებენ თავიანთ თავზე მიღებულ ვალდებულებებს.** (ადს)

პოლონეთის პრესის ანტისაბჭოთა კამპანია

ვარშავა, 29 ოქტომბერი. „კურიერ ჩერვონნი" განაგრძობს ანტი - საბჭოთა კამპანიას. იგი აღშფოთებულია იმის გამო, რომ საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ პროტესტი განაცხადა, გაზეთის „მხილებათა" წინააღმდეგ. თავდასხმის მორიგ ობიექტად „კურიერ ჩერვონნი"-მ აირჩია „იზვესტია"-ს ვარშაველი კორესპონდენტი, ბრატინი, რომელსაც იგი უწოდებს ანტიპოლონური კამპანიების ავტორს, ჩეკისტს და სხვ. (ადს).

ინგლისის თემთა პალატის სესია

ლონდონი, 29 ოქტომბერი. 29 ოქტომბერს გაიხსნა თემთა პალატის სესია. მრავალა შეკითხვის საპასუხოდ ტომასმა განაცხადა, რომ იგი მომავალ კვირას მთავრობის სახელით გააკეთებს ამომწურავ განცხადებას უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ.

ჰენდერსონს შეეკითხნენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ. მან განაცხადა: „3 ოქტომბერს დადებული ოქმით, იმ შემთხვევაში, თუ იგი დამტკიცა პარლამენტმა, განახლდება დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, აგრეთვე განახლდება მოლაპარაკება პრეტენზიების ლიკვიდაციის შესახებ. ამ ოქმს პარლამენტი მალე განიხილავს". (ადს).

ჭკუამოკლე სიცრუის დოკუმენტი

ნანკინის მთავრობამ კელოგის პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს მიმართა დეკლარაციით, რომელიც წარმოადგენს მხდალი და გზაკვალ აბნეული უძლურებისა და უსაზიზღრესი თვალთმაქცობის ნათელ ნიმუშს.

ნანკინის მმართველები სცდილობენ თავიანთი თავი გამოიყვანონ დაუცხრომელ მშვიდობისმოყვარეებად, რომლებიც უშედეგოდ ლამობენ „დაარწმუნონ საბჭოთა კავშირი, რათა მეგობრულად იქნას მოგვარებული კონფლიქტი", ის კონფლიქტი, რომელიც, როგორც ვიცით, წარმოიშვა უმაგალითო ყაჩაღური თავდასხმის გამო და რომელიც გაღრმავდა და დღემდე რთულდება საბჭოთა მოქალაქეების საშინელი დევნით, საბჭოთა ტერიტორიაზე თავდასხმებით, თეთრგვარდიელთა ბანდების მოწყობით და საბჭოთა მოქალაქეების ქონების გატაცებით (შორეულ-აღმოსავლეთის ბანკის სალიკვიდაციო კომისიის თანხების და ქონების გატაცება). თუ სულთმობრძავ ნანკინის მთავრობას, რომელიც ფაქტიურად მართავს მხოლოდ ორ-სამ პროვინციას, და რომელსაც მკაცრად უტევენ მრავალრიცხოვანი შინაური მტრები, უკანასკნელ დროს დააკლდა ყოყოჩობა და მედიდურობა, სამაგიეროდ საკმაოდ შერჩა თავხედობა და უსირცხვილობა, ჩინელი გენერლების ეს განუშორებელი თვისება. მისი უკანასკნელი დეკლარაცია ნათლად ამტკიცებს ამას. მას შემდეგ, რაც მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა ის ფაქტები, რომლებიც აღნიშნული იყო გერმანიის მთავრობის საშუალებით წარმოებულ ოფიციალურ მიმოწერაში და რომლებიც თავის დროზე გამოვაქვეყნეთ, ნანკინის მთავრობა ბედავს წამოაყენოს მოლაპარაკების თავისი ვერსია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან და რომელიც მოწმობს მისი შემთხზველის არაჩვეულებრივ უმეცრებას და უბადრუკობას.

როგორც ყველასათვის ცნობილია, ცაის დამლევს, მუკდენის ხელისუფლების, კერძოდ, გირინის გენერალ-გუბერნატორის ჩან ძო-სიანის თხოვნით, საბჭოთა მთავრობამ თავის ყოფილ კონსულს ხარბინში მელნიკოვს ნება დართო შეხვედროდა ხარბინის დიპლომატიურ კომისარს ცაის, რომელმაც მუკდენის სახელით წამოაყენა სხვადასხვა წინადადება. ამ წინადადებებმა შექმნეს შესაძლებლობა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისათვის. მაგრამ ნანკინის ზეგავლენით მუკდენმა უკან წაიღო თავისი წინადადებანი, რის გამოც მოლაპარაკება ჩაიშალა. ნანკინმა მანჯურიის სადგურზე გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ჩუ-შაო-იანი, რომლის ერთადერთ მიზანს შეადგენდა ცაის გაწვევა უკან და შეთანხმების შესაძლებლობის ჩაშლა. საბჭოთა მთავრობა, ცხადია, ვერ გამართავდა მოლაპარაკებას ნანკინის წარმომადგენელთან, რადგან იგი უარს ამბობდა მიეღო ის მინიმალური წინადადებანი, რომლებიც მუკდენმა წამოაყენა ცოტა უფრო ადრე, და სცდილობდა მოლაპარაკება დაეწყო ჩვენთან იმ მდგომარეობის ფაქტიური ცნობის ნიადაგზე, რომელიც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მტაცებლური აქტის შემდეგ შეიქმნა.

ნანკინი მაშინვე ფართოდ ავრცელებდა ცრუ ხმებს იმის შესახებ, თითქოს ბერლინში დაიწყო მოლაპარაკება კრესტინსკისა და ჩინეთის ელჩის ჩან-ძო-პინს შორის. ეს ხმები გადაჭრით და მრავალჯერ უარვყავით ჩვენ. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს 28 აგვისტოს ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ეს ხმები, რომლებსაც დაინტერესებული წყაროები ავრცელებენ, ყოვლად უსაფუძვლოა და რომ ჩან-ძო-პინი მართლაც შეეცადა შეხვედროდა კრესტინსკის, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ მოისურვა.

28 აგვისტოს გერმანიის მოსკოველმა ელჩმა ლიტვინოვს გადასცა ნანკინის მთავრობის წინადადება ხელი მოეწერა ნანკინის მთავრობის მიერ შემუშავებული საერთო დეკლარაციის პროექტზე. საბჭოთა მთავრობამ, რომელიც მშვიდობიანობის უცვლელი პოლიტიკის ერთგულია, მიიღო ნანკინის მთავრობის წინადადება და დეკლარაციის პროექტში შეიტანა მხოლოდ აუცილებელი მინიმალური შესწორებანი და განმარტებანი, რომელთა მიღებაც საბჭოთა მთავრობას კონფლიქტის დასაწყისშივე მიაჩნდა კონფერენციის მუშაობის ელემენტარულ წინასწარ პირობად. მაგრამ ნანკინის მთავრობამ, რომელიც სერიოზულად არ ფიქრობდა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაზე და კვლავ სცდილობდა მოლაპარაკების ილიუზიის შექმნას ჩინეთის მშრომელი მასების დასამშვიდებლად და მოსატყუებლად, არ მიიღო ეს შესწორებანი და უარი განაცხადა თავის საკუთარ წინადადებებზედაც კი. საბჭოთა მთავრობას მხოლოდ ისღა დარჩა, რომ თავის პასუხში 17 ოქტომბრის თარიღით აღენიშნა: „რადგან ნანკინის მთავრობამ უარჰყო მოლაპარაკების წარმოების დეკლარაციაზე ხელისმოწერისათვის საჭირო ძირითადი პირობები, მოლაპარაკების ადგილის საკითხი უნაყოფო ხდება და პასუხისმგებლობა კონფლიქტის შემდგომი განვითარებისათვის სავსებით ნანკინის მთავრობას ეკისრება".

ამ მომენტიდან დაწყებული საბჭოთა მთავრობას არ უწარმოებია არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი მოლაპარაკება ნანკინთან, რომელმაც დაასამარა მოლაპარაკების შესაძლებლობა, გაორკეცებული ენერგიით განაგრძო კონფლიქტის შემდგომი გამწვავება მუკდენის მილიტარისტების საშუალებით და საბოლოოდ მოიმწყვდია თავი ჩიხში.

ყველასათვის ფართოდ ცნობილმა ამ ფაქტებმა არ შეუშალეს ხელი ნანკინის მთავრობას წამოეყენებია მოლაპარაკების საშინლად დამახინჯებული ვერსია, რომელიც უსირცხვილოდ ამახინჯებს ყოველ ფაქტს.

პირველი. ნანკინი ამტკიცებს, რომ მოლაპარაკება მანჯურიაში წარმოიშვა საბჭოთა მთავრობის თხოვნით, რომელმაც ვითომ ჩაშალა ეს მოლაპარაკება.

მეორე. იმ დროს, როდესაც არსებობს დოკუმენტალური გამოქვეყნებული ცნობები, ნანკინის მთავრობა ბედავს განაცხადოს, რომ საერთო დეკლარაციის პროექტი „ორივე მხარეს" წარუდგინა გერმანიის მთავრობამ, რომელიც ეს პროექტი წინასწარ შეათანხმა საბჭოთა მთავრობასთან და ნანკინთან.

მესამე. ნანკინი კვლავ იმეორებს იმ სიყალბეს, რომელიც მან ჩაიდინა ნანკინის მთავრობის წინადადებაზე ჩვენ მიერ გაცემული პასუხის დამახინჯებით, რაც მაშინვე გამოვააშკარავეთ; ნანკინი ამტკიცებს, რომ ჩვენ მოვითხოვდით სიტყვა „დაუყოვნებლივ" ჩამატებულიყო სიტყვის „ურჩევს" შემდეგ, მაშინ, როდესაც ნამდვილად მოვითხოვდით აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველობის დაუყოვნებლივ დანიშვნას.

მეოთხე. ყველაზე საინტერესო და საგულისხმოა შემდეგი: ნანკინი, ემყარება რა გერმანიის მთავრობას, სცდილობს დაამტკიცოს, რომ ჩვენი, 17 სექტემბრის პასუხის შემდეგაც გრძელდებოდა მოლაპარაკება, ამასთან გერმანია წარმოადგენდა „მესამე მხარეს", რომლის საშუალებითაც სწარმოებდა ეს მოლაპარაკება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა მთავრობამ არაერთხელ უარჰყო მოჭორილი ამბები ამ მოლაპარაკების შესახებ.

მეხუთე. ნანკინი აცხადებს, რომ ნანკინის მთავრობამ ისარგებლა გერმანიის 9 ოქტომბრის წინადადებით ორივე მხრის პატიმართა განთავისუფლების შესახებ და კვლავ განაცხადა, რომ მას სურს ხელი მოაწეროს დეკლარაციას, რომელიც, როგორც ცნობილია, შეიცავს პუნქტს პატიმართა განთავისუფლების შესახებ. ვაცხადებთ, რომ ნანკინს თუნდაც წარმოედგინა ასეთი წინადადება, მას აუცილებლად უარვყოფდით, რადგან დეკლარაციის ამ პროექტის მიღება შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება ამ პირობებში შესატანი ჩვენი შესწორებანი. მაგრამ ყველაზე საინტერესოა ის, რომ ასეთი წინადადება არავისათვის არ არის ცნობილი.

ასეთია ნანკინის პოლიტიკანების მორიგ სიყალბეთა მოკლე ნუსხა. ყოველივე ეს საკმაოდ ნათლად ამტკიცებს, რომ სავსებით სწორია თავის დროზე გამოქვეყნებული მიმოწერა ნანკინთან, რომლის ზრახვები და არაკეთილსინდისიერება მაშინაც სავსებით ნათელი იყო ჩვენთვის.

ნანკინის უბადრუკი ზღაპრები იმის შესახებ, თითქოს ადგილი ჰქონდა საბჭოთა თავდასხმებს, ვერავის შეიყვანს შეცდომაში. ჩვენ ძალიან დიდი მოთმინება („ანგელოზის მოთმინება", როგორც ამბობს „ფრანკფურტერ ცეიტუნგ"-ის კორესპონდენტი) გამოვიჩინეთ ანტისაბჭოთა პროვოკაციული გამოსვლების საპასუხოდ, და გვაქვს სრული საფუძველი იმედი ვიქონიოთ, რომ მტრული აქტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კიდევ უფრო მტკიცედ იქნებიან უკუგდებულნი. ნანკინის მთავრობის არაჩვეულებრივად უსირცხვილო დოკუმენტი დანიშნულია, პირველ რიგში, შინაურებისთვის. ჩინეთის არა მარტო მშრომელი მასები, რომლებიც მეტად მტრულად არიან განწყობილნი ჩან-კაი-შის ტერორისტული რეჟიმის მიმართ, არამედ ჩინეთის ბურჟუაზიის დიდი უმრავლესობაც მოითხოვს ამ კონფლიქტის ლიკვიდაციას, რომელიც ავანტიურისტებმა გამოიწვიეს და რომელიც უდიდეს საფრთხეს უმზადებს ჩინეთის ინტერესებს. ნანკინი, რომელიც მოქმედებს საბჭოთა კავშირის და ჩინეთისადმი მტრულად განწყობილი ძალების გავლენით, ვერ ჰბედავს აღიაროს თავისი პროვოკაცია, რომლის მიზანსაც სამხედრო გართულება შეადგენს. ამიტომ იგი ხელულობს თავისი თავი დასახოს მშვიდობისმოყვარედ, რომლის ყველა ცდას ამსხვრევს საბჭოთა კავშირის „აგრესიულობა".

ნანკინელი „მშვიდობისმოყვარენი" სცდილობენ ეს არ არსებული აგრესიულობა დაუკავშირონ ნანკინის წინააღმდეგ მრავალი გენერლების გამოსვლას, რომლებსაც ნანკინი სახავს მოსკოვის მიერ დაქირავებულ აგენტებად. დიდი ხანი არ არის, რაც ნანკინი ავრცელებდა მეტად სულელურ ჭორს იმ მილიონების შესახებ, რომლებიც ვითომ საბჭოთა კავშირმა გადაგზავნა ნანკინის წინააღმდეგ გამოსული გენერლების დასახმარებლად, ამასთან მას ჩვენ აგენტებად გამოჰყავს გუანსიელებიც კი, აღარას ვამბობთ ფინ-იუი-სიანზე და რეორგანიზაციონისტებზე. ამ უმწეო მანევრით, ნანკინი კიდევ უფრო სცდილობს გავლენა მოახდინოს მუკდენზე, სადაც, არსებული ცნობებით, უფრო და უფრო იზრდება უკმაყოფილება ნანკინის პოლიტიკით და უფრო და უფრო ძლიერდება კონფლიქტის მოგვარების სურვილი საბჭოთა კავშირთან უშუალო მოლაპარაკების გზით.

მუკდენის წრეები/ ნანკინს პირდაპირ აბრალებენ კონფლიქტის გაჭიანურებას, რომელიც უფრო და უფრო აუტანელი ხდება მუკდენელი გენერლებისათვის. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა გაოხრებულია, იგი მის ხელში ჩამდებთ შემოსავალს არ აძლევს. არმიის შენახვა საზღვარზე ძალას აცლის მუკდენის ხაზინას, რომელიც ამავე დროს ზარალობს მანჯურიაში შექმნილი ეკონომიური კრიზისით. მომავალი ზამთრის სიცივე მუკდენის არმიას, რომელსაც ჰხრწნის დეზერტირობა, უფრო მეტ გაჭირვებას უმზადებს. თეთრგვარდიელთა გამოყენების ცდამ გამოიწვია ჩვენი ჯარის საპასუხო მოქმედება, რომელიც დიდხანს დაახსომდებათ მუკდენელებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის, რომ ყოველმხრიდან ცნობები მოდის—მუკდენი უფრო და უფრო მეტად ცდილობს უშუალო მოლაპარაკებას ჩვენთან. ნანკინი ცდილობს გაამართლოს მუკდენის წინაშე თავისი უნაყოფო ორმაგი თამაში და ამ მიზნით ცრუ საბუთებს არა ზოგავს ვითომდა საბჭოთა აგრესივობის ზრდის დასამტკიცებლად.

მაგრამ ეს დეკლარაცია დანიშნულია არა მარტო შინაურებისათვის, იგი მოასწავებს ნანკინის ახალ ცდას— მიმართოს სახელმწიფოებს იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს საერთაშორისო ჩარევა.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ ნანკინი უმჯობესად ჩასთვლიდა უცხო სახელმწიფოთა ყოველგვარ ჩარევას, ვიდრე მუკდენის უშუალო მოლაპარაკებას საბჭოთა მთავრობასთან.

სახელმწიფოების ჩარევის ამ ახალ ცდას ისეთივე შედეგები მოჰყვება, როგორც ყველა სხვა უნაყოფო ცდას ახლო წარსულში. იგი მხოლოდ ზედმეტად გამოამჟღავნებს ნანკინის ნამდვილ გეგმებსა და ზრახვებს. საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები წინანდებურად არიან გამსჭვალულნი მტკიცე გადაწყვეტილებით— დაიცვან თავიანთი ინტერესები. მათის ღრმა რწმენით, საბჭოთა მთავრობის მტკიცე და გაბედული პოლიტიკა, რომელიც უცვლელი რჩება მთელი კონფლიქტის განმავლობაში, საიმედო გარანტიას წარმოადგენს, რომ საბჭოთა კავშირის ინტერესები მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი.

„პრავდა", 30 ოქტომბერი.

ლენინის დოკუმენტები

მოსკოვი, 30 ოქტ. ლენინის ინსტიტუტმა გადასწყვიტა ოქტომბრის 12 წლის თავზე გამოაქვეყნოს ლენინის რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც დღემდე უცნობი იყო. ერთი დოკუმენტი დაიბეჭდება „პრავდა"-ს ოქტომბრის ნომერში, მეორე — „იზვესტია"-ში. ლენინის ერთი გამოუქვეყნებელი წერილი გადაიცემა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს საშუალებით (ადს).

მხარს უჭერენ კომინტერნის აღმასკომის ხაზს

სტოკჰოლმი, 29 ოქტომბერი. შვეციის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში — „სტორმლოკან"-ში გამოქვეყნებულია კომინტერნის აღმასკომის დადგენილება, რომელიც ადასტურებს ჩილბუმისა და სხვა ოპორტუნისტების პარტიიდან გამორიცხვას.

ნიურუნდეში კომპარტიის ორგანიზაციამ 114 ხმით 89 ხმის წინააღმდეგ დაჰგმო მემარჯვენე ოპორტუნისტები. ასეთივე რეზოლიუცია მიიღო ბლეკენგის საოლქო კონფერენციამ.

უცხოელ მუშების სამზადისი ოქტომბრის ზეიმისათვის

ლონდონი, 29 ოქტომბერი. მუშათა დელეგაცია, რომელიც საკავშირო პროფსაბჭოს მიწვევით მიემგზავრება საბჭოთა კავშირში ოქტომბრის დღესასწაულზე დასასწრებლად, შესდგება 35 კაცისაგან. გარდა ამისა, 7 დელეგატი მიემგზავრება ირლანდიიდან. ინგლისის, ირლანდიის და საფრანგეთის დელეგაციები ლონდონიდან გაემგზავრებიან 30 ოქტომბერს საბჭოთა გემით „რუძუტაკ"-ით. (ადს).

პარიზი, 29 ოქტომბერი. თავდება მზადება საფრანგეთის მუშათა დელეგაციების გასაგზავნად საბჭოთა კავშირში ოქტომბრის მე-12 წლის თავზე. სამგზავრო თანხა საწარმოებში დიდის წარმატებით გროვდება. (ადს).

გერმანიის მშრომელთა დემონსტრაციები

ბერლინი, 29 ოქტომბერი. კვირის დემონსტრაციების დროს ესენში პოლიციამ სასტიკ ზომებს მიმართა იმათ წინააღმდეგ, ვისი ტანისამოსიც წითელფრონტელთა კავშირის ფორმის მსგავსი იყო. დააპატიმრეს მრავალი. პოლიციის ღონისძიებათა მიუხედავად, **რესპუბლიკის მოედანზე გაიმართა მრავალი ათასი კაცის დემონსტრაცია.**

დიდი დემონსტრაცია გაიმართა აგრეთვე კელნში, სადაც დემონსტრაციის 300-დე მონაწილე წითელ-ფრონტელთა ფორმაში იყო გამოწყობილი. პოლიციამ დააპატიმრა დემონსტრაციის 26 მონაწილე (ადს).

ტიურინგიის მშრომელთა მიტინგები

ბერლინი, 29 ოქტომბერი. **გოტში გაიმართა ტიურინგიის მშრომელთა კონგრესი**, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო საწარმოთა, პროფკავშირთა, სასოფლო-სამეურნეო მუშათა და ღარიბ გლეხთა 327 დელეგატმა. ორატორები მოითხოვდნენ გადამჭრელ ბრძოლას ფაშიზმისა და სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ.

კონგრესი აღფრთოვანებით შეეგება მოსკოველი მქსოველი ქალის ავდეევას გამოსვლას. ავდეევა გოტში ღამის 3 საათზე ჩავიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას სადგურზე რამდენიმე ათასი მუშა ქალი და კაცი შეეგება „ინტერნაციონალის" სიმღერით.

კონგრესმა ერთხმად დაადგინა გაუგზავნოს მისალმება საბჭოთა კავშირს და წითელ არმიას (ადს).

ანტიფაშისტური მანიფესტაცია

ბერლინი, 29 ოქტომბერი. ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ ორგანიზაციათა გაერთიანებამ ბერლინის მუშურ რაიონში, პრენცლაუერბერგში, მოაწყო მასიური მანიფესტაცია. **ნეიმანმა სალამი მიუძღვნა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის ორმილიონიან არმიას, რასაც მსმენელნი აღფრთოვანებით შეეგებნენ** (ადს).

მოხსენება სოციალისტური მშენებლობის შესახებ

ბერლინი, 29 ოქტომბერი. ბერლინში მოხდა მუშა-პოლონელთა კრება, რომელზედაც პოლონელ მუშათა დელეგაციამ, რომელიც ამასწინად საბჭოთა კავშირს ეწვია, გააკეთა მოხსენება თავისი მოგზაურობის შესახებ. **დელეგატებმა აღნიშნეს საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის მიღწევები და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის უდიდესი ზრდა. დელეგაციის ანგარიშს მხურვალე ტაშით შეხვდნენ** (ადს).

რევოლიუციონური შეჯიბრება

ბერლინი, 29 ოქტომბერი. გერმანიის კომპარტიის ბრანდენბურგის საოლქო კომიტეტმა საფრანგეთის კომპარტიის პარიზის საოლქო კომიტეტს წინადადება მისცა მოაწყოს რევოლიუციონური შეჯიბრება. **შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ბერლინის და პარიზის 20 ორგანიზაცია.** ბერლინის ორგანიზაციები უკვე იწყებენ ფულის შეგროვებას „ლუმანიტე"-ს ფონდისათვის. (ადს).

თურქული პრესა საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის შესახებ

სტამბოლი, 29 ოქტომბერი. სტამბოლის გაზეთი „აქშამ"-ი ეხება საბჭოთა კავშირის საწარმოების განუწყვეტელ კვირაზე გადასვლას და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. გაზეთი აღნიშნავს, რომ მსოფლიო მნიშვნელობა აქვს იმ ცდას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახდენს.

„საბჭოთა კავშირი,—სწერს გაზეთი, —მთელი ძალ-ღონით სცდილობს განახორციელოს არაჩვეულებრივად ბუმბერაზული საქმეები, რომელთა შედეგებზედაც დამოკიდებულია მისი მომავალი". (ადს).

კომუნისტების გამარჯვება

ბერლინი, 29 ოქტომბერი. ჰალეს სამომხმარებლო კოოპერატივის რწმუნებულთა არჩევნებში **კომპარტიის სიამ მიიღო 4.400 ხმა,** სოციალ - დემოკრატების სიამ კი — **მხოლოდ 1.200 ხმა, არჩეულ იქნა 141 კომუნისტი და** 40 სოციალ - დემოკრატი. (ადს).

ფაშისტების განცხადება

ვენა, 29 ოქტომბერი. ვენაში, გმირთა მოედანზე, გაიმართა ხეიმვერის კრება, რომელიც მოწვეულ იქნა დროშის საკურთხებლად. ხეიმვერის ბელადმა წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა, რომ ხეიმვერი არ მიიღებს არავითარ კომპრომისს და, რომ **სოციალ-დემოკრატებს ქედს მოხრა მოუხდებათ.**

წყნარ ოკეანეს ურთიერთობათა ინსტიტუტის კონფერენცია

კიოტო, 29 ოქტომბერი. წყნარ - ოკეანეს ურთიერთობათა ინსტიტუტის კონფერენციის პირველ პლენარულ სხდომაზე ყველა დელეგაცია დეკლარაციით გამოვიდა. სხვათა შორის, ჩინეთის დელეგაციის თავმჯდომარემ მკაცრად გააკრიტიკა იაპონელთა მოქმედება ძინანში 1928 წელს.

კანადის დელეგაციის თავმჯდომარე მიესალმა კანადისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის აღდგენას, რომელიც ახლო მომავალში მოხდება.

ამერიკის დელეგაციის დეკლარაციაში ნათქვამია, რომ წყნარ - ოკეანეს პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე. **დეკლარაცია ეხება ამერიკა - საბჭოთა ურთიერთობის საკითხს და აღნიშნავს ამერიკა - საბჭოთა ვაჭრობის ზრდას.**

იაპონიის დელეგაციის თავმჯდომარემ **აღიარა ის შეცდომები, რომლებიც იაპონიამ ჩაიდინა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მიმართ, განსაკუთრებით იაპონიის წინანდელ კაბინეტების დროს,** ამასთან აღნიშნა, რომ ყოველგვარი ცვლილება კანონიერების ფარგლებში უნდა მოხდეს. (ადს).

კომუნისტების პროცესი

ვენა, 29 ოქტომბერი. **ბუდაპეშტის სასამართლოში დაიწყო კომუნისტების ახალი დიდი პროცესი.** ბრალდებულთ, მოსამსახურეს შილინგერსა და 97 ამხანაგს აბრალებენ „არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების დანგრევის ცდას და არალეგალურ კომუნისტურ აგიტაციას". (ადს)

პოლიტპატიმართა შიმშილობა

ვენა, 29 ოქტომბერი. მარცხით დამთავრდა უნგრეთის მთავრობის ცდა — შეცდომაში შეეყვანა საზოგადოებრივი აზრი ცალმხრივი ინფორმაციის მიწოდებით იმის შესახებ, რომ ვითომ პოლიტიკურმა პატიმრებმა ნაწილობრივ შესწყვიტეს შიმშილობა.

ლიბერალების გაზეთი **„პეშტი ნაპლო"** აღიარებს, რომ **შიმშილობა გრძელდება.** ბუდაპეშტის საოლქო საპყრობილეში პატიმრები ბარიკადებით ჩაიკეტნენ საკნებში, რათა თავი იხსნან ხელოვნური კვების საშინელებისაგან. მცველები ძალით იჭრებოდნენ საკნებში. პოლიტპატიმრები დასაჯეს ერთი კვირით ბნელ კარცერში ჩაგდებით და მით, რომ სამი თვის განმავლობაში აუკრძალეს მიწერ - მოწერა, მომსვლელთა ნახვა, და წიგნების მიღება. ციხის მმართველობა იმუქრება ახალი რეპრესიებით. (ადს).

ახალი საქმე

ტორესის წინააღმდეგ

პარიზი, 29 ოქტომბერი. პროკურატურამ ახალი საქმე აღძრა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრის — **ტორესის** წინააღმდეგ, რომელიც ანტი - მილიტარისტული წერილების მოთავსებისათვის ამჟამად ნანსის საპატიმროში იხდის სასჯელს. საგამომძიებლო ხელისუფლებამ მას წაუყენა ბრალდება „სახელმწიფოს საშინაო და საგარეო უშიშროების საწინააღმდეგო მოქმედებაში".

კომკავშირის დევნა

სტოკჰოლმი, 29 ოქტომბერი, გეტებორგში სასამართლომ ჯარისკაცებსა და მატროსებს შორის ანტიმილიტარისტული პროკლამაციების გავრცელებისათვის ორი თვის პატიმრობა მიუსაჯა შვეციის კომკავშირის ც.-კ.-ის მდივანს ლაგერს (ადს).

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ჩვენი გაზეთები მუშა-მკითხველთა კრიტიკის ქარცეცხლში

ლენრაიონის მუშა-მკითხველთა კონფერენცია

კონფერენციამ აირჩია საქმიანი პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიოდა ლენრაიონის ყველა საწარმოო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

29 ოქტომბერს პლეხანოვის სახელობის კლუბში შემდგარი „კომუნისტი"-ს და „მუშა"-ს მკითხველთა კონფერენცია უთუოდ საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს ჩვენი პრესის განვითარების საქმეში. ჩვენი გაზეთები თბილისში პირველად გამოვიდნენ მუშა მკითხველთა მასიურ კრებებზე მოხსენებით თავიანთ მუშაობის შესახებ. პრესასა და ფართო მკითხველ მასებს შორის ცოცხალი კავშირის განმტკიცებისათვის მუშა-მკითხველთა კონფერენციების მოწვევა ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. საბჭოთა გაზეთი, რომელიც სოციალისტური მშენებლობის კოლექტიური ორგანიზატორია, ვერ იარსებებს მშრომელ მასებთან მჭიდრო კავშირის გარეშე. ქართული საბჭოთა პრესის გარშემო დარაზმულ მუშ-გლეხკორთა მასების სწრაფი ზრდა, ჩვენი გაზეთების ტირაჟის ჩქარი ნაბიჯით განვითარება და სხვ. საუკეთესოდ მოწმობს, რომ პრესა გამოხატავს მასების სულისკვეთებას და ქალაქისა და სოფლის მშრომელ მოსახლეობის მისწრაფებებს. მაგრამ აშკარად უნდა ითქვას, რომ ჩვენი განვითარების მიმდინარე პერიოდში, როცა ასეთი სიმწვავით სდგას მთელი სახალხო მეურნეობის და კულტურული მშენებლობის რეკონსტრუქციის ამოცანები, ის მიღწევები, რომელნიც პრესას აქვს მასებთან კავშირის დარგში, ველარ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. საჭიროა ენერგიული მუშაობა იმისათვის, რომ მდგომარეობა ამ მხრივაც საფუძვლიანად შეიცვალოს. საჭიროა გამოძებნილ იქნეს გაზეთისა და მშრომელი მასების კავშირის ახალი ფორმები და მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ის გამოცდილება, რომელიც ამ დარგში უკვე აქვს საბჭოთა პრესას.

„კომუნისტი"-ს და „მუშა"-ს მკითხველთა 29 ოქტომბრის კონფერენციამ ცხადჰყო, რომ მასებისა და პრესის კავშირის ეს უკვე არაერთხელ ნაცადი და ცხოვრებისაგან გამართლებული ფორმა, რაც შეიძლება ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ჩვენი გაზეთების მიერ. პირველყოვლისა აღსანიშნავია, რომ გაზეთების მოხსენებებმა მიიზიდა მუშა-მკითხველთა დიდი რაოდენობა და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ეს ის, რომ დამსწრეებმა უცხოველესი საქმიანი წინადადებები შემოიტანეს საგაზეთო მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ეს მოწმობს, რომ მუშა-მკითხველი უკვე კრიტიკულად უდგება პრესას, ის იმდენად გაიზარდა, რომ ბევრ შემთხვევაში არა მარტო შესწევს ძალა გამოიყენოს გაზეთი, როგორც გათვითცნობიერების ძლიერი საშუალება, არამედ შეუძლია შესწორებებიც შეიტანოს საგაზეთო მუშაობაში.

29 ოქტომბრის მუშა-მკითხველთა კონფერენციის მიერ მოცემული მასალა ამ მხრივ მეტად საგულისხმოა.

როგორც უკვე აღვნიშნავდით გაზეთის გუშინდელ ნომერში, გაზეთ „კომუნისტი"-ს სახელით მოხსენება გააკეთა ამავე გაზეთის პასუხისმგებელმა რედაქტორმა ამხ. ნ. კიკნაძემ და გაზ. „მუშა"-დან ამხ. თ. სიხარულიძემ.

ამხ. ნ. კიკნაძის მოხსენება

ამხანაგებო, მომხსენებლებისათვის მიღებულ ნახევარი საათის განმავლობაში, შეუძლებელია ყველა იმ საკითხების გაშუქება, რომლებიც კერძოთ ჩვენი გაზეთის რედაქციის საქმიანობასთან არის დაკავშირებული. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თვით მოკლე საინფორმაციო მოხსენების ირგვლივაც გაიმართება მუშა-მკითხველთა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომლის დროსაც მიგვითითებენ ნაკლოვანებებზე და სწორედ ჩვენი კონფერენციის მიზანსაც ის შეადგენს, რომ გამოარკვიოთ, თუ რამდენად აკმაყოფილებს ჩვენს მკითხველებს გაზეთი, რა ნაკლი ახასიათებს რედაქციის საქმიანობას, რათა ამ შენიშვნების ნიადაგზე მომავალში ჩვენ შევსძლოთ არსებულ ნაკლთა გამოსწორება.

დღევანდელი კონფერენცია სწორეთ ამითაა მნიშვნელოვანი, მით უმეტეს, რომ დღეს ჩვენ პირველად ვიჭერთ ცოცხალ კავშირს ჩვენი გაზეთის მუშა-მკითხველებთან.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ მოვახდინეთ გაზეთების ქსელის რაციონალიზაცია. მაგ.: გლეხებისა და სოფლისათვის არსებობს გაზეთი „ახალი სოფელი", მუშათა მდაბიო მკითხველთათვის—მასიური გაზეთი „მუშა", ხოლო „კომუნისტი" გათვალისწინებულია უფრო მოწინავე აქტივისათვის. გაზეთების მუშაობის შეფასების დროს მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში მათი ტიპი, ხასიათი. ჩვენი გაზეთის ამოცანები იგივეა, რაც პარტიისა და ხელისუფლების; მის დანიშნულებას შეადგენს პარტიის მიერ წამოყენებულ საკითხების გადასაჭრელად მშრომელთა დარაზმვა, დაყენებულ ამოცანათა ახსნა-განმარტება.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ პარტია ფართო ფრონტით გადასულია შეტევაზე ძველი ეკონომიური რეჟიმის ნაშთების აღმოსაფხვრელად. ჩვენ უნდა დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, გარდავქმნათ მთელი ჩვენი ცხოვრება სოციალისტურ ნიადაგზე. განვითარების ამ გზაზე ჩვენ წინ გველობება მრავალი დაბრკოლება შინაური და საგარეო ხასიათის. ეს დაბრკოლებანი, ეს სიძნელენი გზას უბნევს და პერსპექტივებს უხშობს ზოგიერთებს, რომლებიც მემარჯვენე, „მემარცხენეთა" და შემარიგებელთა სახით სცდილობენ გადაახვევინონ პარტიას გენერალური ხაზიდან, შეანელებინონ მას აღებული ტემპი. პარტია აწარმოებს ბრძოლას მათ წინააღმდეგ. ჩვენმა გაზეთმა უნდა შეუწყოს ხელი მშრომელი საზოგადოებრივობის ამოძრავებასა და დარაზმვას ამ ამოცანათა გარშემო.

ეს დიდი ამოცანები, ჩვენი განვითარების აღებული ტემპი უნდა ამჩნევდეს თავის დაღს გაზეთის სახეს, მის შინაარს, რედაქციის მუშაობას. ძველი წესით მუშაობა აღარ შეიძლება, საჭიროა მისი რეორგანიზაცია და ამ გზაზეა შემდგარი დღეს რედაქცია, რაც უკვე ემჩნევა გაზეთსაც.

მომხსენებელი შეჩერდა შემდეგ გაზეთის ნაკლზე მასიური მუშაობის და კერძოთ მუშკორთა შორის მუშაობის დარგში. შეეხო მუშკორთა თანამშრომლობის ხასიათს, წერილების შინაარსს, მათ ნაკლოვანებებს, გაზეთის ფინანსიურ მდგომარეობას და მოუწოდა მუშა-მკითხველებს, რომ მათ გააკრიტიკონ გაზეთი და ამით დაეხმარონ რედაქციას უკეთესად წარმართოს თავისი მუშაობა.

ამხ. თ. სიხარულიძის მოხსენება

ამხ. სიხარულიძემ მოხსენების დასაწყისში ხაზი გაუსვა რედაქციების და გაზეთების მიმართ თვითკრიტიკის წარმოების მნიშვნელობას. მომხსენებელს მოჰყავს ამხ. მოლოტოვის შენიშვნა, რომ გაზეთები ურთიერთშორის თვითკრიტიკას არ აწარმოებენ და საჭიროა მომავალში ამ ნაკლის გამოსწორება.

ჩვენი გაზეთი პოპულიარული და მასიური ორგანოა,—ამიტომაც რედაქცია მუშაობის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გაზეთის ენას—სტილს, რათა მასალები გაშუქებულ იქნეს ისე, რომ ფართო მასისათვის გასაგები და ხელმისაწვდომი გახდეს.

რედაქციას მიზნად აქვს დასახული უფრო ხშირად მოაწყოს ფართო მასაში გასვლა, რათა სავსებით შეისწავლოს ის, თუ რა აინტერესებს და რას მოითხოვენ გაზეთის მკითხველები.

გაზეთის ფურცლებზე მოთავსებული მასალები შეძლებისდაგვარად გაკეთებულია ცოცხლად, ისე, რომ მას დამაჯერებლობა არ დაეკარგოს.

გაზეთის სახე სავსებით დამოკიდებულია იმ მასალებზე, რომელსაც მას მუშკორები აწვდიან.

დასასრულ ამხ. სიხარულიძემ მოიყვანა ცნობები იმის შესახებ,—თუ რამდენად ხორციელდება ცხოვრებაში გაზეთში მოთავსებული მასალა და აღნიშნა მუშა-მკითხველთა კონფერენციების მოწვევის დიდი მნიშვნელობა.

რას ამბობენ მუშა-მკითხველები

კამათში მონაწილეობა მიიღო 19 ორატორმა. თვითეული გამოსვლა საქმიანი და საყურადღებო იყო.

მაგალითად, ამხ. ა. კალანდაძემ წამოაყენა მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები, რომელთა გაშუქებაც, ყოველთვის შესაფერ დონეზე არ სდგას ჩვენს პრესაში. ის შეეხო ყოფა-ცხოვრების, სახალხო განათლების, ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის, კოლმეურნეობათა მშენებლობის და სოფლის ტრაქტორიზაციის საკითხებს. ორატორის სიტყვით, ეს საკითხები ჯერ კიდევ ვერ პოულობენ სათანადო გამოხატულებას ჩვენი გაზეთების ფურცლებზე.

ამავე დროს უდავოა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის ხსენებულ საკითხების პროპაგანდას, იმაზე წერას როგორ უნდა ტარდებოდეს ისინი ცხოვრებაში, თუ რა უშლის ამას ხელს და სხვ.

იგივე ამხანაგი კალანდაძე სრულიად სამართლიანად შენიშნავდა, რომ ჩვენი გაზეთები ხშირად მოიკოჭლებენ მართლწერისა და კორექტურის მხრივ, არ არის მიღებული სათანადო ენერგიული ზომები მუშა-ჟურნალისტების კადრის შესაქმნელად და სხვ.

ამხ. ა. მეჩიტაშვილი შეეხო საგაზეთო ტექნიკის მტკივნეულ საკითხს. მისი აზრით წვრილი შრიფტი, რომლითაც იბეჭდება ბევრ შემთხვევაში საყურადღებო მასალები, არ ვარგა. მასიური მკითხველი, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც ახლად შეისწავლია აქვს წერა-კითხვა, ვერ შესძლებს ასეთი შრიფტით აწყობილი წერილებით სარგებლობას.

ამხ. გ. გორიგლეჯაშვილმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მუშკორებს ხშირად სდევნიან, ამიტომ მისი აზრით საჭიროა რედაქციებს ჰყავდეთ საწარმოებში საიდუმლო აგენტები, რომლებიც მიაწვდიან გაზეთს ცნობებს ამა თუ იმ ბოროტმოქმედებისა და დეფექტების შესახებ. ცხადია, ჩვენს პირობებში, სადაც მუშგლეხკორებს იცავს პარტია და ხელისუფლება, ზედმეტია ლაპარაკი რამე არალეგალურ მუშკორობაზე, მით უფრო აგენტობაზე. მუშგლეხკორთა ორგანიზაცია—ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანებაა, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვით, ყოველგვარ შევიწროებისაგან იცავენ ჩვენი კანონები და ადმინ. ორგანოები, ამხ. გორიგლეჯაშვილმა კი წამოაყენა საიდუმლო მუშკორობის საკითხი. ეს იმას მოწმობს, თუ რამდენად ფართო ხასიათს ატარებს მუშგლეხკორთა დევნა, ამ პირობებში გასაგებია, რომ ზოგჯერ ასეთი შემცდარი აზრები იბადება. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ საჭიროა გაათკეცებული ენერგიით ბრძოლა იმ მავნე ელემენტების წინააღმდეგ, ვინც დამუქრებით, აშკარა თავდასხმით თუ ფარული გზით შეეცდება მუშგლეხკორთა დევნას.

ამხ. ბალიაშვილი თავის სიტყვაში აღნიშნავდა, რომ „კომუნისტი" საკმაო ყურადღებას ვერ უთმობს საწარმოების ნაკლოვანებათა მხილებას. სხვა ორატორების ყურადღება მიიპყრო მუშგლეხკორთა მოძრაობის პრაქტიკულ საკითხებმა. მაგალითად, ამხ. ფ. ენუქიძე შეჩერდა „მუშგლეხკორი"-ს მუშაობაზე. მან აღნიშნა, რომ ეს ჟურნალი ჯერ-ჯერობით ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. „მუშგლეხკორი" ნაკლებად ეხება ფაქტებს და განსაკუთრებით ფაქტებს ადგილობრივ სინამდვილიდან, სათანადო როლს ვერ თამაშობს მუშგლეხკორთა კადრების აღზრდის საქმეში, არ აძლევს მათ საჭირო პრაქტიკულ მითითებებს, თუ როგორ ან რაზე უნდა სწერონ და სხვ.

მუშგლეხკორთა საკითხებზე შეჩერდა აგრეთვე შემდეგი ორატორი ამხ. ლ. ბაინდურაშვილი. მან უმთავრესად ილაპარაკა კედლის გაზეთების მუშაობაზე და აღნიშნა, რომ ცენტრალური ბეჭდვითი გაზეთები არ უწევენ შესაფერ ხელმძღვანელობას კედლის გაზეთებს. უმთავრესად ამას უნდა მიეწეროს, რომ კედლის გაზეთები ხშირად ვერ სდგანან მოწოდების სიმაღლეზე, ზოგჯერ არ ვარგა რედკოლეგიების შემადგენლობა და სხვა.

იგივე ორატორი შეეხო საგაზეთო მუშაობის მეტად საყურადღებო საკითხს. ამხ. ბაინდუროვის სიტყვით ჩვენი გაზეთების ენა ბევრჯერ გასაგები არაა ფართო მკითხველი მასებისათვის. წერილებში ხშირად ხმარობენ ისეთ უცხო სიტყვებს, რომელთა სანაცვლო სიტყვები მოიპოვება ქართულ ენაშიაც.

გარდა ამისა, ორატორის აზრით საჭიროა ჩვენმა გაზეთებმა უფრო სისტემატიურად მოათავსონ კარიკატურები და პატარა ფელეტონები სადღეისო პოლიტიკურ და ყოფა-ცხოვრების საკითხებზე.

ენის საკითხებსავე შეეხო ამხ. მ. დევაძე. ის, სხვათა შორის, აღნიშნავდა, რომ მთელი რიგი სიტყვები დღეს უკვე გამოუსადეგარია ახალი ცნებების გამოსახატავად. მაგალითად, სიტყვა „დღესასწაული" საჭიროა შეიცვალოს სიტყვა „ზეიმი" ან სხვა ჩვენი დროის უფრო შესაფერი გამოთქმით.

ამხ. ვ. ხებრიშვილი შეჩერდა გაზეთების მუშა-მკითხველთა კონფერენციების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ჩვენმა გაზეთებმა უფრო ხშირად უნდა მოაწყონ ასეთი კონფერენციები. ორატორი შეეხო აგრეთვე მუშა-ლიტერატორების აღზრდა-გაწვრთნის საკითხს. მისი აზრით მუშა-მწერალთა ჟურნალი „მიზანი" უფრო რეგულიარულად უნდა გამოდიოდეს და მიღებულ უნდა იქნას ზომები ამ ჟურნალის შინაარსის გასაუმჯობესებლად.

ამხ. ჯაჯანიძემ ილაპარაკა იმ არანორმალობაზე, რომელიც ხშირად გულს უცრუებს მუშ-გლეხკორებს. მისი სიტყვით, ბევრჯერ რედაქციები აგვიანებენ კორესპონდენციების დაბეჭდვას, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სრულიადაც არ ბეჭდავენ მათ. ორატორმა დაასახელა კონკრეტიული ფაქტებიც.

ყველასათვის უდავოა გაზეთის განსაკუთრებული მნიშვნელობა სოფლის სოციალისტური მშენებლობის დარგში. გაზეთი რაც შეიძლება სრულიად უნდა ასახავდეს სოფლის დღევანდელ ვითარებას, დროულად უნდა აყენებდეს სოფლად მუშაობის მორიგ საჭირბოროტო საკითხებს. ამისათვის კი ერთ-ერთ მთავარ პირობად უნდა მივიჩნიოთ გაზეთის დაახლოება თავისი ენით, მასალების დამუშავებით და სხვ. გლეხკაცობასთან. ამ საკითხს შეეხო თავის სიტყვაში ამხ. პავლიაშვილი, რომელმაც სთქვა, რომ გაზეთის ენა ხშირად გასაგები არაა გლეხ-მკითხველებისათვის.

თვითკრიტიკის უფრო ფართოდ გაშლისა და გამომჟღავნებულ ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შესრულების შემოწმების მტკიცედ გატარებას სარედაქციო მუშაობაშიც. ამ მიზნით რედაქციები სისტემატიურად უნდა ამოწმებდნენ, რა ზომებია მიღებული იმ დეფექტების თუ ბოროტმოქმედებათა გამოსასწორებლად, რომლებზედაც მიუთითებდა მუშკორი. ამას კი ამხ. ი. კობახიძის სიტყვით ხშირად ადგილი არა აქვს. გარდა ამისა, იგივე ორატორი დაუშვებლად სცნობს, რომ რედაქციების მიერ დაუბეჭდავ კორესპონდენციას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ დაწესებულება-ორგანიზაციები, რომელთაც გაზეთები უგზავნიან ასეთ კორესპონდენციებს.

მუშა- მწერალთა კადრების შესაქმნელად და ამ კადრების აღზრდისათვის ამხ. კობახიძეს საჭიროდ მიაჩნია შემოღებულ იქნას გაზეთებში მუშა-მწერალთა კუთხე.

ამხ. ს. სირბილაძის აზრით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მუშკორთა ახალი კადრების მომზადება-წახალისებამ სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს რედაქციების მუშაობაში. გაზეთებში ხშირად იბეჭდება ერთი და იმავე მუშკორების წერილები. ორატორის აზრით, მუშკორთა ძველი კადრების წერილები უთუოდ უნდა ფასდებოდეს, მაგრამ ამავე დროს ენერგიული ნაბიჯები უნდა გადაიდგას მუშკორთა ახალი ძალების გამოსაყენებლადაც.

ორატორი აგრეთვე ეხება გაზეთის ენის საკითხს. მას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ უცხო სიტყვები იქვე განმარტებული იქნას წერილში.

ამხ. დოლაბერიძე შეჩერდა კორესპონდენციების დაგვიანებით დაბეჭდვის საკითხზე. ორატორი აცხადებს, რომ რედაქციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ ამ ნაკლის გამოსასწორებლად. ამასთანავე გაზეთებმა მეტ ადგილს უნდა უთმობდნენ მუშათა წერილებს.

ამხ. ს. დოლიძე შეეხო მუშკორთა მოძრაობის ერთ-ერთ საგულისხმო საკითხს. ორატორის სიტყვით საჭიროა რედაქციების მუშაობის კრიტიკა, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია, რომ მუშკორებმაც მეტი ყურადღება მიაქციონ საკუთარ ნაკლოვანებებს. ხშირად ხდება, რომ მუშკორები შეუმოწმებელ ფაქტებზე ეყრდნობიან თავიანთ კორესპონდენციებში და ამით შეცდომაში შეჰყავთ როგორც რედაქცია, ისე მკითხველი მასაც. ამხ. დოლიძეს თავისი აზრის საილუსტრაციოთ მოჰყავს რამდენიმე დამახასიათებელი ფაქტი.

ხსენებულ ორატორების გარდა ილაპარაკეს აგრეთვე შემდეგ ამხანაგებმა: ი. ბიბლაროვმა, ვ. სიხარულიძემ, მ. ჭილიძემ, ს. ფოფხაძემ, ნ. ზოღლითელმა და გ. ქულენთმა.

თავიანთ საბოლოო სიტყვაში რედაქციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კონფერენციაზე აღნიშნულ ნაკლოვანებათა დიდ უმრავლესობას მართლაც აქვს ადგილი ჩვენს გაზეთებში. მომხსენებლებმა მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ მშრომელ მკითხველ მასების აქტიური დახმარებით გაზეთები გადალახავენ ყველა დაბრკოლებებს და უფრო ენერგიულად განაგრძობენ მუშაობას იმ საპასუხისმგებლო და დიდ ამოცანათა წარმატებით გადასაწყვეტად, რომელთაც აყენებს ჩვენს წინაშე სწრაფი განვითარების გზაზე მდგომი სოციალისტური მშენებლობა.

პარტიაში

ოპორტუნიზმთან წარმატებით ბრძოლისათვის აუცილებელია პარტგანმანათლებელი მუშაობის გაძლიერება

„პოლიტიკური განათლების მიზანია აღზარდოს ჭეშმარიტი კომუნისტები, რომელნიც დასძლევენ სიცრუეს, ყალბ შეხედულებებს და დაეხმარებიან მშრომელ მასებს დაამხონ ძველი წყობილება და გაუძღვნენ სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს კაპიტალისტთა, ექსპლოატატორთა, მემამულეთა გარეშე". (ლენინი)

იდეურად შევიარაღდეთ პარტიის ხაზის დასაცავად

წვრილ - ბურჟუაზიულ მერყეობისა და გადახრების არსებობა ბოლშევიკური პარტიის ცალკე ნაწილებში დაბეჯითებით აყენებს ჩვენი ორგანიზაციების წინაშე პარტიის წევრთა თეორეტიული დონის ამაღლების ამოცანას.

იმისათვის, რომ დროზე იქნას გამომჟღავნებული და აღკვეთილი ოპორტუნიზმის გამოხატულებანი, რომ პარტიამ სწორი ხელმძღვანელობა გაუწიოს მრავალ მილიონ მშრომელებს, რომლებიც მისი მეთაურობით დიად სოციალისტურ მშენებლობას აწარმოებენ, საჭიროა პირველ ყოვლისა თვით პარტიის წევრებს ჰქონდეთ გარკვევით წარმოდგენილი პარტიის წინაშე მდგომი ამოცანები, მისი გენერალური ხაზი. სამწუხაროდ, დღემდე ამ მხრივ, არა თუ პარტიის რიგის წევრთა მასა, არამედ აქტივიც კი არ არის სათანადოდ შეიარაღებული. ეს გარემოება სხვათა შორის, პარტიის რიგების წმენდამაც დაადასტურა.

წმენდის დროს უკიდურეს გაოცებას იწვევდა გაუგონარი უვიცობა, რომელიც ბევრმა, ეგრედწოდებულ აქტივისტმა გამოიჩინა. აქ მოვიყვანთ მარტო ერთ მაგალითს. კახეთის ოლქში ერთ-ერთ პასუხისმგებელ კომუნისტს წმენდის დროს შეეკითხნენ: „რაში მდგომარეობს პარტიის გენერალური ხაზი"? — „პარტიის გენერალური ხაზი საწევრო გადასახადის თავის დროზე აკრეფაში გამოიხატება" —დარწმუნებით მოუგო ამ ამხანაგმა.

არ ვილაპარაკებთ საწარმოო და გლეხურ უჯრედებზე, სადაც პოლიტმომზადების დონე, ბუნებრივია, არ არის მაინც და მაინც მაღალი. შევეხებით მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედებს, სადაც ირიცხებიან ისეთი კომუნისტები, რომლებმაც დღეს თუ ხვალ უმაღლესი სკოლა უნდა დაამთავრონ და ხელმძღვანელებად მოევლინონ ჩვენს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას.

ასეთი ამხანაგებისაგან ჩვენ მეტს მოვითხოვთ. ისინი ყოველმხრივ მომზადებულნი უნდა იყვნენ, მათ უნდა ჰქონდეთ შეთვისებული მარქსისა და ლენინის მოძღვრება და პარტიის ყველა ძირითადი დადგენილებანი. სინამდვილეში კი ჩვენ ვხედავთ, რომ უმაღლესი სკოლის უჯრედთა წევრების დიდი ნაწილი თავისი პოლიტიკური მომზადებით ბევრად არ განსხვავდება მუშა და გლეხ - კომუნისტებისაგან და ხშირად, სავალალოთ, კიდეც ჩამორჩება მუშებსა და გლეხებს.

რა გვიჩვენა პარტიის წმენდამ უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედებში? პირველ ყოვლისა, ბევრი კომუნისტის პოლიტიკური უვიცობა. აი მაგალითები: სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკ. ფაკულტეტის უჯრედში შესამოწმებელმა ამხანაგმა, რომელსაც ფაკულტეტი კოოპერაციის განხრით აქვს დამთავრებული, ვერ განმარტა კოოპერაციის მნიშვნელობა; აგრონომიული ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ მსუბუქ და მძიმე ინდუსტრიას, ბევრ სტუდენტს არ ესმის ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ძირითადი საფუძვლები, — მათ არ იციან რა დაჯგუფებანი არსებობდა ჩვენს პარტიაში რეაქციის პერიოდში, არ იციან მემარჯვენეთა შეხედულება გლეხურ საკითხში და სხვ.

ეს გარემოება მიეწერება იმას, რომ უნივერსიტეტის უჯრედებში საჭირო ყურადღება არ ექცევა პარტგანათლების საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ეწყობოდა და ეწყობა სხვადასხვა სახის პოლიტსკოლები და წრეები, რომლებშიაც უმთავრესად კომკავშირელები მეცადინეობენ; პარტიის წევრები და ზოგიერთი აქტივისტები (რომელნიც, როგორც წმენდაზე გამოირკვა, ჩამორჩენილი არიან პოლიტიკურად) არ კადრულობენ პოლიტწრეებში მეცადინეობას და ამიტომ წმენდის დროს ბევრი მათგანი ელემენტარულ საკითხებშიაც კი სამარცხვინოდ დაიბნა.

ჩამოთვლილი მაგალითები ჩვენ გვიკარნახებს მეტი სერიოზულობით მოვკიდოთ ხელი პოლიტუცოდინარობის ლიკვიდაციას პარტიის წევრთა შორის.

ეს ამოცანა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ღებულობს იმ თავდასხმებთან დაკავშირებით, რომელსაც კვლავ განაგრძობს მემარჯვენე ოპოზიცია პარტიის გენერალურ ხაზის მიმართ.

პარტგანათლების ქსელი, რომლის მოწყობა თითქმის ყველა ორგანიზაციებში დამთავრდა, სავსებით უნდა იქნას გამოყენებული წვრილ - ბურჟუაზიული გადახრების, და უმთავრესად — ამჟამად ყველაზე საშიშ მემარჯვენე გადახრის ნამდვილ შეხედულებათა გამოსამჟღავნებლად.

პარტგანათლების საშუალებით ჩვენ იდეოლოგიურად უნდა შევაიარაღოთ პარტიული მასები ყოველი ჯურის უკლონისტების თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ ამოცანის შესრულება კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პარტიულ უჯრედებში, პარტიულ კომიტეტებში აღმოიფხვრება პარტგანათლების საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება, მისი შეუფასებლობა. ერთხელ და სამუდამოთ უნდა დავიხსომოთ, რომ პარტგანათლების დაყენება პარტიულ კომიტეტების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია, რომ ორგანიზაციის საერთო მუშაობის შეფასების დროს მას ისეთივე ყურადღება ექცევა, როგორიც პარტმუშაობის სხვა დარგებს.

პარტქსელში მეცადინეობა აუცილებლად უნდა იქნას დაკავშირებული მსმენელთა პრაქტიკულ საქმიანობასთან. უჯრედებმა უნდა განტვირთონ მსმენელები სხვა დავალებებისაგან და ამით მისცენ მათ მეცადინეობის საშუალება.

ახლო მომავალში ჩვენი წარმოებები გადავლენ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე. დროა პარტიულ ორგანოებმა მიიღონ საჭირო ღონისძიებები პარტგანათლების ქსელის მუშაობის ახალ საწარმოო პირობებთან შეფარდებისათვისაც.

დასასრულ, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სკოლებისა და წრეების სათანადო ბინებითა და სახელმძღვანელობით უზრუნველყოფას.

კანდიდ.

როგორ გავიგოთ ნებაყოფლობითი პრინციპი

სკოლებში მექანიკურათ ჩარიცხვის პრაქტიკამ ვერ გაამართლა იმედები, რადგან, როდესაც ამხანაგს სავალდებულოთ უხდით ამა თუ იმ სკოლაში ან წრეში მეცადინეობას, ამით ჩვენ ვახშობთ მის საკუთარ აქტივობას, პირად სურვილსა და მისწრაფებას.

პარტიის წევრები, კომკავშირელები და პარტიასთან ახლოს მდგომი უპარტიო მუშათა, ღარიბ და საშუალო გლეხთა და მოჯამაგირეთა აქტივი, ჩვენ სისტემატიური ახსნა-განმარტებითი მუშაობით უნდა გავარკვიოთ პარტგანათლების ძირითად დებულებებში და მის აუცილებლობაში. შემდეგ უნდა მივსცეთ სრული შესაძლებლობა თვით აირჩიონ ესა თუ ის სკოლა ან წრე. არა მექანიკური ჩაწერით, არამედ თვითმოქმედების საფუძველზე უნდა ჩაებან მსმენელნი სკოლებსა და წრეებში. ასეთ პირობებში, ცხადია, მეტ დაინტერესებასა და აქტივობასთან გვექნება საქმე.

ნებაყოფლობითი პრინციპი არ ნიშნავს სავალდებულო პრინციპის სრულ უარყოფას. საკ. კ. პ. (ბ) ცკა, ჯერ კიდევ 1927 წ. ივლისში აღნიშნავდა: „საჭიროა გადაჭრით გავატაროთ ცხოვრებაში სრული ნებაყოფლობის პრინციპი პარტიის წევრებისათვის, როგორც თვით სწავლის, ისე მის ფორმათა არჩევის დროს, დაწყებითი სკოლის დამთავრება სავალდებულო უნდა გახდეს მხოლოდ საკ. კ. პ. (ბ) კანდიდატებისათვის, რომელთაც არ აქვთ ელემენტარული პოლიტიკური მომზადება". აქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ ერთიან პოლიტცოდნის სკოლებში სავალდებულოა მეცადინეობა კანდიდატებისათვის, რომელთაც ელემენტარული ცოდნა არ აქვთ.

სავალდებულო სწავლების ფორმაც შეცვლილია. ამის დასამტკიცებლად გავეცნოთ აგიტპროპ. მუშაკთა საკავშ. თათბირის რეზოლუციის ერთ პუნქტს. იქ ნათქვამია: „იმ შემთხვევაში, თუ ზოგიერთ ამხანაგებისათვის საძნელოა პოლიტ-ცოდნის შეძენა, ისინი არ უნდა აიძულონ ხელმეორეთ დაუბრუნდნენ სკოლას, არამედ უნდა ჩააბან მათ განვითარების დონესთან და მოთხოვნილებასთან შეფარდებულ პოლიტსწავლის ამა თუ იმ ფორმაში (მაგალითად—საგაზეთო კითხვის წრეებში), საჭიროა დაწყებითი სკოლის გავლისაგან განთავისუფლებულ იქნან ამხ-ები, რომლებიც სწავლობენ მცირე მცოდნეთა და სხვა საერთო განათლების სკოლებში და აგრეთვე ისინიც, ვინც პოლიტიკური მომზადებას იღებს თვითგანვითარების გზით პარტიის ხელმძღვანელობით". ნათქვამი ნათლად ამტკიცებს იმას, რომ ძირითად პრინციპად პარტგანათლების სისტემაში ითვლება ნებაყოფლობითი პრინციპი, ამიტომაც მართებს ადგილობრივ პარტორგანიზაციებს ფართოდ გაშალონ მუშაობა იმისთვის, რომ ნებაყოფლობითი პრინციპი შეცდომით არ იქნას გაგებული. ჩვენ გაცხოველებული მუშაობა უნდა ვაწარმოოთ, რომ არც ერთი პარტიული, კომკავშირელი და დაინტერესებული უპარტიო აქტივისტები არ დარჩნენ სათანადო საფეხურის სკოლისა ან წრის გარეშე.

დ. კომახიძე.

აგიტპროპმუშაკთა თბილისის საოლქო თათბირზე

29 ოქტომბერს გაიხსნა აგიტპროპ-მუშაკთა თბილისის საოლქო თათბირი.

თათბირზე მოსმენილი იქნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. ხომერიკის მოხსენება — თვითგანვითარების დარგში მუშაობის შესახებ სოფლად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არსებული პარტგანათლების ქსელი, აქტივის დატვირთვის და სოფლის განსაკუთრებულ პირობების გამო, ყოველთვის არ წარმოადგენს მეცადინეობის ხელსაყრელ ფორმას, ამიტომ საჭიროა ფართო პროპაგანდა თვითგანვითარებითი მუშაობის გასაშლელად. თვითგანვითარების საშუალებით შესაძლებელია როგორც თეორიული საგნების და აგრონომიული ცოდნის შეძენა, ისე მიმდინარე პოლიტიკის საკითხების შესწავლა. სასოფლო აქტივის კადრები უნდა ჩაებნენ დაუსწრებელი მეცადინეობის სისტემაში კომ-უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით.

თვითგანვითარების ქსელში უნდა ჩაბმული იქნენ აგრეთვე კომკავშირელები, განსაკუთრებით აქტივი; სასოფლო - სამეურნეო თვითგანვითარებისათვის მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს სხვადასხვა ხაზით. თვითგანვითარების ქსელში აუცილებლად უნდა ჩაბმული იქნან მოჯამაგირეები, რომელთათვისაც ამავე წესით უნდა მოეწყოს პირველ დაწყებითი კურსები, სადაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ზოგად განმანათლებელ მეცადინეობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვითგანვითარებით მუშაობას კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში. თვითგანვითარებით წრეების და ერთეულების მუშაობის ხელმძღვანელობისათვის რაიკომებთან უნდა შეიქმნეს შესაფერი ბიურო აგიტპროპორგანიზატორის თავმჯდომარეობით.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ მთელ რიგ დეფექტებს, რომლებიც ხელს უშლის თვითგანვითარებითი მუშაობის ფართოდ გაშლას.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. ადამიანის მოხსენება, აგიტპროპმუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ სოფლად.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის სარეკონსტრუქციო პერიოდი, გაძლიერებული სოციალისტური შეტევა და ამ საფუძველზე გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს ჩვენს წინაშე აგიტაცია - პროპაგანდის და კულტურულ - განმანათლებელი მუშაობის გაძლიერების ამოცანებს.

რეკონსტრუქციული პერიოდის ამოცანათა შესრულების ძირითადი პირობაა მასების აქტიურად ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში, ეს კი მოითხოვს საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის მთლიანად გარდაქმნას.

მხოლოდ პარტიის გარკვეული და მტკიცე ხაზის დაცვა უზრუნველყოფს სოციალისტური მშენებლობის წარმატებით მსვლელობას; ამიტომ ბრძოლა ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის, მერყეობის, ნაციონალიზმისა და საერთოდ ყოველგვარი ანტი - ლენინურ გადახრების წინააღმდეგ უაღრესად დიდ მნიშვნელობას ღებულობს. საგიტაციო და კულტ-განმანათლებელ მუშაობამ ამ საქმეში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს. ის უნდა გადაიქცეს ყველა გადახრის, განსაკუთრებით კი, მემარჯვენე გადახრის თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო იარაღად. ამ მიზნით საჭიროა პარტგანათლების ქსელში ჩატარდეს ფართო ახსნა - განმარტებითი კამპანია. საქ. კ. პ. (ბ) ცკას და თბილისის კომიტეტის მიმართვა თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის შესახებ უნდა დამუშავებულ იქნას კომუჯრედის სხდომებზე სკოლებში, წრეებში, მემარჯვენე გადახრის და თვითკრიტიკის ჩახშობის ფაქტების გამომჟღავნებით ადგილობრივი პრაქტიკიდან.

პარტ-განათლების ქსელში მთლიანად უნდა იქნეს ჩაბმული პარტიის წევრები და კანდიდატები, ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეები — მათთვის სპეციალური სკოლების მოწყობით (თუ დღემდე არ არის გახსნილი ასეთი). ფართოდ უნდა გაიშალოს სასოფლო პარტ. სკოლების ქსელი, რომელთა პროგრამებში შეტანილ უნდა იქნას საერთო და აგრონომიულ - ტექნიკური განათლების საგნები, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი, საგრონომიო, ხუთწლიანი გეგმის შემსწავლელი წრეები და სხვ.

კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში, არსებული პარტ-სკოლები პირველ რიგში უნდა უზრუნველყოფილნი იქნენ საუკეთესო პროპაგანდისტებით.

მოხსენებამ დამსწრეთა შორის გაცხოველებული კამათი გამოიწვია.

სამეცნიერო აკადემიის ოქტომბრის სესია

ლენინგრადი, 30 ოქტომბერი. 28 ოქტომბერს გაიხსნა სამეცნიერო აკადემიის ოქტომბრის სესია. განხილულ იქნა ამხ. ფერსმანის პროექტი აკადემიის ახალი სტრუქტურის შესახებ. აკადემიკოსმა ფერსმანმა აღნიშნა, რომ აკადემიის ახლანდელი სტრუქტურა ძირიანფესვიანად უნდა შეიცვალოს. აკადემიის ძირითად ამოცანებს შეადგენენ სამეცნიერო მუშაობის განვითარება და მისი გამოყენება საბჭოთა კავშირში. აკადემიის კონსტრუქციის სქემა მარტივი უნდა იყოს,

აკადემიის ჰუმანიტარული განყოფილების სხდომაზე გადასწყდა ტოლსტოის მუზეუმი შეუერთდეს პუშკინის სახლს.

სიტყვის წაკითხვა აკადემიის მომავალ წლიურ კრებაზე მიენდო აკადემიკოსს დებორინს. (ადს).

ბაქო-ბათომის ნავთსადენი

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. „გლავგორტოპ"-ისა და ნავთის მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს შეერთებულმა სხდომამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა ბაქო-ბათომის ნავთსადენის გასაყვანად. ამ ხარჯთ- აღრიცხვით გადაიდება 48.596.000 მანეთი. იმ კრედიტის ჩათვლით, რომელიც გაღებულია მასალის დასაზღვევად, ნავთსადენის საბოლოო ხარჯთაღრიცხვა 50.104.000 მანეთს უდრის. (ადს)

ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. საკავშირო ფინსახკომის წინასწარი ცნობით, 1928-29 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი უდრიდა 8.033 მილიონ მანეთს, რაც 3,5 პროც. აღემატება გათვალისწინებულ თანხას. სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი უდრიდა 7.960 მილიონ მანეთს, აქედან სახალხო მეურნეობის საჭიროებაზე დაიხარჯა 2.105 მილიონი მანეთი, ხოლო გათვალისწინებული იყო 2.048 მილიონი მანეთი. ამგვარად, ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმატებით იქნა შესრულებული.

გროზნო-ტუაფსეს ნავთსადენის გაფართოება

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. ნავთის მრეწველობის სამეცნიერო ტექნიკურმა საბჭომ დამთავრა ხარჯთაღრიცხვის იმ პროექტის განხილვა, რომელიც შედგენილია გროზნო-ტუაფსეს ნავთსადენის გამტარუნარიანობის გასადიდებლად ერთი მილიონი ტონიდან — 1.640.000 ტონამდე. უნდა მოეწყოს ხაზზე საქაჩავი სადგურები და დაიდგას მეოთხე აგრეგატი 200.000 ტონა ნავთის მისაღებად. სამეცნიერო ტექნიკურ საბჭოს გამოანგარიშებით, სამუშაოთა საერთო ღირებულება — 12.015.000 მანეთს შეადგენს. წელს ნავთსადენის გასაფართოებლად გადაიდება — 6.270.000 მანეთი. მუშაობა 1931 წლის იანვარში უნდა დამთავრდეს. (ადს).

ხუთწლიან გეგმას გადავაქცევთ სამწლიან გეგმად

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. არტემოვის სახ. მარილის მაღაროების მუშებმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ს აცნობეს, რომ სოციალისტური შეჯიბრების წესით ისინი პროგრამის ზევით მოსკოვის პროლეტარიატისათვის დაამზადებენ 2.000 ტონა მარილს—ორ ეშელონს. „ჩვენ დარწმუნებული ვართ,—სწერენ მუშები თავიანთ დეპეშაში, —რომ პროლეტარიატი, საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინური ც. კ.-ის მტკიცე ხელმძღვანელობით, ხუთ წლედს გადააქცევს ოთხწლედად. ჩვენ, მარილის მაღაროებში მომუშავენი, ჩვენს ხუთწლიან გეგმას შევასრულებთ სამ წელიწადში და ვიწვევთ მოსკოვის მუშებს—მიბაძონ ჩვენს მაგალითს". (ადს).

ახალი დანიშვნები

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა, განთავისუფლოს ამხ. ტრილისერი გაერთიანებულ სახელმწ. პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან. გაერთიანებულ სახელმწ. პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ პრეზიდიუმმა დაამტკიცა ამხ. ჰენრიხ გრიგოლის ძე იაგოდა, მეორე მოადგილედ — სტანისლავ ადამის ძე მესინგი. (ადს).

ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი 1929--30 წლისათვის

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. საკავშირო ფინსახკომმა განსაზღვრა ამ.-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ადგილობრივი ბიუჯეტი 1929—30 წლისათვის. ბიუჯეტი, საბრუნავი თანხების გარდა, უდრის 124 მილიონ მანეთს, რაც 24 პროცენტით აღემატება შარშანდელ რაოდენობას (შარშან უდრიდა 100 მილიონ მანეთს). ბიუჯეტის ზრდა გამოიწვია სახელმწიფო გადასახადებისა და სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხების გადიდებამ. ეს ანარიცხები შეადგენენ 62,2 მილიონ მანეთს, ხოლო შარშან შეადგენდნენ 49,1 მილიონ მანეთს. ამის გამო ამ.-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის წილი სახელმწიფო შემოსავალში გაიზარდა 49-დან 50 პროცენტამდე. კერძოდ, საბაჟო გამოსაღებისაგან ამ.-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკა მიიღებს 820 ათას მანეთს, ნავთის მადნებიდან ბაქოში ამ.-კავკასია მიიღებს ანარიცხს სამ მილიონ მანეთს. მომატებული თანხიდან 14 მილიონი მანეთი მოხმარდება სოციალ-კულტურულ საჭიროებებს, პირველ რიგში 7,5 მილიონი მანეთი — საყოველთაო დაწყებითი სწავლების დაჩქარებით შემოღებას. 13 მილ. მანეთი მოხმარდება სამეურნეო - საწარმოო საჭიროებებს, აქედან 3 მილ. მან.—საგზაო მშენებლობას, 3,5 მილიონი — კომუნალურ საწარმოებს, 4 მილიონი — საბინაო მშენებლობას, 1 მილიონი—ადგილობრივ მრეწველობას და 1 მილიონი—სოფლის მეურნეობას. ზედასაფეხურის აპარატის მომჭირნეობის ხარჯზე უნდა განმტკიცდნენ ქვედა საფეხურის ორგანოები (ადს).

ამხ. კოსიორი ბაქოში

ბაქო, 30 ოქტომბერი. აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ს.მ.უ.ს. თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კოსიორი. (ადს).

ჯვარი-მესტიას გზა

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. ამ.-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის მთავრობის შუამდგომლობით, შრომისა და თავდაცვის საბჭომ საბჭ. კავშირის სახკომსაბჭ. სათადარიგო ფონდიდან 200.000 მანეთი გადასდო 1929—30 წელს ჯვარი-მესტიის (სვანეთში) გზატკეცილის გასაყვანად (ადს).

წებელდის კულაკების პროცესი

მოწმეთა დაკითხვა

სოხუმი, 30 ოქტომბერი. 29 ოქტომბრის საღამოს სხდომის დაწყების წინ თეატრის შენობასთან გამოცხადდა ადგილობრივი ტრანსპორტის მუშათა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია, რომელმაც კულაკ მკვლელებისათვის მოითხოვა უმაღლესი სასჯელი.

სასამართლომ ჩვენება ჩამოართვა მოწმე ლევონ თოფჩიანს, რომელიც ბრალდებულთა უმრავლესობის ნათესავია. ეს ის ლევონ თოფჩიანია, რომელსაც მარკოზმა დაავალა, ეთხოვა კარაპეტისთვის, რათა ეს უკანასკნელი გამგზავრებულიყო თბილისში ლაკობასთან და ეცნობებია მისთვის, რომ ფაფაზიანს ესროლეს თოფჩიანების მტრებმა. „მე ვიყავი მარკოზისა და კარაპეტის ფართლეულის სავაჭროს კამპანიონი, — აცხადებს მოწმე. — მარკოზი ჩვენ მაშინ გამოვიყენეთ, როგორც პარტიული. იგი ყოველგვარ დახმარებას გვიწევდა.

თავმჯდომარე: რა იცით პოლოსის სასწორის შესახებ?

ლევონ თოფჩიანი: ამ სასწორით პოლოსი გლეხებს ჰპარავდა თამბაქოს — ყოველ ფუთზე 15 გირვანქას.

სასამართლოს წინაშე სდგას თოფჩიანთა კულაკური ტერორის ერთი მსხვერპლთაგანი, მოწმე სარქის ფაფაზიანი. მას მთელი სხეული შეხვეული აქვს, ძლივს ლაპარაკობს.

„1921 წელს, — იწყებს თავის ჩვენებას ფაფაზიანი, — წებელდაში არსებობდა საქონლის საცვლელი პუნქტი, რომელსაც განაგებდა მესროფ თოფჩიანი. ზერელე ანგარიშით მესროფს გაფლანგული აღმოაჩნდა 10 ათას მანეთზე მეტი. გაფლანგვის კვალის დასაფარავად მესროპმა მოაწყო პუნქტის გაძარცვა. მძარცველობა თოფჩიანებმა მეგრელებს გადააბრალეს, კერძოდ, წებელდის აღმასკომის მაშინდელ თავმჯდომარეს ქარდავას. თოფჩიანები მაშინ ამბობდნენ: კოოპერატივი ჩვენ არ გაგვიძარცვავს, ქურდობა და ძარცვა ჩვენი ხელობა არ არის; რაც შეეხება მკვლელობას, ეს კი ჩვენი საქმეა. მიუხედავად ამისა, სამი დღის შემდეგ მთელი ნაძარცვი თოფჩიანებს უპოვნეს. დაპატიმრებულ იქნა 20 კაცი, რომლებიც თვენახევრის შემდეგ გაანთავისუფლეს. 1924 წელს პოლოსმა და კამპანიამ შეადგინეს მკვდარი სულების სია, თამბაქოს რაიონული კოოპერატივიდან 18.600 მანეთი მიიღეს და ეს ფული მიითვისეს".

შემდეგ ფაფაზიანი თავის ჩვენებაში იძლევა იმ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის სურათს, რომელიც წებელდის რაიონში ხდებოდა. ჩვენ ძალიან გვიძნელდებოდა ბრძოლა. ხშირად უჯრედის სხდომებს შედიოდნენ კულაკი თოფჩიანები. სოფლის საბჭოს თავმჯდომარე არზუმან თოფჩიანი ხშირად შემოიჭრებოდა უჯრედის დახურულ სხდომაზე და ასტეხავდა ყვირილს: „რას ჩურჩულობთ აქ, სულ ერთია ყველა თქვენს დადგენილებას შევიტყობთ". ერთხელ მე კულაკების წინააღმდეგ „ზარია"-ში დავწერე წერილი. თოფჩიანები დამემუქრნენ, რომ თუ ასეთი რამ განმეორდება, მე, უჯრედის მდივანს, გამაძევებდნენ სოფლიდან. პოლოსი, თამბაქოს დამხარისხებელი, ამცირებდა ღარიბი გლეხების თამბაქოს ხარისხს, ხოლო თამბაქოს სარაიონო კოოპერატივის თავმჯდომარე არზუმანი უკმაყოფილო გლეხებს ეუბნებოდა: თქვე სულელებო, რაღა აქ მოგაქვთ თამბაქო, მიჰყიდეთ სპეკულიანტებს, ისინი არ დაგიკლებენ ხარისხსო. მე მათ წინააღმდეგ დაუზოგავად ვებრძოდი. დაიწყო თოფჩიანების დაპატიმრება. მაშინ თოფჩიანები აღშფოთდნენ და, საჯაროდ აცხადებდნენ: კმარა, დროა გათავდეს საქმე: ან თქვენ, ან ჩვენ. მესროფი ხშირად მეუბნებოდა: სარქის, ნუ დამერევი მე, სულ ერთია ვერაფერს გაიტან, ჩვენ ოქრო გვაქვს; ფულით ყველაფერს ვიზამთ, მთელ, თქვენს ხელისუფლებას ვიყიდითო. მარკოზი შემხვდა სოხუმში. მან საყვედურით მითხრა: „რას ჩალიჩობ და რას აწუხებ წებელდელებს. დამსახურება ხომ არ გინდა, მეფედ გახდომა. თავი დაანებე ამ საქმეს. იცოდე, მე, რომ არ ვიყო, შენი ძვალიც აღარ იქნებოდა. კულაკებმა დამიწყეს პროვოკაციის მოწყობა, ამბობდნენ, რომ მე მტერი ვარ კოოპერაციის, ღარიბების. ერთხელ პოლოსი რაღაც ბნელი საქმისათვის პოლიტიკურმა სამმართველომ დააპატიმრა და შემდეგ გაანთავისუფლა. როგორ განთავისუფლდი? — ეკითხებოდნენ მას. „ნაჭყებიამ მითხრაო, — უპასუხებდა პოლოსი: — ბოდიშს ვიხდი, შეცდომით დაგაპატიმრეთ, შენ მოხუცი ხარ, წადი, თავისუფალი ხარო". მესროფის შვილი ლევონი ბაზარში ამბობდა, რომ ფაფაზიანი უნდა მოვკლათო; ეს იქნება არა პოლიტიკური, არამედ სისხლის სამართლის დანაშაული, ფული გვაქვს და თავს დავაღწევთო.

თვით მესროფი ამბობდა, რომ ფაფაზიანი უნდა მოკვდეს ბაზარში, რომ ხალხმა დაინახოსო. დასასრულ, ქარახანიანმა მკითხა: „რას სდევნი ჩემს სიძეს მესროფს? გახსოვდეს, რომ შენ ბოლო მოგეღება. მე არასოდეს ხელი არ გამისვრია სომხის სისხლში, მაგრამ შენ მოგკლავ"-ო. ამის შემდეგ გავიდა სამი დღე და გრიგორიკ თოფჩიანმა დამიწყო თვალყურის დევნება. მადევნებდა თვალყურს ქარახანიანი და მილიციონერი კარაპეტ თოფჩიანიც. მე ვაცნობე ნაჭყებიას და დიგენიას, რომ თოფჩიანებს სურთ ჩემი მოკვლა. მათ სიცილი დამაყარეს და მითხრეს, ისინი ტყუილ უბრალოდ ბაქი-ბუქობენო.

დასასრულ, ფაფაზიანმა უამბო სასამართლოს, როგორ აქეზებდა მარკოზი კანდახჩიანს (ახლა უკვე მოკლულს თოფჩიანების მიერ), ჩემ მოსაკლავად. (ადს)

საბჭოების წევრ-ქალთა ყრილობა

ყრილობის გახსნა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრის დარბაზში გაიხსნა საბჭოების წევრ მუშა და გლეხ ქალების სრულიად საქართველოს რესპუბლიკანური ყრილობა.

ყრილობა გახსნა ამხ. მ. ცხაკაიამ.

საპატიო პრეზიდიუმში: არჩეულ იქნენ: კალინინი, სტალინი, რიკოვი, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, მოლოტოვი, კრუპსკაია, ენუქიძე, არტიუხინა, კ. ცეტკინა, მახარაძე, კახიანი, ელიავა, ორახელაშვილი მ., ნაზარეტიანი, ბლიუხერი, აქსენტიევსკი და მარიამ ორახელაშვილი.

საქმიან პრეზიდიუმში: ამხ. ცხაკაია, დოლობერიძე, თოდრია, სუხიშვილი, ბოლქვაძე ვ., ჯაფარიძე, გეგეშიძე, შავერდოვა, ვაზაკიძე, კანდელაკი, ცოციკაშვილი, ძამაშვილი, ქურდაძე, ქუჩულორია, მაჩაიძე, ხუნდაძე, ბასილია, თაბუაშვილი, იაგოროვა, დარსაველიძე, ოტიაშვილი, წინანდალიანი, გრიგოლია, ბილიონძე, შენგელია, კერვალიშვილი, მიქაბერიძე, კაჩიბაია, შავიშვილი, ლომთათიძე, თამიოძე, ზეგანიძე, ლაუბერგი, მარკინა, სანგულია, ანდრიაძე და შიუკაშვილი.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საკ. კ.პ. (ბ) ცკას, საკავშირო ცაკს, სამხედრო რევ. საბჭოს, ს.კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, ამიერ-კავკასიის ცაკს, საქ. კ. პ. (ბ) ცკას და ამხ. არტიუხინას

მიღებული იქნა ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, 2) კულტურული მშენებლობის 5 წლიანი გეგმა საქართველოში, 3) ხუთ წლიანი გეგმა და კოლმეურნეობათა მშენებლობა საქართველოში, 4) საწარმოო კოოპერაციაში გლეხურ მეურნეობათა გაერთიანების ხუთწლიანი გეგმა და 5) საბჭოების მორიგი ამოცანები და ქალების მონაწილეობა საბჭოთა მშენებლობაში.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ცხაკაიამ.

გუშინდელი სხდომის დაწვრილებითი ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში.

დადგენილებათა შესრულების შემოწმება

(თათბირი ა.-კ. ცაკში)

ამ.-კავ. ცაკში გაიხსნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცაკისა და სახკომსაბჭოების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა შესრულების საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამ.-კავ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელმა ამხ. ვარდანიანმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სადირექტივო და ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილებათა შესრულების საქმე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მეტად ცუდად არის დაყენებული. დადგენილებათა მეტი ნაწილი ან სრულიად შეუსრულებელია, ან სრულდება დიდი დაგვიანებით. არის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის დადგენილება, რომელიც შესრულებული უნდა ყოფილიყო ბრძანების გაცემისთანავე — სრულდება 1 ან 2 წლის შემდეგ და სხვ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელი მუშაკები არ იწუხებენ თავს ზევიდან მიცემულ საკითხების სერიოზულად დასამუშავებლად. მაგალითად, ამ.-კავ. საგეგმო კომისიამ ამას წინად დაავალა რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიებს გამოარკვიონ რა რაოდენობის საექსპორტო ფიჭვის დამზადება შეიძლება მათ რესპუბლიკაში. სომხეთის საგეგმო კომისიამ ამ შეკითხვაზე უპასუხა, რომ სომხეთში ფიჭვი სრულიად არ მოიძებნება, ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ სომხეთში შეიძლება დიდძალი საექსპორტო ფიჭვის დამზადება.

თა გაცვლა-გამოცვლა.

მომხსენებელი ამბობს, რომ მშენებლობის გეგმის განხორციელების ერთი ძირითადი პირობა არის სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა დროზე და სისწორით შესრულება. ამიტომ ყოველგვარი ზომა უნდა იქნეს მიღებული დადგენილებათა შესრულების საქმის თავის დონეზე დასაყენებლად. ამ მიზნით მომხსენებელმა დასახა მრავალი ღონისძიება. კერძოდ, აღნიშნა, რომ საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეიმუშავა საგეგმო - საკონტროლო ბიუროების მოწყობის პროექტი, რომლის მიხედვითაც აღრიცხვაზე აყვანილი იქნებიან ყველა დადგენილების აღმსრულებლები და ამგვარად გაძლიერდება დადგენილებების შესრულებისათვის კონკრეტიული პასუხისმგებლობა.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ყველა ამ ღონისძიებებთან ერთად აუცილებლად საჭიროა დაწესებულებათა მმართველობის ტექნიკის გაუმჯობესება და რაციონალიზაცია.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

დახმარება დამშეულ რაიონებს

ძმური დახმარება

ნუხა, 30 ოქტომბერი. ნუხის პროლეტარიატი თანაგრძნობით შეხვდა ცნობას დასავლეთ საქართველოს დაზარალებულ გლეხებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. დღეს მოხდა ადგილობრივი გაზეთის „შეკი-ფეილია-სა"-ს რედაქციის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც დაადგინა — გადასდოს დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთი დღის ხელფასი. ამავე დროს მუშა-მოსამსახურენი მოუწოდებენ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს — მიბაძონ მათ მაგალითს. ამ საკითხს ორგანიზაციები და დაწესებულებები ერთ-ერთ მახლობელ კრებაზე განიხილავენ. (ადს).

პროფკავშირების ყოველი წევრი უნდა დაეხმაროს დამშეულებს

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირის ყველა წევრს და, ყველა პროფორგანიზაციას მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

— დასავლეთ საქართველოს თავს დაატყდა სტიქიური უბედურება. მიმდინარე წლის მოსავალი თითქმის მთლიანად დაიღუპა გვალვების გამო. წინანდელი ორი წელიც აგრეთვე მოუსავლიანი იყო. გაჩნდა საშიში ავადმყოფობა — პელაგრა, რომელმაც შეიძლება ეპიდემიის ხასიათი მიიღოს. ამის შედეგად ათასი და ათი ათასი გლეხი დარჩა ოხრებული, ავადმყოფი. ისინი უზრუნველყოფილი არ არიან პურით და საქონლის საკვებ მასალით. მათ მოელით შიმშილობა. მათი ყანები დაუთესავი დარჩება. მათ არ შეუძლიათ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე თავი გაიტანონ შემდეგ მოსავლამდე, თუ თავის დროზე არ მივაწოდებთ მათ რეალურ დახმარებას;

საქართველოს მუშათა კლასი ვალდებულია დაეხმაროს გლეხობის საშუალო და ღარიბ ნაწილს, რომელიც გაჭირვებაში ჩავარდა. ვალდებულია დაეხმაროს იმიტომ, რომ გლეხობის ეს ნაწილი იყო და არის პროლეტარიატის ერთგული მოკავშირე, იმიტომ, რომ სოციალიზმის მშენებლობის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მტკიცე იქნება მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი, იმიტომ, რომ პროლეტარიატი გაბატონებული კლასია, საბჭოების ქვეყანაში. პროლეტარიატმა დახმარება უნდა გაუწიოს გაჭირვებაში ჩავარდნილ ამხანაგს, დახმარება უნდა მისცეს მშრომელთა დანარჩენ მასას.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს პროფკავშირის ყველა წევრს და ყველა პროფორგანიზაციას დაეხმარონ მოუსავლიანობისაგან დაზარალებულ დასავლეთ საქართველოს, აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ - ოსეთის გლეხობას. ფართოდ უნდა გავშალოთ თანხების შეგროვების კამპანია. ამ საკითხის გარშემო უნდა დავრაზმოთ მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობა. აუცილებელია ყოველ მხრივ ხელი შეუწყოთ მშრომელი მასების ინიციატივას და თვითმოქმედებას ამ საკითხში.

ნებაყოფლობითი ანარიცხები, მუშაობა დამშეულთა სასარგებლოდ, კვირაობის მოწყობა, გამოწვევა, ფასიანი საღამოების მოწყობა — აი ის ღონისძიებები, რომლებმაც რეალური სახე უნდა მისცეს თქვენს დახმარებას.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ საქართველოს მშრომელები, როგორც ყოველთვის, თავის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდებიან და შეასრულებენ თავის მოვალეობას ღარიბ და საშუალო გლეხობის წინაშე და საქმით დაამტკიცებენ თავის სოლიდარობას მათთან.

დამშეულთა სასარგებლოდ შემოსული ყველა თანხები ფაბქარხადგილკომებმა უნდა გადაგზავნონ თავიანთ სამაზრო განყოფილებებში, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაუგზავნიან მათ თავის ცენტრალურ გამგეობებს, უკანასკნელები კი ჩააბარებენ კომუნალურ ბანკს პროფსაბჭოს სპეციალურ მიმდინარე ანგარიშზე № 1.156. თბილისის ფაბქარხადგილკომებს შეუძლიათ შეგროვილი თანხები უშუალოდ შეიტანონ კომუნალურ ბანკში აღნიშნულ მიმდინარე ანგარიშზე, მხოლოდ თვეთეულ შემთხვევაში უნდა აცნობონ თავის ცენტრალურ გამგეობას შეტანილ თანხის შესახებ.

სურსათ-სანოვაგე დამშეულ რაიონებისათვის

ხორბლეული

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის განკარგულებით, დასავლეთ საქართველოს დამშეულ რაიონებისათვის გამოყოფილია 3 მილიონი ფუთი ხორბლეული. აქედან მეტი ნაწილი იქნება სიმინდი და სიმინდის ფქვილი. ხორბლეულის შემოზიდვა დასავლეთ საქართველოში დაიწყება 1 ნოემბერს. დღეს, თბილისიდან დასავლეთ საქართველოში გაემგზავრებიან ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და ცეკავშირის წარმომადგენლები, რომლებიც ადგილზე მოაწესრიგებენ ხორბლეულის გემიდან გადმოტვირთვის, გადმოზიდვის, შენახვის და განაწილების საკითხს და უშუალო მონაწილეობას მიიღებენ ხორბლეულის ხარისხის შემოწმებაში.

შაქარი, კართოფილი და კომბოსტო

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ დამშეულ რაიონებისათვის გამოჰყო 4 ვაგონი შაქარი, რომელიც გასანაწილებლად გადაეცა ცეკავშირს. მასვე დამშეულთათვის გასანაწილებლად გადაეცა 50 ვაგონი კარტოფილი და კომბოსტოს საჭირო რაოდენობა.

ლობიო

დამშეულთა დამხმარე კომიტეტის გამოანგარიშებით დასავლეთ საქართველოს დამშეულ მოსახლეობისთვის საჭიროა 10.000 ფუთი ლობიო. ვინაიდან საქართველოში წელს ლობიოს მოსავალი მეტად დაბალი იყო, ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინაშე, რათა დამშეულ რაიონებში ჩრდილოეთ - კავკასიიდან შემოზიდულ იქნეს მუხუდო და ცერცვი.

ხვალ იწყება საბჭოთა აპარატის წმენდა

დაუზოგავათ გამოვამჟღავნოთ ყველა, ვინც ხელს უშლის საბჭოთა აპარატის ნორმალურ მუშაობას

აპარატის წმენდა უნდა დაუკავშიროთ მუშაობის ფორმების გაუმჯობესებას

როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა

ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში მოსამზადებელი მუშაობა საბჭოთა აპარატის წმენდისათვის დაიწყო აგვისტოს შუა რიცხვებიდან.

როგორც სხვა დაწესებულებებში, აქაც ადგილობრივ კომუჯრედის და ადგილკომის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა აპარატის წმენდის დამხმარე კომისიები, რომელთაც იმ თავითვე მასიური ხასიათი მისცეს მოსამზადებელ მუშაობას; უჯრედის და მოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებებზე, სისტემატიურად შუქდებოდა საკითხები აპარატის წმენდისა და გაჯანსაღების მნიშვნელობის შესახებ.

დამკვრელ ბრიგადებისა და „მსუბუქი კავალერიის" მიერ აპარატის გამოკვლევამ გამოამჟღავნა მთელი რიგი უარყოფითი მხარეები: სამსახურში დაგვიანება, საქმის გაჭიანურება, ბიუროკრატიზმი, პროტექციონიზმი და სხვა.

მოსამზადებელ მუშაობის ჩამტარებელ კომისიის მიერ გამოშვებულ კედლის გაზეთების სპეციალურ ნომრებში გამოქვეყნებულ იქნა მსუბუქი კავალერიის მასალები, რომლის საფუძველზედაც შერჩეულია სათანადო კანდიდატები წმენდისათვის.

პროფკავშირის მონაწილეობა მოსამზადებელ მუშაობაში მოისუსტებდა; მას კომისიისათვის არ მიუცია ორგანიზაციის წევრთა საქმიანობის დახასიათებანი, რაც საჭიროა წმენდის ნორმალურ და უნაკლოდ ჩატარებისათვის.

გარდა კედლის გაზეთის სპეციალური ნომრებისა, მოსამზადებელ მუშაობის ჩამტარებელ კომისიის მიერ გამოშვებულია სათანადო პლაკატები, ლოზუნგები და მოწოდებანი.

აპარატის წმენდის დაწყება ამიერ-კავკასიის ფინსახკომში განზრახულია ნოემბრის პირველ რიცხვებიდან.

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატში

არც შრომის სახალხო კომისარიატი ჩამორჩება სხვა დაწესებულებებს აპარატის წმენდის მოსამზადებელ მუშაობის ჩატარებაში; აქ რამდენიმეთ უკეთესი მდგომარეობაცაა.

დამხმარე კომისიამ მუშაობა დაიწყო აგვისტოს პირველ რიცხვებიდან; მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ, როგორც პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები, ისე ნებაყოფლობითი ჯგუფები, რამაც მოსამზადებელ მუშაობას ფართე ხასიათი მისცა.

მოსამზადებელ მუშაობის დაწყებამდე კომუჯრედის, კომკავშირის უჯრედის და ადგილკომის კრებებზე წინასწარ შესწავლილ და დამუშავებულ იქნა საკითხი აპარატის წმენდის ხასიათის შესახებ, რის შემდეგაც გამოყოფილი იქნა სათანადო დამკვრელი ბრიგადები და „მსუბუქი კავალერია"-ს რაზმი.

ამას გარდა მოსამზადებელ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო პროფკავშირის ორგანიზაციამ, ქალთა აქტივმა და სადელეგატო კრებების წევრებმა.

პროფკავშირმა თავის მხრივ მოსამზადებელ მუშაობის ჩამტარებელ კომისიას გადასცა დახასიათებანი პროფკავშირის წევრთა სოც. მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ.

კედლის გაზეთებში „მსუბუქი კავალერი"-ის მიერ გამომჟღავნებულ იქნა აპარატში მომუშავე ზოგიერთ პირთა დაუდევრობა და საქმისადმი გულგრილობა, მასალები საბოლოო დასკვნისათვის გადაეცა მოსამზადებელ მუშაობის ჩამტარებელ კომისიას, რომელიც მათ სათანადო საბუთებით წარუდგენს ცენტ. გამწმენ. კომისიას.

კუთხეები, რომლებიც აპარატის წმენდასთან დაკავშირებით იყო დადგმული, მასალებით სავსეა; მოსამზადებელი მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ცენტ. გამწმენდ კომისიის დადგენილებით შრომის სახალხო კომისარიატში აპარატის წმენდის დაწყება გადადებულია 1 ნახ. თვით.

არტელი „ნემსი" უნდა გაიწმინდოს ყოფ. ვაჭრებისაგან

თბილისში არსებობს არტელი „ნემსი", რომელიც აერთიანებს დაახლოებით 250 მუშა-ხელოსანს. არტელი, რომელიც ატარებს სარეწაო კოოპერაციის სახელს, უნდა ასრულებდეს საწარმოო მუშაობას, მაგრამ რას ვხედავთ სინამდვილეში? იმის ნაცვლად, რომ მათ გაეხსნათ საწარმოო სახელოსნოები და თავიანთი ნაწარმოები ჩაებარებინათ სამომხმარებლო კოოპერაციისათვის, მათ გახსნეს სამ-ოთხი სავაჭრო მაღაზიები და ეწევიან სარეკორდო სპეკულიაციას. მაგალითად ის დამზადებული საქონელი, რომელიც არტელს უჯდება 15 მანეთი, არტელის სავაჭროებში იყიდება 30 მანეთად და ზოგჯერ მეტადაც. ამავე დროს არტელის მაღაზიებში თავმოყრილია ძველი ვაჭრები, რომელთაც დღესაც არ გაუწყვეტიათ კავშირი კერძო ვაჭრობასთან და ეწევიან კოოპერაციის სახელით სპეკულიაციას. ნათქვამის დასადასტურებლად ჩვენ დავასახელებთ რამდენიმე პიროვნებას ყოფილი ვაჭრებიდან. ესენი გახლავთ: ეფრემ ოსეპიანცი— პირველი მაღაზიის გამგე, გეორგ არუთინოვი—მეორე მაღაზიის გამგე, ხაჩიკ ავეტისოვი—მთავარი საწყობის გამგე, აზგარ ოსეფიანცი სავაჭრო აგენტი, სურენ ნაზარიანი მესამე მაღაზიის გამგე. არტელის გამგეობა ვერ სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე. გამგეობის წევრები ერთი-მეორესთან კინკლაობაში არიან გართული და წარმოება კი მიტოვებულია უყურადღებოთ. არტელის წევრებში გამეფებულია არევ-დარევა, ყველა გამგებლობს, ყველა უფროსობს. ამავე დროს საქმით არაფერი კეთდება. შეკვეთების დროზე ჩაბარებაზე არავინ ზრუნავს, ახლის ალებაზე თავს ახავინ იცხელებს, ყველა ეს კი გამოიწვევს არტელის დახურვას. თუ დროზე არ იქნა სათანადო ზომები მიღებული ის 250 მუშა ხელოსანს, რომლებიც არტელში მუშაობენ, უსაქმოდ დარჩენა მოელით.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი: კაცი, რომელიც მოხსნილ იქნა ერთ-ერთი არტელიდან როგორც ძველი ვაჭარი-კომბინატორი და ქურდი, (ეს გარემოება დადასტურდა მის მიერ მოტანილ 9 პალატკიდან, რომელიც მან მიიღო საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოდან, და არტელში კი მოიტანა 7 ცალი, დანარჩენი 2 ცალი კი გაყიდული იქნა კერძო ბაზარზე და სხვა კიდევ ბევრი კომბინაციებით). ეხლა ამ ვაჟბატონს არტელი „ნემსი"-ს მანდატი და პორთფელი ამშვენებს და დღესაც დაუფარავად გაიძახის მუშებში: მოგიკვდეთ აბგარ იაგორიჩი, თუ დღეში ხუთი თუმანი არ გავაკეთოვო (ალბათ კომბინაციებით) და თანაც უმატებს, ეს ქვეყანა ღუმაა, თუ შნო გაქვს მოთალე და სჭამეო. ეს პირველი და უკანასკნელი არაა. ასეთები საკმაოდ მოიძებნება არტელ „ნემსში".

დროა გაიწმინდოს არტელი „ნემსი" მავნე ელემენტებისაგან. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს არტელის წმინდა, გაძევებული უნდა იქნას არტელიდან ქურდები, სპეკულიანტები, კონტრაბანდისტები და კოოპერაციის ხელის შემშლელნი.

დასასრულ აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი: არტელ „ჭრა-კერვა"-ს გაწმენდის დროს, მოხსნილ იქნა კომისიის მიერ არტელის წევრები: არტემ მურადიანი, მიკირტიჩ გუკასოვი და სარქის დუნდუმარჯიანცი როგორც არტელისთვის უცხო პირები. მას შემდეგ თითქმის ორმა თვემ განვლო და ეს გაძევებული პირები ისევ არხეინათ განაგრძობენ არტელში სამსახურს. რაშია საქმე? ვისი ხელი მფარველობს ამ ვაჟბატონებს? მარტო დადგენილების გამოტანა არ კმარა, საჭიროა მისი ცხოვრებაში გატარებაც.

დაბოლოს საჭიროა არტელის გამგეობის გაჯანსაღება, რომ გამგეობაში არჩეულ იქნენ ისეთი ამხანაგები, რომელნიც შესძლებენ არტელის მართვა-გამგეობას და სისწორით გაატარებენ კოოპერაციის ხაზს.

სიტყვა კავშირის საორგანიზაციო განყოფილებას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას ეკუთვნის. საჭიროა სასწრაფო ზომები, სანამ არტელი მთლად არ განადგურებულა.

მეთვალყური.

ცოტა რამ სკოლა-საკრებულოს „პედაგოგების" შესახებ

ბევრი დაიწერა სკოლა-საკრებულოს საქმიანობის შესახებ, მაგრამ მდგომარეობის ნათლად დასასურათებლად საჭიროა კიდევ ბევრის თქმა.

სკოლა-საკრებულოს ხელმძღვანელობს ცნობილი ინტრიგანი ევგენი ნიკოლოზის ძე ოდიშარია.

ამ „პედაგოგს" არსად არ უმუშავნია ისე, რომ თავისი „მოღვაწეობის კვალი" არ დაემჩნია; მისი ინტრიგების გამო დაიხურა თბილისის მე-10 საბავშო სახლი და ხელმძღვანელთა მთელი შემადგენლობა დაიშალა.

განათლების განყოფილებამ ის მოხსნა სამსახურიდან.

ასეთვე იყო ის გამოსტუმრებული სხვა ადგილებიდანაც, მაგრამ რაღაც მოხერხებით თავი შეაფარა განსახკომს და დღემდე საცდელ-საჩვენებელ სკოლა-საკრებულოს გამგეთ არის.

მან აქაც არ მოიშალა თავისი ჩვეულება და სკოლა-საკრებულო ინტრიგებში გახვია.

მოქ. ოდიშარია ამ „საგმირო" საქმეებს მარტო არ აჭახრაკებს. მის ირგვლივ შემოკრებილია ნათესავ-მეგობრები, რომლებიც შეერთებული ძალით ილაშქრებენ ყველა დანარჩენთა წინააღმდეგ.

გასულ სამოსწავლო წელს, რამდენიმე მასწავლებელმა გაბედა მის წინააღმდეგ გამოსვლა პედ. საბჭოს სხდომაზე, ისინი აღნიშნავდნენ, რომ მათ სუსტი პედაგოგიური ხელმძღვანელობა აქვთ სკოლის ადმინისტრაციისაგან, მაგრამ ეს გაბედული გამოსვლა ძვირად დაუჯდათ. ყველა ისინი სამოსწავლო წლის დასაწყისში წარდგენილ იქნენ სამსახურიდან მოსახსნელად, როგორც „უვარგისნი და ნაყოფიერ მუშაობისათვის ხელის შემშლელნი".

მოქალაქე ოდიშარიას მარჯვენა ხელს წარმოადგენს დავით მელიქაძე.

დ. მელიქაძის ცოლი, სოფიო მელიქაძე ითვლება სკოლა-საკრებულოს გამგის მოადგილეთ. ვამბობთ „ითვლება" იმიტომ; რომ ეს „მოღვაწე" მხოლოდ ირიცხება შტატში გამგის მოადგილის თანამდებობაზე და ჯამაგირს იღებს თვეში 250 მანეთამდე, ხოლო მას თავისი მოვალეობა სრულებით არ ესმის და არც მისი გაკეთებული საქმე უნახავს ვინმეს.

ეს დროზე აღნიშნა ლენრაიკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ, რომელმაც წინადადება მისცა განსახკომს მოეხსნა ეს პირი. მისთვის შეუფერებელ თანამდებობიდან.

ოდიშარია იფარავს ასეთ „საქმიან" მოადგილეს, ხოლო „საქმიანი" მოადგილის მადლიერი ქმარი დ. მელიქაძე კი ღირსეულად უფასებს მას სამსახურს.

აღსანიშნავია, რომ მელიქაძეს ბინა აქვს სკოლა-საკრებულოში, საჭიროა საბჭოთა აპარატის გამწმენდმა კომისიამ შეიხედოს აღნიშნულ დაწესებულებაში.

—ლი.

მევახშე და გამფლანგველი კვლავ სამსახურშია

(წერილი ზესტაფონიდან)

ქ. ზესტაფონში ყველა იცნობს ნ. კოვზირიძეს. იგი მსახურობდა პირველი შვიდ წლედის გამგეთ, სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ და მოწაფეთა ორგანიზაციამ დაადგინეს დაედგათ სკოლაში რადიო მიმღები აპარატი. დაიწყო საჭირო თანხების შეგროვება. მოწაფეობა აღტაცებული იყო რადიოს დადგმით და დიდი ხალისით შემოქონდა ფული.

შეგროვდა 500 მანეთამდე. ეს თანხა რა თქმა უნდა ჩააბარეს „საიმედო პირს" სკოლის გამგეს ნ. კოვზირიძეს; აბა ვინ იფიქრებდა, რომ სკოლის გამგე ამ ფულს ბოროტად გამოიყენებდა?

გამგემ ისარგებლა მომენტით. ფული გაასესხა ზესტაფონში ცნობილ ვაჭარ ლასო ნიორაძეზე და მისგან ღებულობდა სათანადო პროცენტებს, რომელიც თვითონ მიქონდა.

ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი გამოაშკარავდა. გამგე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ რას გააწყობდა. მას დაუმტკიცდა მევახშეობა და შავ სიაში მოხვდა.

სამი წლის წინად, პირველი შვიდწლედის მოწაფეებმა, საკავშირო ცაკის მდივნის ამხ. აბელ ენუქიძის მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკაში ყოფნის დროს, მისი დახმარებით მოაწყვეს ექსკურსია ქ. მოსკოვში.

ერთ-ერთ ქალაქში ყოფნის დროს საექსკურსიო ბიურომ ექსკურსანტებს მისცა რამდენიმე მანეთი კულტურული გართობისათვის. ეს ფული გადასცეს კოვზირიძეს; მას ფული უნდა გაენაწილებია ექსკურსანტებს შორის, მაგრამ ამას აგვიანებდა.

ექსკურსიიდან დაბრუნებისას, გზაში კომისიის წევრებმა მოსთხოვეს გამგეს ანგარიშების გასწორება. გამგეს ეს ამბავი ცოტა არ ესიამოვნა. იგი არ ფიქრობდა, თუ თავისი მოწაფეები მას ასეთ „ურჩობას" გაუბედავდნენ, მაგრამ რას იზამდა, მოთხოვნა უნდა შეესრულებინა. „გაასწორა" ანგარიშები გამგემ, მაგრამ დააკლდა 30 მან.

კოვზირიძეს დაუმტკიცდა მევახშეობა და გაფლანგვა და იგი მოხსნილი იქნა სკოლიდან.

მაგრამ რას ვხედავთ შემდეგში?

კოვზირიძემ თავი ამოყო თბილისში, განათლების სახალხო კომისარიატის აპარატში, სადაც მოწყობილია თბილად და უდარდელად.

ჩვენ მეტს არაფერს ვიტყვით, დანარჩენი საბჭოთა აპარატის გამწმენდ კომისიის საქმეა.

მცოდნე.

ყოფ. ბანდიტი—ტრამვაის კონდუქტორი

1922—23 წლებში გურიაში თარეშობდა ბანდიტების ხროვა. მათი იდეური სულის ჩამდგმელნი პროლეტარულმა ხელისუფლებამ გაანადგურა, დარჩა ზოგიერთი პირები, რომლებიც შემთხვევით გადაურჩნენ სასჯელს. ხალხმა მოისვენა, ცხოვრება მშვიდობიან კალაპოტში ჩადგა. წვრილმან ქურდ ბაცაცებს თვით გლეხობამ გამოუტანა მსჯავრი და გამოსწორების გზაზე დააყენა. ზოგიერთებმა სამწუხაროდ, მოახერხეს ჩვენს დაწესებულებებში მოკალათება.

ასე, მაგალითად, ტრამვაის პარკში დღესაც მსახურობს ყოფილი ბანდიტი, 1924 წლის ავანტიურის აქტიური მონაწილე **მიხა გოგიჩაიშვილი.**

ცოტა რამ მის წარსულზე. მამა მისი არის ბანქოს მოთამაშე და საზოგადოებისათვის მავნე ელემენტი, თავის დროზე მას ჯურუკვეთის გლეხობის მოთხოვნით სათანადო მსჯავრი გამოუტანეს და გადაასახლეს ამ თემიდან. მისმა შვილმა დაიწყო კონტრაბანდისტობა, შემდეგ ქურდობა სოფელში. თუ სადმე ბატი, იხვი ან ქათამი დაიკარგებოდა, ამის წამყვანი აუცილებლად მიხა იყო. რამდენიმეჯერ დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ მის გამოსწორებას არ დაადგა საშველი.

1922 წლიდან ის უკვე ცნობილი ყაჩაღი გოგია ღლონტის ბანდის წევრი ხდება. ნაქურდალი ფულებით ვეებერთელა სახლი აავო სოფელში. 1923 წლამდე განაგრძო ეს „საპატიო" ხელობა, მაგრამ როცა საბოლოოდ განადგურდა გურიის ყაჩაღების ბრბო, მას სხვებთან ერთად დახვრეტა ქონდა მისჯილი. დანარჩენები, როგორც სოციალურად საშიში ელემენტები დახვრიტეს, მიხა გადარჩა, მან მოახერხა გაქცევა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მიხა დააპატიმრა პოლიტსამმართველომ და მეტეხში გაგზავნა.

დღეს ეს ყოფილი ბანდიტი ტრამვაის კონდუქტორია. რა უნდა ბანდიტს მუშებს შორის?

მისი მშობლები დღესაც მავნე ელემენტებად არიან ცნობილი, და სოფელს დადგენილება აქვს მიღებული მათი გადასახლებას შესახებ.

მოხე ჭუონია.

მზად ვართ იარაღით დავიცვათ საბჭ. კავშირის საზღვრები

შორეულ - აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის სამხედრო - რევოლუციურ საბჭოს

უგზავნით წითელ არმიელთა მხურვალე სალამს ჩვენს თანამებრძოლს წითელ არმიელებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის წითელ საზღვრებზე დგანან.

ჩვენ თვალყურს ვადევნებთ თქვენს გმირობას, რომელსაც იჩენთ ჩინეთის ხუნხუზებთან ბრძოლაში და გარწმუნებთ, რომ ცვალებადელნი მუდამ თქვენთან არიან და მუდამ მზად არიან იარაღით ჭკუა ასწავლონ საერთაშორისო ბურჟუაზიის ლაქიებს.

მე-4 ქართული ლეგიონი.

ვეწერებით მოხალისეებად შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში

ამხ. ქ. ათაბეგოვი

ვეწერები მოხალისეთ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში, რათა შევიტანო ჩემი წვლილი საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში.

ქ. ათაბეგოვი.

—:—

გავიგეთ, რომ შორეულ აღმოსავლეთში მოეწყო განსაკუთრებული წითელი არმია და გვაქვს სურვილი ჩავეწეროთ მოხალისეთ მის რიგებში, რათა დავიცვათ ოქტომბრის მონაპოვარი ჩინელ მილიტარისტებისა და თეთრ გვარდიელთა თავდასხმისაგან.

ილია თეოდორეს ძე კიკაბიძე, ევგენი პავლეს ძე ამაღლობელი, ნოე სარდიონის-ძე გოგიშვილი.

—:—

ვეწერები მოხალისეთ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში, რათა იარაღით ხელში დავიცვა მშრომელთა სამშობლოს წითელი საზღვრები.

ილია ხოშტარია.

—:—

ჩვენი შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელი არმია აწარმოებს ბრძოლას ჩინელი ხუნხუზების და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ, რომლებიც ესხმიან თავს საბჭოთა კავშირის მშრომელებს. ეს არმია—მედგარი დამცველია ჩვენი საზღვრებისა — უნდა გაძლიერდეს, რომ თავზარი დასცეს ჩვენ მტრებს.

ვეწერები მოხალისეთ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში და ვიწვევ სხვა ამხანაგებს.

არსენ მახანია.

(ა.-კ. რკინის გზის დაცვის 1-ლი რაიონის მეთაური.)

—:—

ჩინელ ხუნხუზების საპასუხოდ ვეწერები მოლაშქრედ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში.

ჯ. ჩიქვინიძე.

პრესის მუშაკების საჩუქარი შორეულ აღმოსავლეთის წითელ არმიას!

გაზეთ „ახალი სოფელი"-ს თანამშრომელთა წინადადება

გაზეთ „ახალი სოფელი"-ს მუშა - მოსამსახურეები ვსდებთ ერთი დღის ხელფასს, შორეულ აღმოსავლეთის წითელი არმიისათვის საჩუქრების შესაძენად: ამავე მიზნით ვიწვევთ გაზ. „კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს, „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს, „მოჯამაგირის ხმა"-ს და „კოოპერატიული ცხოვრები"-ს რედაქციის თანამშრომლებს, და მუშა - მოსამსახურეებს.

—:—

ვაშენებთ თვითმფრინავ „იან ფაბრიციუს"-ს

ამხ. ს. ართილაყვას გამოწვევით თვითმფრინავ „ფაბრიციუსის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ოცი მანეთი (20 მან.) და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლეჩხუმიდან ს. სვანიძეს, დავით ჩხეტიანს, სონია ჩაკვეტიძეს, შალვა მამარდაშვილს, გრიშა სვანიძეს, ალექსი სვანიძეს, პარიმონ ყურაშვილს, შალვა ცქვიტინიძეს, კ. შეროზიას, სამუილ სვანიძეს და მიშა ჩიქოვანს (თბილისი).

—:—

ამხ. ს. ართილაყვას გამოწვევით თვითმფრინავ „იან ფაბრიციუს"-ის ასაგებ ფონდში შემომაქვს ხუთი მანეთი (5 მანეთი) და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დავით ბაბილუას, ნიკოლოზ საჯაიას, ილიუშა ქუმბაძეს, ელისე კოროშინაძეს, ამბაკო კაჭარავას, ვალიკო ბერიძეს, ერემია კუპავას და აკაკი ფოცხიშვილს.

პროკოფი ჯაფარიძე.

ამხ. ცაგარეიშვილი

მე ვარ ღარიბი გლეხის შვილი, ვმუშაობ ხონის ძაფსალებ ქარხანაში დაზგის მუშათ. გავიგე, რომ ბევრი მშრომელი მიდის მოხალისეთ შორეულ აღმოსავლეთ განსაკუთრებულ არმიაში. მეც მაქვს სურვილი მოვეხმარო ჩემი ძალღონით საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეს და ვეწერები შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიის რიგებში მოხალისეთ.

ჟენია ცაგარეიშვილი.

—:—

ამხ. საშა დობორჯგინიძის გამოწვევით ჰაეროპლან „იან ფაბრიციუს"-ის ასაგებ ფონდში შემომაქვს (5) ხუთი მანეთი და ვიწვევ საზინაო ამხ-ების სახლების შემდეგ კომენდანტებს: ვ. ბაგდასაროვს, შენგელიას, გეგეჭკორს, კობერიძეს, დაკანოზიშვილს, კუზნეცოვს, სამადაძეს, ვაშაძეს, ბარკალაიას, მერანისოვს.

თ. წურწუმია.

მოხალისეები შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში



დუშეთის მაზრის ყოფ. წითელ პარტიზანთა ჯგუფი

ჩვენ, დუშეთის მაზრის ყოფ. წითელი პარტიზანებმა, გავიგეთ გაზეთებიდან, რომ ჩინელი ბანდიტები და თეთრგვარდიელები თავს ესხმიან საბჭოთა კავშირის საზღვრებს და აწიოკებენ მშვიდობიან მშრომელ მოსახლეობას.

ჩვენ არ შეგვიძლიან გულგრილად ვუყუროთ მათ თავხედობას, როდესაც ისინი არღვევენ ყოველგვარ კანონიერებას და უშენენ ტყვიას მუშებს და გლეხებს. ამიტომ ვეწერებით მოხალისეებათ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში, რათა იარაღით ხელში გავცეთ პასუხი მათ, ვინც თავხედურათ იჭრება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საზღვრებში.

ბუჩაშვილი ივანე გაბრიელის ძე, დრიაშვილი მაჭა[illegible] ძე ახალაშვილი გრიგოლ მათეს ძე, ქალიაშვილი თედო ივანეს ძე, ხულელიძე სანდრო სვიმონის ძე, ჯანგირაშვილი სერგო გლახას ძე, მოძმარაშვილი ბესო სტეფანეს ძე. მაცირაშვილი კოტე ივანეს ძე, ფრიდონაშვილი შაქრო მალხაზის ძე, გოგილაშვილი ვასო ბეჟანის ძე.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

გუშინ, ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა.

დამშეულ რაიონების დამხმარე კომისია

თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დასავლეთ საქართველოში მოუსავლიანობით დაზარალებულ მცხოვრებთა მდგომარეობა და აღნიშნა, რომ საჭიროა იმ ღონისძიებების გატარებაში, რომლებსაც ღებულობს მთავრობა დამშეულ რაიონების დასახმარებლად აქტიური მონაწილეობა მიიღოს თბილისის ოლქმა თბ. აღმასკომის სახით.

დასავლეთ საქართველოს დამშეულ რაიონების დასახმარებლად თბილისის აღმასკომთან უნდა დაარსდეს საოლქო კომისია, ხოლო ადგილებზე—რაიონული და სასოფლო კომისიები, რომლებიც აღნიშნული მიზნით შეაგროვებენ შემოწირულებებს და გამონახავენ სხვადასხვა საშუალებებს.

პრეზიდიუმმა გადასწყვიტა დაარსებული იქნეს დამშეულ რაიონების დამხმარე საოლქო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვ. ბოლქვაძე (თავმჯდომარე), იუსუფოვი, ანთიძე, არჩუაძე, ერისთავი, შოგირაძე, ადამიანი, მუჩლაშვილი, სტეპანოვი, ქუთათელაძე, გვარამია, კაჭარავა, ივანოვი, გედრგაძე და სააკიანი.

ოქტომბრის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია

შემდეგ პრეზიდიუმმა აირჩია ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია, რომელშიაც შედიან: ამხ. ვ. ბოლქვაძე (თავმჯდომარე), ვ. ავაქოვი, იუსუფოვი, ქაცარავა, ლ. სუხიშვილი, ასრიბეკოვი, ადამიანი, გიორგაძე, მდივანი, სააკიანი, არუთინოვი, მახაიძე, ბუჯიაშვილი, ანდრიაძე, დოჯაშვილი, გელაშვილი, კომახიძე, ბადალოვი, ბუაჩიძე, სნეგიროვი, სტეპანოვი, ხმალაძე და ზელიოვი.

საბჭოთა მეურნეობები

თბილისის ოლქში საბჭოთა მეურნეობების მოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა მიწად-მოქმ. განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. ორჯონიკიძემ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თბილისის მოსახლეობის ბოსტნეულით უზრუნველსაყოფად განზრახულია თბილისის მიდამოებში და მის ოლქში მოეწყოს რამდენიმე საბჭოთა მეურნეობა.

პირველ რიგში საბჭოთა მეურნეობა უნდა მოწყობილიყო სოღანლუღში 2.500 ჰექტარზე, ორთაჭალაში და კრწანისის ბაღებში.

გამართულ კამათში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვ. ბოლქვაძემ, ლ. სუხიშვილმა, ასრიბეკოვმა, გავაშელმა და სხ. აღნიშნული იქნა საბჭოთა მეურნეობების მოწყობის დარგში მიწად-მოქ. განყოფილებას სუსტი მუშაობა, საქმის მოდუნება და უინიციატივობა.

აგრეთვე აღნიშნული იქნა მიწად-მოქმედების განყოფილების დაუშვებელი გულგრილობა ბაშკიჩეთის ფერმისადმი. ეს ფერმა მშვენივრად მოწყობილია, მაგრამ მას არ ექცევა სათანადო ყურადღება.

პრეზიდიუმმა დაადგინა დაუყოვნებლივ დაწყებული იქნეს კრწანისში საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაცია, დაჩქარდეს სოღანლუღის ნიადაგის გამოკვლევა და ეთხოვოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს დროზე შეადგინოს სოღანლუღის მორწყვის გეგმა.

ორთაჭალაში მოეწყოს ერთი მთლიანი კოლექტიური მეურნეობა და ამ მეურნეობაში გაერთიანებული იქნენ ამჟამად ორთაჭალაში მომუშავე მოჯამაგირეები. დაუყოვნებლივ შესწავლილი და ჩაბარებული იქნეს ბორჩალოს მაზრაში არსებული ბაშკიჩეთის მერძეობის ფერმა. იმავე დროს შექმნილი იქნეს ახალი ფერმა და მოეწყოს ერთი მთლიანი ფერმა.

ამ ღონისძიებების ჩასატარებლად და საერთოდ თბილისის ოლქში საბჭოთა მეურნეობების მოწყობის საქმის შესასწავლად გამოყოფილი იქნა სპეციალური კომისია.

ოქტომბრის დღეებისათვის

როგორ უნდა ჩატარდეს დღესასწაული

საქალაქო და სასოფლო რაიონულ კომიტეტებს

ოქტომბრის რევოლუციის მე-12 წლის თავის დღესასწაული უნდა ჩატარდეს შემდეგი ლოზუნგებით: საბჭოთა კავშირის, როგორც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ბაზისის, ხაშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება, მშრომელთა ფართო მასების დარაზმვა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანების ირგვლივ, შემდგომი გადამჭრელი შეტევა ქალაქისა და სოფლის კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ, პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის საშუალო გლეხთა მასებთან კავშირის შემდგომი განმტკიცების საფუძველზე.

ოქტომბრის წინა დღეებში საჭიროა ფართოდ გაიშალოს პოლიტიკური აგიტაცია და კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა მასებს შორის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს:

1. ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობის, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ამოცანების ახსნა-განმარტება.

2. ბრძოლა ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის, რაც წარმოადგენს სახალხო მეურნეობის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და რეკონსტრუქციის აუცილებელ პირობას, ხუთი წლის საკონტროლო ციფრების, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მოსავლიანობის აწევის გადიდების ამოცანების და სხვ. პროპაგანდა.

3. მეურნეობის რაციონალიზაციის საკითხები, თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების აწევა და განსაკუთრებით ის საკითხები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობასთან როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

4. ბრძოლა ნამდვილი სალი თვითკრიტიკის სრული გაშლისათვის, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში პროლეტარული მასების ფართოდ ჩაბმა.

5. კულტურული რევოლუციის მნიშვნელობისა და კერძოდ, ახალი პროლეტარული კადრებისათვის და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის აუცილებლობის ახსნა-განმარტება.

6. კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლის გაძლიერება, კულაკის წინააღმდეგ შეტევის შემდგომი გაშლა; ბრძოლა მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების კავშირის შემდეგომი განმტკიცებისათვის.

7. კომპარტიის ხელმძღვანელი როლის ახსნა-განმარტება, ულმობელი ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრებთან, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრასთან, რომელიც ეხლანდელ პირობებში ყველაზე საშიშარია, ბრძოლა ნაციონალიზმთან და წვრილ-ბურჟუაზიულ მერყეობასთან მასების ჩამორჩენილ ფენებში.

8. ულმობელი ბრძოლა კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის, მენშევიზმის და სხვა ანტი-საბჭოთა პარტიების ნაშთებთან.

მზადება ზეიმისათვის

1. კამპანიის ხელმძღვანელოდ ეწყობა:

ა) საოლქო და საქალაქო ცენტრალური კომისია თბილისის აღმასკომთან.

ბ) ქალაქებში—რაიონული კომისიები. ამ კომისიებს თავმჯდომარეობენ რაიონული კომიტეტების მდივნები, რომლებსაც სცვლიან აგიტპროპგანყოფილებების გამგეები. კომისიებში წევრებად შედიან: კომკავშირის, პროფესიონალური, სამხედრო, ძირითადი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ორი-სამი დიდი საწარმოს წარმომადგენელნი;

გ) სოფლად — კომისიები რაიონულ აღმასკომებთან. ამ კომისიებს თავმჯდომარეობენ აღმასკომების თავმჯდომარეები, ხოლო წევრებად შედიან რაიონული კომიტეტების მდივნები და აგიტპროპორგანიზატორები, კომკავშირისა და სოფლის პროფესიონალურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

2. 1-ლი ნოემბრიდან 7 ნოემბრამდე უნდა გაიშალოს საგიტაციო კამპანია შემდეგი ფორმით.

ა) 2 ნოემბერს კლუბებში ჩატარდეს აგიტაციის დღე მოხსენებებით საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

ბ) მუშათა კლუბებში, წითელ კუთხეებში და სოფლის სამკითხველოებში გაიმართოს საზეიმო კრებები, მოხსენებები და გამოგონებათა საღამოები.

გ) სასადილო შესვენება გამოყენებულ იქნას კულტმუშაობის სხვადასხვა ფორმებისათვის.

დ) გაიშალოს სათანადო ჯგუფური და ინდივიდუალური აგიტაცია მუშებსა და გლეხებს შორის;

ე) სკოლებში მოეწყოს სათანადო საღამოები და მოხსენებები;

ვ) მოეწყოს პიონერ-კოლექტივთა შეკრება სათანადო მოხსენებათა გაკეთებით და საუბრების გამართვით;

ზ) კლუბებში უნდა გაიმართოს საწარმოო საღამოები,—სოციალისტური შეჯიბრების შემოწმების საღამოები, უნდა მოხდეს იმ ლოზუნგის პოპულიარიზაცია, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში განხორციელდეს ხუთწლიანი გეგმა;

თ) მოეწყოს მუშათა მასიური ექსკურსიები მუზეუმებში, საშეფო სოფლებში, კოლმეურნეობებში და წითელ არმიის ნაწილებში.

3. ზეიმისათვის მზადების პროცესში ფართოდ გამოყენებულ იქნას ადგილობრივი პრესა, კედლის გაზეთები და რადიო-გადაცემა.

4. აგიტპროპმუშაობის ცენტრალურმა კაბინეტმა და ყველა ბიბლიოთეკებმა უნდა გაშალონ სათანადო მუშაობა გამოფენების მოსაწყობად, ბიბლიოგრაფიულ მითითებათა მისაცემად და სხვ.

5. სოფლად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ 7 ნოემბრისათვის წარმატებით ჩატარდეს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაცია, მოეწყოს ახალი კოლმეურნეობები, გამოყენებულ იქნას ამ მუშაობაში სოციალისტური შეჯიბრების მეთოდები, 7 ნოემბრისათვის უნდა დამთავრდეს პარტგანათლების ქსელისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ხალიკვიდაციო ქსელის მოწყობა.

6. საშეფო საზოგადოებამ უნდა მოაწყოს შეფორგანიზაციების გამგზავრება სოფლებში.

7. მთელი კამპანია უნდა ჩატარდეს წითელი არმიის მიმაგრებულ ნაწილებთან ერთად. წითელი არმიის მიმაგრებული ნაწილების კრებებზე უნდა გაკეთდეს მოხსენებები საწარმოს სამეურნეო მიღწევათა შესახებ.

მოეწყოს ყაზარმების მასიურად დათვალიერება.

8. საქართველოს პროფსაბჭომ თავის დროზე უნდა გამოსცეს სათანადო ლოზუნგები.

ზეიმის ჩატარება

6 ნოემბერს, საღამოს შესდგება თბილისის საბჭოს საზეიმო გაფართოებული სხდომა ოქტომბრის რევოლუციის მე12 წლის თავის აღსანიშნავად.

7 ნოემბერს: ქალაქში — დილით იმართება ფართო მასიური დემონსტრაცია და პოლიტ-კარნავალი მუშათა და გლეხთა, წითელარმიელთა, უფროს ჯგუფების მოწაფეთა, ფიზკულტუროსნებისა და პიონერების მონაწილეობით.

სოფლად: რაიონულ ცენტრებში იმართება მასიური დემონსტრაციები ან მიტინგები, ეწყობა სოფლის საბჭოების საზეიმო გაფართოებული სხდომები.

8 ნოემბერს: დღისით — ფიზკულტურის დღესასწაული სათანადო მოედანზე.

საღამოს: უფასო საღამოები კლუბებში და კინო მუშებისა და წითელარმიელებისათვის.

თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი—
ლ. სუხიშვილი.

აგიტპროპგანყოფილების განყ. გამგის მოადგ.—
ადამიანი.

სკოლის კვირეული

როგორ მიმდინარეობს წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა

მიმდინარე სამოსწავლო წელში წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის საქმეში უკვე ჩატარებულ მუშაობიდან აშკარადა სჩანს, რომ ხდება სრული გარდატეხა პარტიულ, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მხრით წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმის სასარგებლოდ. ბევრს ადგილებში მასწავლებელთა და მოსწავლეებს და კულტურულ ძალებს გამოაქვთ დადგენილება, რომ ისინი ყოველ მხრივად მიიღებენ მონაწილეობას წ.-კ. უც-ის ლიკვიდაციის საქმეში და უსასყიდლოთ შეასწავლიან უცოდინარებს წერა-კითხვას.

მაგ., ქუთაისის ოლქში მასწავლებლობა ხსნის 268 სალიკვიდაციო სკოლას და უფასოდ აწარმოებს სკოლებში მეცადინეობას; გორში იხსნება 95 სკოლა უფასოდ, თბილისში (მცირე ნაწილის გამოკლებით) სკოლები ვალად ღებულობენ მოსწავლეთა ოჯახებში მყოფ უცოდინარებს შეასწავლონ წერა-კითხვა. ასეთი მაგალითები ბევრია რესპუბლიკის მაშტაბით.

კომკავშირის ორგანიზაციამ დაიწყო მწყობრი და გეგმიანი მუშაობა ყველა ოლქებსა და მაზრებში. თვითეულ საოლქო და სამაზრო ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს, თუ რამდენ უცოდინარს უნდა შეასწავლოს წერა-კითხვა. სამუშაო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა რესპუბლიკის ყველა ადგილებში დასრულებულია, ჩამოყალიბებულია სალიკ-სკოლების ქსელი ტერიტორიის მიხედვით; ამ მხრივ მოისუსტებენ ახალციხის, ახალქალაქის, ზუგდიდის მაზრები და სვანეთი. დეფიციტიანი მაზრები უმნიშვნელო თანხებს ითვალისწინებენ ადგილობრივ ბიუჯეტში, რაც უსათუოდ დააბრკოლებს გეგმის შესრულებას (ოზურგეთი, ახალქალაქი, ზუგდიდი, ზ. სვანეთი და სხვ.), ამ გარემოებას ეხლავე უნდა მიექცეს ყურადღება სათანადო ორგანოების მიერ. წერა-კითხვის სკოლებისათვის ანბანი ყველა ენაზე (ქართულ, რუსულ, სომხურ, თურქულ) დამზადებულია საკმაო რაოდენობით და წინასწარ განაწილებით ეგზავნება ავტ. რესპუბლიკებს, მაზრებს და ოლქებს. ზუგდიდის მაზრისათვის ცალკე იბეჭდება მეგრული ანბანი, რომელიც ადგილობრივად არის დამუშავებული. ოსური ანბანის გამოცემა იკისრა თვით სამხრეთ-ოსეთმა. ოსურ ანბანებს მივიღებთ დეკემბრის პირველ რიცხვებში. რვეულები და ფანქრები განაწილებულია და სახელგამის მიერ იგზავნება დანიშნულებისამებრ. უნდა აღინიშნოს, რომ საქ. სახელგამი პირნათლად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ძლიერ აგვიანებს სასწავლო ნივთების გადაგზავნას (ჯერაც არ მიუღია გორს, ქუთაისს და სხვ.), პოლიტგანის მთავარ მართველობას კი ეუბნება, რომ გადაგზავნილიაო. ეს გარემოება ძლიერ აფერხებს ხალისიან მუშაობას ადგილებზე და ქმნის გაუგებრობას. დადებულია ხელშეკრულებები პროფსაბჭოსთან, ცეკავშირთან საზ-ბა „წერა -კითხვა"-სთან, ა.-ლ.-კ.-კ. ცეკასთან, სარეწაო კოოპერაციასთან, სიტყვიერი შეთანხმება იყოება მიღწეული „სოფლის კავშირთან". წ.-კ. უც-ბის საკითხის შესახებ დაბეჭდილია 35 ათასი ცალი ლოზუნგი ქართულ და რუსულ ენაზე; ისინი დაეგზავნა ადგილებს.

17 ოქტომბერს პოლიტგანათლების მთავ. მართველობაში შესდგა ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების და მაზრის პოლიტგანების თათბირი, რომელზედაც განმარტებულ იქნა სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები და მოსმენილი იქნა მოხსენებები ადგილებიდან ჩატარებული მუშაობის შესახებ.

წ.-კ. უც.-ის ლიკვიდაციის საქმის წარმატებით შესრულების მიზნით ყველა ადმინისტრატიულ რაიონებში ინიშნება სალიკვიდაციო და მცირემცოდნეთა სკოლების ინსტრუქტორები, რიცხვით 60-ე კანდიდატების შერჩევა და დანიშვნა უკვე მიმდინარეობს. გაძლიერებული ყურადღება არის მიქცეული ნაცუმცირეობათა შორის წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციაზე. გახსნილია დამატებითი სკოლები. 250 სკოლა გამოყოფილია ნაც-ოლქებსა და მაზრებში ქალებისათვის.

ადგილებზე ტარდება წ.-კ. სკოლების მასწავლებელთა თათბირები. სომხურ და თურქულ სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლათ იხსნება ერთთვიანი კურსები ახალციხეში, ახალქალაქში და ბორჩალოში. ამ კურსების გახსნა დაგვიანდა ადგილობრივ პოლიტგანების დაუდევრობით.

ძ. ჩ.

კლუბების მონაწილეობა კვირეულში

ორჯონიკიძის სახ. მუშათა კლუბმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სკოლის კვირეულის ჩატარებაში. თბ. რკ. გზის მთავარ. სახელოსნოში, დეპოში და სავაგონო პარკში გამოკრული იქნა სათანადო პლაკატები და ლოზუნგები. 20 ოქტომბერს კლუბის დარბაზში შეკრებილმა 700-ე მუშამ მოისმინა თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის ამხ. ქ. ქაცარავას მოხსენება კულტურულ რევოლუციაზე და კულტ-მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათეულმა კაცმა. კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად აღნიშნავდნენ იმ დეფექტებს, რომელიც ხელს უშლის კულტმშენებლობის სწრაფი ტემპით განვითარებას. კლუბში მოწყობილი იყო საბავშვო ლიტერატურის და კედლ-გაზეთების გამოფენა. გამოფენა მოაწყო აგრეთვე „ზაკკნიგამ" და სახელგამმა.

კვირეულთან დაკავშირებით საღამოს ჩატარებაში მონაწილეობა მიიღო სიმებიანმა ორკესტრმა, კლუბის მომღერალთა გუნდმა და დრამატიულმა წრემ. სახელმწიფო კონსერვატორიის ძალების საშუალებით კლუბში გაიმართა კონცერტი. 26 ოქტომბერს, ჩატარებული იქნა მოხსენება, შემდეგ თემაზე: „ძირს. წერა-კითხვის უცოდინარობა". ამ მოხსენებას დესწრო 500 კაცი.

გარეჯელი.

ქუთაისის ოლქში

აღმასკომის მექრთამე თავმჯდომარე

ქუთაისი, 30 ოქტომბერი. ქუთაისში დაპატიმრეს ჩხარის (შორაპნის მაზრა) სარაიონო აღმასკომის თავმჯდომარე შალვა თორთლაძე, რომელმაც თემის აღმასკომის თავმჯდომარედ ყოფნის დროს ზედასაზანის თემის გლეხებისაგან ქრთამი აიღო. გლეხებმა საჩივრით პროკურორს მიმართეს. მათ განაცხადეს, რომ შალვა თორთლაძემ 162 მანეთი ქრთამში გამოართვა 13 გლეხს იმ ჩამორთმეული ტყის დაბრუნებისათვის, რომელიც, ზესტაფონის სამაზრო აღმასკომის დადგენილების თანახმად, ღარიბ გლეხებისათვის უნდა გადაეცათ. მაგრამ შალვა თორთლაძემ ეს დადგენილება 3 თვის განმავლობაში შეაჩერა და ჩუბინიძის ქვრივის საშუალებით გლეხებისაგან ქრთამი აიღო. თორთლაძე დაუყონებლივ გაიწვიეს ქუთაისში, სადაც ის გამოტყდა დანაშაულში. ფიქრობენ, რომ ის ხშირად იღებდა ქრთამს, რადგანაც ხუთი წლის განმავლობაში, რაც თავმჯდომარედ იყო, მან 4—5 ათას მანეთად ღირებული სახლი ააგო, ჯამაგირს კი თვეში 45—50 მანეთს იღებდა. თავისი საქციელით მას ტერორქვეშ ჰყავდა დაყენებული მთელი მოსახლეობა, ავიწროებდა თვითკრიტიკას, სდევნიდა სოფლის კორესპონდენტებს, ადგილობრივი ორგანიზაციები ყურადღებას არ აქცევდნენ გლეხების საჩივრებს. საქმე საჩვენებელი პროცესის წესით 2 კვირის შემდეგ გაირჩევა. (ადს)

პიონერთა ოპერა ქუთაისში

ქუთაისის ნორჩ-პიონერთა საოლქო ბიუროს ინიციატივით, ქუთაისში მოეწყო პიონერთა ოპერის თეატრი. თეატრს ხელმძღვანელობენ ქუთაისის აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი—კ. მარჯანიშვილი და ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმის გამგე ი. აბაშიძე. პიონერთა ოპერის თეატრში მისაღებათ დანიშნულ გამოცდებზე გამოცხადებული 200 პიონერიდან მიღებულ იქნა 85 პიონერი.

ქრონიკა

სოფლის მუშაკთა ყრილობა

დეკემბერში მოსკოვში შესდგება სოფლის მუშაკთა საკავშირო ყრილობა, რომელზედაც საქართველოდან დაესწრება 6 წარმომადგენელი.

განათლების მუშაკთა კავშირის ახალი მდივანი

ამ დღეებში შესდგა საქ. განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობის რიგს გარეშე პლენუმი, რომელმაც კავშირის ახალ მდივნათ აირჩია ამხ. გ. ჟღენტი.

კავშირის ცენტრ. გამგ. წინანდელი მდივანი ამხ. ბ. არუთინოვი გადაყვანილია ს. ბ. ქ. ს. კულტგანყოფილების გამგეთ.

დემობილიზაცია-ქმნილ უფშემადგენლობის გაგზავნა სამუშაოზე

ამიერ - კავკასიის შრომის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა შრომის ბირჟებს, წითელი არმიის დემობილიზაცია-ქმნილი უფშემადგენლობა სამუშაოზე გაგზავნოს პირველ რიგში.

რევოლუციის მუზეუმის გადატანა კლუბებში

რევოლუციის მუზეუმსა და საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას შორის მიღწეულ შეთანხმებით, 1—5 ნოემბრამდე რევოლუციის მუზეუმი ყველა თავისი ექსპონატებით გადატანილი იქნება პლეხანოვის სახელობის ტრამვაელთა და მშენებელთა კლუბებში.

შაქრის განაწილება

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში შესდგა კოოპერატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა ნოემბერში შაქრის განაწილების საკითხი. თათბირის დადგენილებით, ნოემბერში შაქარი განაწილებული იქნება ძველი ნორმის მიხედვით, ე. ი. მშრომელ მოსახლეობას სულზე მიეცემა 800 გრამი.

თათბირმა მიზანშეწონილად სცნო, რომ 1 ნოემბრიდან შეწყდეს არამშრომელ ელემენტებისათვის შაქრის მიცემა.

თათბირის დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს.

ახალი საცივრები

ქუთაისში და გორში გადაწყვეტილია ახალი საცივრების აგება. საცივრების სააღმშენებლო სამუშაოების დასაწყებად ა.-კ. რკინის გზის გამგეობამ გზათა სახ. კომისარიატისაგან მიიღო ერთი მილიონი მანეთი.

ეს თანხა დაიხარჯება მიმდინარე საბიუჯეტო წელს.

შეშა რკინისგზელებისათვის

ფოთის შტოზე [illegible] დამზადებულია 15.000 კუბიკური მეტრამდე შეშა, [illegible] რკინისგზელებისათვის. მიღებულია ზომები შეშის [illegible] გადმოსაზიდად.

თბილისის აღმასკომში

◆ ელსადგური კოჯორში. თბ. აღმასკომმა დაადგინა კოჯორის სრული განათებისათვის გააფართოვოს ადგილობრივი ელსადგური.

◆ ტრამვაის ახალი ხაზების გასაყვანად და ახალი ვაგონების შესაძენად წელს დაიხარჯება 1 მილიონი მანეთი.

სხვადასხვა

◆ ცეკავშირთან დაარსდა მუშათა სექცია, რომლის მიზანია მოამარაგოს საჭირო საგნებით და პროდუქტებით თბილის გარეთ არსებულ წარმოებების მუშები.

◆ სოფლის ინტელიგენციის კონფერენცია. პროფსაბჭომ გადასწყვიტა ახლო ხანში მოიწვიოს სოფლის ინტელიგენციის კონფერენცია.

◆ ა.-კ. ს. ხ. კ. საბჭოს გადაწყვეტილებით, 1-ლი დეკემბრიდან თბილისში იხსნება ტეხნიკური დანორმვის მუშაკთა მოსამზადებელი 4 თვიანი კურსები. კურსებზე ადგილები განაწილებულია შემდეგნაირად: 125 ადგილი დათმობილი აქვს სამეურნეო ორგანიზაციებს, ხოლო 15 ადგილი — რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს.

◆ პენსია. ხელოვნების მთ. მმართველობამ სოც. დაზღვევის კომიტეტის წინაშე აღძრა შუამდგომლობა მსახიობ ალ. ჯაყელისათვის პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ.

—:—

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებში: 1. გლ. ცაგარელი—კონტრაქტაციის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის (პოპულ. ლიტერატურის სერიიდან) გვ. 64, ფ. 30 კაპ.; 2. ბ. ბიბინეიშვილი—ფოლადის სამეული (სტალინი, ენუქიძე, კეცხოველი), გვ. 36, ფ. 25 კაპ.; 3. ი. ბათიაშვილი—ჩვენი მებაღეობის მთავარი მავნებლები, გვ. 84, ფ. 80 კ.; 4. გლ. ცაგარელი—კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი (პოპულიარული ლიტერატურის სერიიდან), გვ. 76, ფ. 35 კ.; 5. სოფლის პოლიტკითხვის სახელმძღვანელო (ლისიცინის და კარპინსკის რედაქციით. თარგ. რუსულიდან), გვ. 256+IV+1 რუკა, ფასი 1 მან. 20 კაპ.

სასამართლო

ბანდიტები პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე

1928 წლის განმავლობაში კახეთის მაზრაში სისტემატიური ხასიათი მიიღო ბანდიტების შეიარაღებულმა თავდასხმამ. დღე ისე არ გაივლიდა, რომ კახეთის რომელიმე კუთხეში არ გაეძარცვათ ან მეურმე გლეხები, ან მგზავრები, ან ოჯახები.

ეჭვს გარეშე იყო, რომ კახეთში მოქმედებდა ყაჩაღების ძლიერი ბანდა. ხელისუფლების მიერ მიღებული ენერგიული ზომებით გასული წლის ბოლოს შესაძლებელი გახდა ყაჩაღთა ბრბოს სრული ლიკვიდაცია, ამ ბრბოს წევრების სათითაოდ შეპყრობა.

ყაჩაღთა ბრბოს მეთაური ს. ენისელის მცხოვრები ალექსი მიხეილის ძე მონასელიძე მოკლულ იქნა.

შეპყრობილ იქნენ: **ხიკო ილარიონის ძე მეზვრიშვილი, ნიკოლოზ ალექსის ძე ბერიკაშვილი, ივანე ალექსანდრეს ძე ბერაშვილი, გიორგი ალექსანდრეს ძე ფერიაშვილი, გიორგი იოსების ძე თანდილაშვილი, ვასილ მიხეილის ძე ავგაროსიშვილი, ფირუზა იაკობის ძე ურმიშვილი, არჩილ ალექსანდრეს ძე ახალმოსულიშვილი, გიო ანდრიას ძე ოხანაშვილი, ივანე სანდროს ძე ალიაშვილი, ალექსი მიხეილის ძე წიქარაძე, მიხეილ სანდროსძე ალიაშვილი, ვასილ ლუარსაბის ძე დობნელიშვილი, ივანე პავლეს ძე ნაცვლიშვილი, ივანე ლაზარეს ძე აბდულაშვილი.**

ესენი არიან მთელი კახეთის მოსახლეობის ამწიოკებლები, რომელთაც ტერორს ქვეშ ჰყავდათ დაყენებული გლეხობა და რომლებიც უკან არ იხევდნენ არავითარი საძაგლობისაგან.

მათ მოჰკლეს ნაფარეულის სახალხო მამულის მოლარე დათიკო ლუარსაბოვი, მათ მოჰკლეს ძარცვის მიზნით ადგილობრივ არხზე მომუშავე სტეფანე შიუკაშვილი, ამ ბანდის წევრებმა გაძარცვეს და გააუპატიურეს მასწავლებელი შ—ს ქალი; მათ „საგმირო საქმეებს" ეკუთვნის მცირეწლოვან ქ. გ—ის ქალის გახრწნა.

მათ მიერ ჩადენილ ძარცვა-გლეჯის, თავდასხმების, ათასგვარ უმსგავსოებების ჩამოთვლას მთელი გაზეთი ვერ დაიტევს.

იარაღით მებრძოლ ბანდიტებთან ერთად შეპყრობილ იქნენ ის პირებიც, რომლებიც ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ყაჩაღებს, აწვდიდნენ მათ სურსათ-სანოვაგეს, იარაღებს, უნახავდნენ ნაძარცვ ნივთებს, აძლევდნენ თავშესაფარს.

ესენი არიან: **არჩილ გორიაშვილი, ილია მონასელიძე, ივანე ხერიაშვილი, იოსებ გურასპიშვილი, გიორგი ჩარბაძე, ივანე ჩარბაძე, მიხეილ დადელიშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, გიორგი დობნელიშვილი, გიორგი გოგილაშვილი, სოლომონ დობნელიშვილი, ბეხარიონ რატიანი, სვიმონ იობაშვილი, იოსებ ხერხემელაშვილი, აბრამ ხერხემელაშვილი.**

ამ პირთა შორის პირველ ადგილს ბრალდებულთა სკამზე დაიკავებენ მილიციის „დავალებათა აღმასრულებლები" გიორგი ჯავახიშვილი და სოლომონ დობნელიშვილი, რომლებიც იმის მაგიერ, რომ ებრძოლათ ბანდიტების წინააღმდეგ, უკანასკნელთ დაუმეგობრდნენ და მათთან ერთად ქეიფში ატარებდნენ დროს.

ოცდაათივე ბოროტმოქმედი 21 ნოემბერს წარუდგება პროლეტარულ სამსჯავროს. საქმეს ადგილობრივ გაარჩევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სესია ამხ. თათეიშვილის თავმჯდომარეობით. ბრალდადებულთა მეტ ნაწილს წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 58^{17} მუხლი, რომელიც ითვალისწინებს უმაღლეს სასჯელს—დახვრეტას.

ზერ.

—:—

უზენაეს სასამართლოს სესია კახეთის ოლქში

გუშინ კახეთის ოლქში გაემგზავრა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სესია ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

სესია კახეთში დაჰყოფს თვენახევარს. განსარჩევია 20 საქმე, უმეტესად ბანდიტურ თავდასხმების შესახებ. სესია იმუშავებს თელავში, შილდაში, ყვარელში, ველისციხეში, სიღნაღში და გურჯაანში.

რას უნდა მიეწეროს

(ისევ ვერის ხიდზე მომხდარ კატასტროფის გარშემო)

„კომუნისტი"-ს № 246-ში დაბეჭდილი იყო ცნობა, რომ 22 ოქტომბერს, ღამის 12 ნახ. ს., ავტომობილი № 44, რომელსაც მართავდა შოფერი ნიკოლოზ ალექსანდრესძე რაიკოვი, ვერის ხიდზე დაეჯახა გლეხ გიორგი დორეულის ურემს. დაჯახება იმდენათ ძლიერი იყო რომ ერთი კამეჩი იქვე მოკვდა და სერიოზულად დაზიანდა ავტომობილი. შეუმოწმებელი ცნობებით, ავტომობილში მსხდომი მგზავრები მთვრალი იყვნენ.

შენიშვნის ავტორი მოითხოვდა ამ მგზავრთა ვინაობის გამორკვევას და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას.

აღსანიშნავია, რომ დღემდე საგამომძიებლო ორგანოს არ გამოურკვევია მგზავრების ვინაობა. შოფერი კი მეორე დღესვე განთავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან.

შოფერის თავისუფლად ყოფნა საზიანოა გამოძიებისათვის, მაგრამ ირკვევა, რომ ამჟამად ამ საქმეზე არავითარი გამოძიებაც კი არ სწარმოებს. საქმე წინასწარი გამოძიების მოუხდენლათ უშუალოდ გადაეცა მე-4 უბნის სასამართლოს. ამრიგად გამოძიება დამთავრებულად (!) არის მიჩნეული. ასე ესმის სასამართლოს ზოგიერთ მუშაკებს ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი. რას უნდა მივაწეროთ ეს?

ჩვენ ერთხელ კიდევ მივაქცევთ სათანადო ორგანოების ყურადღებას ამ მიუტევებელ დაუდევრობას ავტომობილების კატასტროფებთან ბრძოლაში, და მოვითხოვთ: გამოკვლეულ იქნას, ვინ ისხდა ავტომობილში კატასტროფის დროს, დამნაშავე შოფერის წინააღმდეგ კი მიღებულ იქნას უფრო რადიკალური ზომები.

სიტყვა თბილისის ოლქის პროკურორს ეკუთვნის.

თ. ძ.

შემთხვევები

თავის დაჭრა

გუშინწინ რევოლვერის ტყვიით თავი დაიჭრა საზ-ბა „საქართველოს ღვინო"-ს მოლარე ალ. მაჭარაშვილმა. იგი უგრძნობ მდგომარეობაში გადაგზავნეს საავადმყოფოში. თავის დაჭრის მიზეზი ირკვევა.

ხანძარი

29 ოქტომბერს ცეცხლი გაჩნდა ტ. ნიკურაძის ბინას (შერემეტიევის ქ. № 45). ცეცხლი ჩააქრო სახანძრო რაზმმა. ზარალი 500 მანეთს აღემატება.

გაუპატიურების ცდა

დაპატიმრებულია ვ. კობახიძე (რკინისგზელთა სახლი), რომელსაც ბრალდება ე. ლ—ს გაუპატიურების ცდა.

ფურგუნის ქვეშ

მარია გალუსტოვას (მცხ. ვახტანგის ქ. № 41) ალ. ხახანაშვილის ქუჩაზე დაეჯახა ფურგონი, რომელიც მიჰყავდა კ. ჩერტკოვს. გალუსტოვა მოჰყვა ფურგონის ქვეშ და მძიმედ დაშავდა.

ქურდობა

გაქურდეს მ. არიევის ბინა (საბჭოთა ქ. № 42), წაიღეს 200 მანეთის ნივთები; — გარდა ამისა, გუშინწინ ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 8 შემთხვევა.

ხულიგნები

ქუჩაში დებოშის მოხდენისათვის დააპატიმრეს: ნ. მუხრანიძე, შ. ვაზანაშვილი (მცხ. მნათობის ქ. № 45) და ნ. არუთინოვი (მცხ. ელიაროვსკის ქ. № 32).

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) ა. კაზელი (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი შვიდ სვლაში

(ამოცანა) ზ. გასპარიანი (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

პარტია № 29 (ევანსის გამბიტი)

გათამაშებულია მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში 1929 წელს.
თეთრები: კანი. — შავები: ბოტვინიკი

1. e4, e5 2. მf3, მc6 3. კc4, კc5 4. b4 (პაიკის შეწირვა—ფიგურების ჩქარი განვითარების მიზნით; ეს გაგრძელება უკანასკნელ დროს ძალიან ნაკლებად გვხვდება) 4.., კb6 (შავები უარს ამბობენ შეწირულ პაიკზე, რაც სრულიად უსაფუძვლოა. სჯობდა 4.. კ:b4 5. c3, კe5 6. 0—0, d6 7. d4, კb6 მოგებულ პაიკის უკან დაბრუნებით, მაგრამ სამაგიეროდ უკეთეს მდგომარეობის მიღებით) 5. a4, a6 6. მc3, მf6 7. მd5, მ:e4 8. 0-0, 0—0? (თითქმის გადამწყვეტი შეცდომა, თეთრების შემდეგ სვლა აყენებს შავებს შევიწროვებულ მდგომარეობაში. პირდაპირ მf6 შავებს აძლევდა კარგ თამაშს) 9. d3, მf6 10. კg5, d6 11. მd2!, კg4?? (უხეში შეცდომა, რასაც მოსდევს ფიგურის დაკარგვა. ნაკლებ ზარალს მოიტანდა კe6) 12. კ:f6, ლc8 13. მ:b6, c:b 14. f3, 15. კh4, მ:b4 16. კe7 ლc5+ 17. მფh1, ეfe8 18. მe4, ლc8 19. კ:d6 და შავები დანებდნენ. ამ შეჯიბრების დამახასიათებელი პარტიაა.

ალიოხინ - ბოგოლიუბოვის მატჩი

ბერლინი, 27 ოქტომბერი. მატჩის მე-18 პარტია, რომლის გათამაშება ჰაგაში მოხდა, მოიგო ბოგოლიუბოვმა (ადს).

ბერლინი, 29 ოქტომბერი. მატჩის მეცხრამეტე პარტია მოიგო ალიოხინმა. მატჩის მდგომარეობა ასეთია: ალიოხინმა მოიგო 9 პარტია, ბოგოლიუბოვმა — 5 პარტია; 5 ყაიმით დამთავრდა. (ადს).

დებულება სასოფლო საბჭოების შესახებ

თავი IV.*)

სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი ორგანოები

38. სასოფლო საბჭოს მიმდინარე მუშაობის წარმოებისათვის მმართველობის ყველა დარგში და მისი დადგენილებებისა აღსრულებისათვის სასოფლო საბჭო თავისი წრიდან აირჩევს პრეზიდიუმს სამი პირის შემადგენლობით: თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან, რომელთა შორის ერთი თავმჯდომარის მოადგილეა; აირჩევს აგრეთვე პრეზიდიუმის წევრთა ორ კანდიდატს.

შენიშვნა: სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა რიცხვი შეიძლება გადიდებულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სასოფლო საბჭოს ტერიტორიის სივრცისა და მოსახლეობის რიცხვის მიხედვით.

39. სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმი აღასრულებს სასოფლო საბჭოს და ხელისუფლების სათანადო ზემდგომი ორგანოების დადგენილებებს; სასოფლო საბჭოს პლენუმის სხდომიდან სხდომამდე მიმდინარე პერიოდში პრეზიდიუმი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სათანადო ტერიტორიაზე და მას აქვს საბჭოს პლენუმის ყველა უფლება, გარდა იმ უფლებებისა, რაც შეადგენს ამ უკანასკნელის განსაკუთრებულ კომპეტენციას (მუხ. 35).

40. უკეთუ სასოფლო საბჭოს დადგენილებასა და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების განკარგულებას შორის შეუთანხმებლობაა, სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმი მოვალეა აღასრულოს ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების განკარგულება, რაც დაუყოვნებლივ სასოფლო საბჭოს უნდა აცნობოს.

41. სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა ხდება კვირაში ერთხელ მაინც.

42. სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმი:
ა) ხელმძღვანელობას გაუწევს სასოფლო საბჭოს სხდომებს;
ბ) მოამზადებს მასალებს სასოფლო საბჭოს სხდომებისათვის და შეიტანს საბჭოში დადგენილებების პროექტებს გადასაწყვეტად;
გ) თვალყურს ადევნებს სათანადო ორგანოებისა და მოსახლეობის მიერ სასოფლო საბჭოს დადგენილებების აღსრულებას;
დ) აწარმოებს ურთიერთ-მიმართვას სასოფლო საბჭოს სახელით.

43. სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმი სამ თვეში ერთხელ მაინც წარუდგენს საბჭოს პლენუმს თავის მუშაობის ანგარიშს.

44. სასოფლო საბჭოში თავმჯდომარე განახორციელებს სასოფლო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის დადგენილებებსა და განკარგულებებს, თავმჯდომარეობს საბჭოში პლენუმისა და პრეზიდიუმის სხდომებს და ხელმძღვანელობას უწევს სასოფლო საბჭოს ტექნიკურ აპარატს.

45. სასწრაფო შემთხვევაში, როდესაც საქმის გადადება შეუძლებელია, პრეზიდიუმის სხდომიდან სხდომამდე მიმდინარე პერიოდში, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს გასცეს განკარგულება და მიიღოს საჭირო ღონისძიებანი ისეთი საქმეების გამო, რაც შეადგენს სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციას.

ყველა გაცემულ განკარგულებასა და მიღებულ ღონისძიებას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მოახსენებს საბჭოს პრეზიდიუმს უახლოეს სხდომაზე.

46. სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლიან გააუქმოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ყველა განკარგულება.

47. სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს და წევრებს უფლება არა აქვთ დასტოვონ თავიანთი თანამდებობა ისე, რომ არ აცნობონ სასოფლო საბჭოს და არ მიიღონ მისი თანხმობა.

48. სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის წევრს შეუძლიან პრეზიდიუმის სახელით გამოსვლა უკეთუ თვითეულ ცალკე შემთხვევაში საამისოდ უფლებამოსილი იქნება სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

49. სასოფლო საბჭოსთან, როგორც საერთო წესი, განყოფილებანი არა მოეწყობიან. განსაკუთრებულ შემთხვევაში განყოფილება შეიძლება მოეწყოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით.

50. სასოფლო საბჭოსთან მოეწყობა კანცელარია და საფინანსო-საგადასახადო ნაწილი. კანცელარიას განაგებს სასოფლო საბჭოს მდივანი.

სასოფლო საბჭოს მდივანს აარჩევს სასოფლო საბჭო თავის წევრთა რიცხვიდან და დაამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი. უკეთუ საჭიროა, სასოფლო საბჭოს მდივნად შეიძლება არჩეულ იქნეს არა სასოფლო საბჭოს წევრიც.

51. სასოფლო საბჭოს ტექნიკური აპარატის შტატს დაამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

52. თავმჯდომარისა, მდივნისა და ტექნიკური აპარატის შესანახად საჭირო ხარჯები გაიღება სასოფლო ბიუჯეტიდან კანონით დადგენილი წესისამებრ.

თავმჯდომარის მოადგილე და სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხვა წევრები გასამრჯელოს თავისი მუშაობისათვის მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამას საჭიროდ სცნობს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

53. სასოფლო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის საქმის წარმოებისა და ანგარიშების წესი დამყარდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქციის მიხედვით.

54. სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის ყველა სხდომისათვის შედგენილ უნდა იქნეს სათანადო ოქმი.

55. მთელი მიწერ-მოწერა სასოფლო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სახელით სწარმოებს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარისა, ან მისი მოადგილის და მდივნის ხელმოწერით.

თავი V.

სასოფლო საბჭოს სექციები და კომისიები

56. რათა გლეხები, გლეხი ქალები, მუშები, ამბოკარები, მოსამსახურეები და სოფლის შრომელი ინტელიგენცია ჩაბმულ იქნენ სასოფლო საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში, აგრეთვე, რათა ყველა ის საკითხი, რაც შეადგენს სასოფლო საბჭოს გამგებლობის საგანს, მომზადებულ და განხილულ იქნეს წინასწარ, — სასოფლო საბჭო მოაწყობს სექციებს თავისი მუშაობის ძირითადი დარგებისათვის.

57. სასოფლო საბჭოს სექციები შემდეგია:
1) სასოფლო - სამეურნეო სექცია;
2) კულტურულ - განმანათლებელი სექცია;
3) საექიმო - სასანიტარო სექცია;
4) საგზაო - საამშენებლო სექცია;
5) საფინანსო - საგადასახადო სექცია;
6) კოოპერატიულ - სავაჭრო სექცია;
7) მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექცია;
8) ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების სექცია;

58. სასოფლო - სამეურნეო სექციის გამგებლობის საგანს შეადგენს:
ა) ხელი შეუწყოს მიწათმოწყობის განხორციელებას და შეიმუშაოს გადასახლებისა და განსახლების საკითხები;
ბ) განიხილოს მიწათსარგებლობის საუკეთესო ფორმების შემოღების საკითხები;
გ) ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის წარმოების მეთოდების გაუმჯობესებას (მიწის სათანადოთ დამუშავებისა, მიწის დამუშავების და მოსავლის აღების დროს საუკეთესო მანქანების და იარაღების გამოყენებისა, მავნებლებისაგან ნათესების დაცვის და მათთან ბრძოლისა, სათესლე მასალის გაწმენდისა და გაუმჯობესების საკითხების შემუშავება და სხვ.);
დ) ხელი შეუწყოს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობასა და განვითარებას; შეიმუშაოს ღონისძიებანი სოფლის იმ კაპიტალისტურ ელემენტებთან საბრძოლველად, რომელნიც კოლექტივიზაციის ზრდას წინააღმდეგობას უწევენ;
ე) დახმარება გაუწიოს საადგილმამულო არტელებისა და ამხანაგობების მოწყობის საქმეს, აგრეთვე მიწის საერთო ძალით დამუშავების მოწყობისა და საზოგადო სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის შეძენის საქმეს;
ვ) ხელი შეუწყოს ყოველი სახის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მოწყობას (წარმოებითი არტელებისა და ამხანაგობებისა, განსაკუთრებით მცირე შეძლების გლეხთა შორის);
ზ) ჩაატაროს თესვისა და თესლის კამპანიები და ხელი შეუწყოს თესლის მარაგის შექმნას;
თ) განიხილოს გლეხობისათვის ხე-ტყის მიცემისა და ადგილობრივ და სახელმწიფო ტყეების დაცვის საკითხები;
ი) ხელი შეუწყოს სავეტერინარო ღონისძიებათა განხორციელებას (ოთხფეხი საქონლის გადამდებ სენთა წინააღმდეგ ბრძოლა, აცრა და სხვა);
კ) ხელი შეუწყოს გამქირავებელი, საგრილებელი, სავეტერინარო და აგრონომიული პუნქტების მოწყობას;
ლ) ხელი შეუწყოს სასოფლო - სამეურნეო კრედიტის განვითარებას და შეიმუშაოს ღონისძიებანი ამ კრედიტის სათანადოთ გამოყენებისათვის;
მ) განიხილოს სარწყავი წყლის სარგებლობის საკითხები;
ნ) განახორციელოს ღონისძიებანი ნათესებისა, ბაღებისა და სხვ. მოძოვების წახდენის წინააღმდეგ ბრძოლისათვის;
ო) ხელი შეუწყოს ამბოკარობის აღრიცხვას და თვალყური ადევნოს ამბოკარებთან დადებულ ხელშეკრულებათა აღსრულებას;
პ) განახორციელოს ღონისძიებანი კაბალურ გარიგებებში გლეხთა ჩათრევის წინააღმდეგ ბრძოლისათვის;
ჟ) განახორციელოს ღონისძიებანი მიწის ნაციონალიზაციის პრინციპის დარღვევასთან ბრძოლისათვის;
რ) მისცეს, საადგილ - მამულო სახამართლო ორგანოების ან სასოფლო საბჭოს მოთხოვნით, დასკვნები კერძო პირთა შორის აღძრულ საადგილ - მამულო დავათა შესახებ;
ს) ხელი შეუწყოს სასოფლო საბჭოს ყველა სხვა ღონისძიების განხორციელებას სასოფლო მეურნეობის სფეროში;
ტ) გაიცნოს და განუმარტოს ადგილობრივ მოსახლეობას მოქმედი საადგილ - მამულო, სატყეო და სავეტერინარო კანონმდებლობა.

59. კულტურულ - განმანათლებელი სექციის გამგებლობის საგანს შეადგენს:
ა) განახორციელოს ღონისძიებანი სკოლებისა, სოფლის სამკითხველოებისა, სახალხო სახლებისა და კურსებისა, ბიბლიოთეკებისა, საბავშო სახლებისა და სხვ. გახსნისათვის და ამ დაწესებულებებში საქმის სათანადოთ დაყენებისათვის;
ბ) უზრუნველყოს „ა" პუნქტში აღნიშნული დაწესებულებანი სახწავლო წიგნებით და საგნებით, სათბობი მასალით და სასკოლო ინვენტარით;
გ) გამოარკვიოს და აღნუსხოს წერა-კითხვის უცოდინარნი და მიიზიდოს ისინი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებში;
დ) გაავრცელოს სოფლად წიგნები, გაზეთები და ჟურნალები და აგრეთვე მოაწყოს მოხსენებები, ლექციები, საუბრები და სხვ.;
ე) ყოველმხრივ ხელი შეუწყოს რადიოქსელის მოწყობას;
ვ) განახორციელოს ღონისძიებანი უპატრონო ბავშვებისათვის დახმარების აღმოსაჩენად: უზრუნველყოს ისინი ბინებით, კვებით, სკოლაში მოთავსებით და სხვ.;
ზ) შეიმუშაოს ყველა სხვა საკითხი, რაც დაკავშირებულია სოფლად კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის განვითარებასთან;

60. საექიმო - სასანიტარო სექციის გამგებლობის საგანს შეადგენს:
ა) ხელი შეუწყოს საავადმყოფოებისა, ამბულატორიებისა, სამკურნალო პუნქტების და სხვა სამკურნალო - სასანიტარო დაწესებულებების მოწყობას;
ბ) ხელი შეუწყოს ეპიდემიათა და გადამდებ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლას ყოველგვარი სანიტარული ღონისძიებების ხმარებით;
გ) მიიღოს ღონისძიებანი მოსახლეობაში სასანიტარო - საგანმანათლებლო ცოდნის გავრცელებისათვის;
დ) მოაწყოს ჯანმრთელობის უჯრედები და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ;
ე) აწარმოოს ბრძოლა ექიმბაშობასთან;

61. საგზაო - საამშენებლო სექციის გამგებლობის საგანს შეადგენს:
ა) მიიღოს ღონისძიებანი სოფლის კეთილმოწყობისათვის;
ბ) ხელი შეუწყოს სასოფლო სამრეწველო საწარმოთა და შინამრეწველობათა განვითარებას;
გ) ხელი შეუწყოს საზოგადო სარგებლობის საწარმოთა და დაწესებულებათა (წყალსადენი, ელექტროფიკაცია და სხვ.) მოწყობას და განიხილოს მათი საწარმოო გეგმები;
დ) ხელი შეუწყოს გზებისა, ხიდებისა და ბორნების მოწყობასა და შეკეთებას და თვალყური ადევნოს გზებისა, ხიდებისა და სხვ. წესიერად შენახვას;
ე) თვალყური ადევნოს ქუჩებისა, მოედნებისა, შუკებისა, წყალსადენებისა, სავაჭრო სადგომებისა და სხვ. წესიერად და სუფთად შენახვას;
ვ) ხელი შეუწყოს ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ორგანიზაციას;
ზ) ხელი შეუწყოს საფოსტო კავშირგაბმულობის მოწყობას;
თ) თვალყური ადევნოს სახელმწიფო და საზოგადო შენობათა მიზანშეწონილად გამოყენებას და წესიერად შენახვას;

62. საფინანსო - საგადასახადო სექციის გამგებლობის საგანს შეადგენს:
ა) განიხილოს საკითხები სასოფლო ბიუჯეტის შედგენისა და აღსრულების შესახებ;
ბ) განიხილოს სასოფლო დაწესებულებათა და საწარმოთა საფინანსო - სამეურნეო გეგმები;
გ) ხელი შეუწყოს გადასახადთა აკრეფას და საგადასახადო კამპანიების ჩატარებას, აგრეთვე დაბეგვრის ობიექტების გამორკვევას, გადამხდელთა სიების სისწორით შედგენას და საგადასახადო შეღავათების თავის დროზე და სამართლიანად შეფარდებას;
დ) ხელი შეუწყოს სასოფლო ბიუჯეტის როგორც საგადასახადო, ისე არასაგადასახადო საშემოსავლო წყაროების გამორკვევას;
ე) განიხილოს სასოფლო საბჭოს მიერ მოკლევადიანი სესხის აღების საკითხი;
ვ) ხელი შეუწყოს შენობებისა, ნათესებისა, ოთხფეხი საქონლისა და სხვა ქონების დაზღვევის განვითარებას;
ზ) ხელი შეუწყოს შემნახველი სალაროების საანაბარო ოპერაციების ზრდას და სასოფლო-სამეურნეო სახკრედიტო კოოპერაციის განვითარებას;
თ) თვალყური ადევნოს სასოფლო ბიუჯეტის სათანადოთ და მიზანშეწონილად აღსრულებას.

63. კოოპერატიულ - სავაჭრო სექციის გამგებლობის საგანს შეადგენს:
ა) ხელი შეუწყოს სოფლად სამომხმარებლო და საშინამრეწველო კოოპერაციის მოწყობას და განვითარებას;
ბ) მიიღოს ღონისძიებანი ახალ კოოპერატიულ საწარმოთა მოწყობისათვის და უკვე არსებულ ამგვარივე საწარმოთა (წისქვილები, სახელოსნოები, სასადილოები და სხვ.) განვითარებისათვის;
გ) მოისმინოს კოოპერაციის ხელმძღვანელთა მოხსენებები და ანგარიშები და წარუდგინოს სასოფლო საბჭოს თავისი დასკვნები ამ მოხსენებებისა და ანგარიშების თაობაზე;
დ) ხელი შეუწყოს სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის განვითარებას;
ე) დაეხმაროს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს პურისა და ნედლეულობის დამზადების საქმეში;
ვ) მიიღოს ღონისძიებანი მოსახლეობის სრული დაკმაყოფილებისათვის საჭირო საქონლით და აგრეთვე საქონლის ზედნადები ხარჯების შემცირებისათვის;
ზ) ხელი შეუწყოს სარევიზიო კომისიების მუშაობას, რომლითაც განხორციელდება მეთვალყურეობა, რათა მოსახლეობას ეძლეოდეს სათანადო თვისების საქონელი, თანაც სრულზომიანი და სრულწონიანი;
თ) თვალყური ადევნოს, რათა სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციები იცავდენ დადგენილ ფასებს (როგორც ცალობით, ისე დამზადებით);
ი) მიიღოს ღონისძიებანი იმ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, რაც წარმოიშობა სამრეწველო საქონლის ნაკლებობის ნიადაგზე;

64. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციის გამგებლობის საგანს შეადგენს:
ა) ხელი შეუწყოს ადგილობრივ დაწესებულებათა, საწარმოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას და გამარტივებას, — აგრეთვე ღონისძიება მიიღოს, რათა აღნიშნული დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები გლეხობისათვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი შეიქნენ;
ბ) ბრძოლა აწარმოონ ბიუროკრატიზმისა, საქმის გაჭიანურებისა, უყაირათობისა და დაწესებულებათა თანამშრომლების მთხოვნელების მიმართ უყურადღებოთ და დაუდევრად მოპყრობის წინააღმდეგ;
გ) მოახდინოს მუშაობის გამოკვლევა სასოფლო საბჭოს ქვემდებარე დაწესებულებებსა და საწარმოებში, კოოპერატივებში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობაში, სასოფლო-სამეურნეო და საშინამრეწველო არტელებში და სხვა სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში;
დ) მიიღოს მოქალაქეთა საჩივრები ადგილობრივ დაწესებულებათა მუშაობის ნაკლოვანების შესახებ და მოახდინოს ამის გამო სათანადო გამოკვლევა, აგრეთვე მიიღოს და თავის დროზე გაუგზავნოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულს საჩივრები ზემდგომი ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებების შესახებ;
ე) კონტროლი გაუწიოს სასოფლო საბჭოს, აგრეთვე ცენტრალური, საოლქო და სარაიონო საბჭოთა ორგანოების დადგენილებათა თავის დროზე და სისწორით აღსრულებას.

შენიშვნა: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციამ თავის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიაღებინოს სოფლის კორესპონდენტებს და მჭიდრო კავშირი დაიჭიროს ადგილობრივ პრესასთან და კედლის გაზეთებთან, გამოიკვლიოს მათი შენიშვნები და თავის მუშაობის შედეგები პრესაში გააშუქოს.

65. ქალთა ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესების სექციის გამგებლობის საგანს შეადგენს:
ა) შეიმუშაოს ღონისძიებანი ქალის ეკონომიური და უფლებრივი უთანასწორობის აღმოფხვრისათვის, კერძოდ — მრავალ - ცოლიანობასთან, ყალიმობასთან, ქალის მოტაცებასთან, მცირეწლოვანთა ქორწინებასთან და სხვ. საბრძოლველად;
ბ) დაამუშაოს ძველი ოჯახური ყოფა-ცხოვრების მონური პირობებისაგან ქალის განთავისუფლების საკითხები (იმ შეხედულების მოსპობა, რომ ქალი მონაა, ბრძოლა ჩადრის ახდისათვის და სხვ.) და საბჭოთა მუშაობაში, კოოპერაციაში, ქალთა სადელეგატო კრებებში, გლეხთა ურთიერთი დახმარების საზოგადოებებში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ქალის ჩაბმის შესახებ;
გ) გაუწიოს ქალებს იურიდიული დახმარება და დაიცვას მათი ინტერესები სასამართლოში სათანადო საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და დაწესებულების მეშვეობით;
დ) შეიმუშაოს ღონისძიებანი იმ ქალებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად, რომელნიც გაჭირვებაში ჩავარდნენ მონური მდგომარეობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით, აგრეთვე უადრესად შევიწროებულ მდგომარეობაში მყოფი მშრომელი ქალებისათვის, როგორც მათი სამუშაოზე მოწყობით საწარმოსა და დაწესებულებაში, ისე მათთვის სხვადასხვაგვარი არტელისა, სახელოსნოს, სამრეცხველოს, საერთო საცხოვრებლის და სხვ. მოწყობით;
ე) ხელი შეუწყოს ქალთა შრომის შემსუბუქებას მით, რომ კოოპერატიული ორგანოებისა, ურთიერთ დახმარების კომიტეტებისა, და სხვ. მეშვეობით შემოიღოს შრომის კოლექტიური ფორმები და გაავრცელოს გაუმჯობესებული მეთოდები სოფლის მეურნეობაში და შინა - წარმოებაში;
ვ) შეიმუშაოს ღონისძიებანი დედა - ქალთა და მეოჯახე - ქალთა მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების შემსუბუქებისათვის— ბავშვების ბაგათა, ბავშვების სახლთა, საზოგადო სასადილოთა და სხვ. მოწყობით, რისთვისაც ქალთა ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესების სექცია შეუთანხმებს თავის მუშაობას სასოფლო საბჭოს კულტურულ - განმანათლებელ და საექიმო - სანიტარულ სექციებს;
ზ) გაუწიოს მეთვალყურეობა და კონტროლი სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მყოფ ყველა დაწესებულებისა და საწარმოს მოქმედებას მათ მიერ მშრომელი ქალებისა და მათი ბავშვების საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში;
თ) თვალყური ადევნოს ქალთა შესახებ არსებული კანონმდებლობის შესრულებას და მშრომელთა ფართო მასებს შორის მის პოპულიარიზაციას; მონაწილეობა მიიღოს სასამართლო, ადმინისტრატიულ და სოციალურ-კულტურული ორგანოების მუშაობაში, როგორც მათი მდგომარეობის გამოკვლევით, ისე მათთან თავისი წევრების მივლინებით;
ი) ხელი შეუწყოს სასოფლო საბჭოს იმ მუშა - ქალთა და გლეხ - ქალთა შერჩევის საქმეში, რომელნიც დაწინაურების წესით შეიძლება დანიშნულ იქნენ ხელმძღვანელ ადგილებზე საბჭოში და საბჭოს აღმასრულებელ ორგანოებში; გაუწიოს დაწინაურებულ ქალებს დახმარება ყოველდღიურ მუშაობაში და პერიოდულად მოისმინოს მათი მოხსენებები და ანგარიშები თავის სხდომებზე; გაუწიოს საბჭოს წევრ - ქალებს ინსტრუქტორობა მათი უფლება - მოვალეობის თაობაზე;

66. სასოფლო საბჭო მოაწყობს 57 მუხლში აღნიშნულ სექციებს საჭიროებისადამიხედვით; კერძოდ — ქალთა ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესების სექცია მოეწყობა ისეთ სასოფლო საბჭოსთან, სადაც, ადგილობრივი პირობების მიხედვით, საჭიროა საბჭოს განსაკუთრებული მუშაობა ყოფა - ცხოვრებისა და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების სფეროში.

ამის გარდა, სასოფლო საბჭოს შეუძლია მოაწყოს სხვა სექციებიც, რომელთა გამგებლობის ფარგალი განისაზღვრება სასოფლო საბჭოს სათანადო დადგენილებით; სასოფლო საბჭოს აგრეთვე შეუძლია გააუქმოს ან გააერთიანოს არსებული სექციები.

67. სასოფლო საბჭოს ყოველი წევრი და საბჭოს წევრის კანდიდატი მოვალეა ჩაეწეროს, თავისი არჩევით, საბჭოს ერთ-ერთ სექციაში მაინც. საბჭოს წევრთა და მათ კანდიდატთა სექციებზე განაწილებას დაამტკიცებს თავისი დადგენილებით სასოფლო საბჭო, რომელიც ამასთანავე განსაზღვრავს თვითეულ სექციის წევრთა რიცხვს.

68. სასოფლო საბჭოს წევრებისა და მათი კანდიდატების გარდა, სექციების შედგენილობაში, ნებაყოფლობითი ჩაწერის წესისამებრ, შეიძლება შევიდნენ:
ა) ის გლეხები და ამბოკარები, რომელთაც იჩინეს თავი საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობაში;
ბ) საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტებისა, და ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენლები; აგრეთვე სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბ) და სრულიად საკავშირო ლენინელთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სათანადო უჯრედების წარმომადგენლები;
გ) პროფესიონალურ კავშირთა ადგილობრივი განყოფილებების წარმომადგენლები და აღნიშნულ კავშირთა წევრები;
დ) გლეხთა ურთიერთი დახმარების საზოგადოების კომიტეტის წარმომადგენლები;
ე) სხვა საზოგადოებრივი, კოოპერატიული და სამეურნეო ორგანიზაციების მომუშავეები;
ვ) ქალთა სადელეგატო კრებების წარმომადგენელი — ქალები და ყველა სხვა პირი, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს, სექციების შედგენილობაში აღნიშნულ პირთა ჩარიცხვა - დამტკიცება სასოფლო საბჭოს დადგენილებით;

შენიშვნა: სექციის ყველა წევრს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

69. სასოფლო საბჭოს და მის პრეზიდიუმს შეუძლია გადაიყვანოს დეპუტატი ერთ სექციიდან მეორეში და აგრეთვე გაანთავისუფლოს იგი დროებით სექციაში მუშაობისაგან.

70. საერთო ხელმძღვანელობის გაწევა სასოფლო საბჭოს სექციებისათვის და აგრეთვე სექციების მუშაობის გაერთიანება და შეთანხმება დაეკისრება სასოფლო საბჭოს.

71. სექციას უფლება აქვს მიიწვიოს თავის სხდომაზე ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს მცოდნე პირი სათათბირო ხმით.

72. თვითეული სექცია აირჩევს თავის წრიდან სექციის თავმჯდომარეს და მდივანს.

სექციის თავმჯდომარე აირჩევა სასოფლო საბჭოს წევრთა რიცხვიდან, განსაკუთრებულ შემთხვევაში სექციას შეუძლიან, სასოფლო საბჭოს დამტკიცებით, თავმჯდომარედ აირჩიოს არა საბჭოს წევრიც.

73. სექციის მდივანს დაეკისრება სხდომების ოქმების წარმოება, სექციის წევრთა აღნუსხვა და თვალყურის დევნება იმისათვის, თუ სექციის წევრები რამდენად მუყაითად ესწრებიან სხდომებს და რამდენად ასრულებენ სექციის მიერ დაკისრებულ სამუშაოს.

74. უკეთუ სექციის წევრი, არა პატივსადები მიზეზით, სამჯერ ზედიზედ არ დაესწრება სექციის სხდომას ან არ შეასრულებს სექციის დავალებას, იგი შეიძლება გამორიცხულ იქნეს სექციის შემადგენლობიდან, სექციის დადგენილებით.

75. სექციის ის წევრი, რომელიც სასოფლო საბჭოს წევრი არ არის, შეიძლება დაესწროს სასოფლო საბჭოს სხდომას სათათბირო ხმის უფლებით;

(დასასრული იქნება)

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" №№ 248, 249, 250 და 251.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა - ხელზე

დღეს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

რკინისგზელთა სექციიდან: გიორგი მაისურაძე, დავით გძელიშვილი, ზურაბ ტატიევი, ალექსანდრე საღარაძე, აფრასიონ მინდაძე, გიორგი როთველაშვილი, ტერენტი ძაძამია, პლატონ ბარამიძე, ვლადიმერ ნაჭყეპია, არმენაკ ხაჩატუროვი, სარქის ჩიხმახსაზოვი, ივანე ხუციშვილი, ალექსანდრე გუგუნაძე, ალექსანდრე ნონიკაშვილი.

მშენებელ მუშათა სექციიდან: თედორე ჩავარდოვი, გრიგოლ ნარიმანოვი, გიორგი კიკნაძე, ალექსი გაბიძე, რაჟდენ ნანავა, სერგო ნესტორიძე, [illegible] როვი;

შავ მუშათა სექციიდან: გეგამ მონუკოვი, გიორგი გევონიანი, ვალენტინა ზემეკოვა, ლიდია გუსეინოვა, ნინა ახალკაციშვილი;

მედსექციიდან: პეტრე ზებიღოვი, ნატალია კიკალეიშვილი;

მედსექციას ესაჭიროება 1 ექიმი ტუბდისპანსერში სამუშაოდ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ოქტომბრის რევოლიუციის მე-12 წლის თავის აღსანიშნავათ, მუშათა კლუბებში მოხსენებებისათვის, საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტი მობილიზაციის წესით იწვევს და სხვადასხვა რაიკომებზე ამაგრებს შემდეგ ამხანაგებს:

ლენინის რაიკომზე მისამაგრებლათ გამოწვეული არიან — ამხ. ლოლობერიძე, სუხიშვილი, ვაინერისი, ავქსენტიევსკი, მ. ტოროშელიძე, გ. ყურულაშვილი, კვანტალიანი და სვანიძე.

ქალაქის რაიკომზე — მ. თოდრია, გ. დევდარიანი, სნეგირევი, შ. ლეჟავა, გ. არუთიუნოვი, ლისოვსკი, პოპოვი, გენკინი და ზოგირაძე.

26 კომუნართა რაიკომზე — რუბენი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, იპპო, ვ. სტურუა, გულოიანი, მჩაიძე, ავაქოვი, და ბედია.

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს 31 ოქტომბერს, დღის 12 საათისათვის გამოცხადდნენ ამხ. როსტიაშვილთან (ოთახი № 66): ა. პ. მიცკევიჩი, (თბილისის აღმასკ. უჯრ.), შ. დ. გომართელი (თბილ. აღმასკ. უჯრედი), გ. ფ. ვალტერი („ზაკსელსოიუზის" უჯრედი), ა ს. ზახაროვი (იქიდანვე), შ. პ. მურავიოვი (ქალაქის რაიონის მე-39 უჯრ.), ი. ა. მამაცაშვილი (ქალაქის რაიონის მე-78 უჯრედი), ი. ს. მარდალეიშვილი (გზათა სახ. კომის. რწმუნ. სამმართველოს უჯრედი), ნ. ე. კომაროვი (იქედანვე), ლ. ო. კოკეთიანი (იქიდანვე), გ. ა. მიქელაძე (ქალაქის რაიონის მე-92 უჯრ.), ი. ი. სვანიძე, (სალიანდაგო დარგის მე-7 უბნის უჯრედი), ვ. ი. ვაშლევიჩი (საამშენებლო - მექანიკური კანტორა), პ. ე. ირაკლოვი (შპალების გასაჟღენთი ქარხანა), ვ. ტ. ფირალოვი (ნაწლავების ქარხანა) და ს. ქ. სიმონოვი („რუდმეტალტორგის" ა.-კ. კანტორა).

—:—

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 31 ოქტომბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება ს. ა. ლ. კ. კ. ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, რომელსაც თუცილებლად და დაუგვიანებლივ უნდა დაესწრონ პლენუმის წევრები, უჯრედთა ბიუროების მდივნები და წევრები.

პლენუმის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: უჯრედთა ბიუროების ხელახალი გადარჩევა და საორგანიზაციო საკითხები.

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას სააღრიცხვო სექტორი სთხოვს ამხ. იასონ სულაქველიძეს, ჯემალ ომაროვს, ალექსანდრე ყორანაშვილს და ნესტორ სიხარულიძეს შეიარონ ცეკაში ამხ. ჩარკვიანთან (ოთახი № 22).

სად. თბილისის მოძრაობის დარგის მე-21 კომუჯრედის ბიურო წინადადებას აძლევს ამავე უჯრედის წევრს, ამხ. გ. მამალაძეს — დღეს, დღის 3 საათზე გამოცხადდეს კომუჯრედის ბიუროში ამხ. ის. გოგიბერიძესთან დაუგვიანებლივ.

—:—

ს ს. გ. ინსტიტუტის კომ. პარტიის ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრ - კანდიდატებს სამი დღის განმავლობაში ჩაეწერონ პოლიტწრეში — საზოგადოებათ მეცნ. კაბინეტში საღამოს 5—8 საათ. ამხ. კ. რაპეტიანთან.

სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. მეხუთე უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ კომკავშირის ის წევრები, რომელთაც დღემდე არ წარმოუდგენიათ მანდატები, უნდა გამოცხადდნენ ამხ. გ. კუკუხიძესთან დღეს, 31 ოქტომბერს, დილის 9—1 საათ. რეგისტრაცია იწარმოებს უკანასკნელად.

სახელმწიფო უნ-ტის პარტბიუროკოლექტივი გაწმენდის კომისიის დავალებით წინადადებას აძლევს კოწია სულაქველიძეს გამოცხადდეს პარტ. წმენდაზე დღეს, 31 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე.

დამწუხრებულნი ცოლი ოლღა, შვილები: ქეთო, მასურია, ლიზა, ნინა, თამარა, ჭულა, შალვა ცოლით ნატაშათი, ძმა სიმონ ოჯახობით, დები: რიფსიმე და მარიამი ოჯახობით, სიძეები: ბიქტორ მარუაშვილი, თეიმურაზ ჭუმბურიძე, აპოლონ კარტოზია, რძლები: კეკელა და პატუ, შვილიშვილები: მიშა, დავით, ლეო, ირაკლი, ოთარ, და ნუნუ მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 30 ოქტომბერს დილით ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

რაჟდენ თომას ძე ხუნდაძე

გამოსვენება 3 ნოემბერს ქუთაისში საკუთარი ბინიდან, ვაჟა-ფშაველას ქ. № 20. (დ)

მწუხარებაში მყოფნი: დედა ეფემია, ძმა ვარლამი მეუღლე შუშანით, შვილები: მარიამი, იაკობი, შალვა, მაქსიმე, კატუშა, სიძეები რაჟდენ და ვარდენ კაცარავები, რძლები ნინა და ბარბალე, ძმისშვილები ნინა, ლიდა და ილია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მაქსიმე იაკობის-ძე ქუთათელაძე

გამოსვენება პარასკევს, 4 ნახ. საათზე, 1-ლ ქალაქის საავადმყოფოდან (ავლაბარი). დასაფლავება ავლაბრის სასაფლაოზე, რკინის გზის გადაღმა. 3994

თავზარდაცემულნი მამა სიკო, დები: ფეოდორა, გოგუცა, ანეტა კერესელიძეები, სიძე ლავროსი სერგოს-ძე ხუხუნაიშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს სახ. უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტ

ვალიკო გრიგოლის-ძე კერესელიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 31 ოქტომბერს, 2 საათზე, ლანჩხუთში. ნ. 3238

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: პალადი, გალინა, სანდრო, თომა და შალიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარი მამის

ივანე გრიგოლის-ძე ზერეკაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 31 ოქტომბერს, სოფ. კურსებში. ნ. 3237

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929—1930
ნ. 3239
ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, სერია ბ, მე-2 აბონემენტის I წარმოდგენა
ვ. კირშონი
ქართა ქალაქი
3 ნაწ. და 15 სურ. თარგ. ს. შანშიაშვილის და ალ. ბოკერიასი.
დადგმა ალ. ახმეტელის. მხატვარი—ირ. გამრეკელი.
მუსიკა - გოკიელის. დირიჟორი—გრ. კილაძე.
რეჟ. თანაშემწე—ია ქანთარია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
თეატრის დირექტორი, სამხატ. ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი - ალ. ახმეტელი.
დარჩენილი ბილეთები კავშირის წევრთათვის 40 პროც დაკლებით (საჭიროა წარმოდგენა კავშირის წიგნაკის) სტუდენტებისათვის 50 კაპ.

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—64.
ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს
საგასტროლო წარმოდგენები
სამ დიდ განყოფილებათ
ცირკის რეპერტუარის ახალი ნომრები
ქართველი არტისტის მახაშვილის დებიუტი.
ტრიო-კორადოს დებიუტების გაგრძელება. საბჭოთა კავშირში საუკეთესო მწვრთნელის ა. ვ. ლაპიადოს ახალი გასტროლი
პა-დე-დე, პლ ასტიური ცხენოსნობა. კალისი და ალექსანდრდა. აგრეთვე 10 საუკეთესო ნომრები.
ნ. 3324 3—3 წარმოდგენის დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე. დირექცია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 1929-30 სასწავლო წელს გასამხედროების დარგში გეგმიანი მეცადინეობა იწყება 1-ლი ნოემბრიდან.
ლექციებისა და პრაქტიკულ მეცადინეობის ცხრილები და აგრეთვე სტუდენტთა შემადგენლობის ჯგუფობრივი დაყოფის სიები გამოკრულია უნივერსიტეტის შენობაში განცხადებების დაფაზე და აგრეთვე გადაცემული აქვთ კურსკომებს.
ყველა სამხედრო საგნების პროგრამები გამომუშავებულია სამეცადინო ცხრილის საერთო მიღებულ ფორმით და იბეჭდება ლიტოგრაფიაში, რის შემდეგ ყველა სტუდენტს შეუძლია შეიძინოს უნივერსიტეტის გამომცემლობის კიოსკში.
ამასთანავე ერთად განსაკუთრებით ვაქცევთ სტუდენტების ყურადღებას, რომ სამხედრო ლექციებზე და სემინარებზე დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.
თანახმად ს. ს. რ. კავშირის შრომის კომისარიატის ინსტრუქციისა 20—6—1927 წ. № 138, მუხ. 13, სამსახურში მყოფი სტუდენტებს, რომელთაც ეხება გასამხედროება, თავისუფლდებიან დაწესებულებიდან და წარმოებებიდან ყოველ სამოსწავლო კვირაში ორი საათით სამხედრო ლექციებზე დასწრების მიზნით.
თანახმად საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა 5—4 1928 წლის № 2 და ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისრის მომართვისა 18—4 1928 წ. № 77. და ამავე საკითხზე გამგეობის სათანადო დადგენილებისა, ის სტუდენტები, რომლებიც არ დაესწრებიან ხსენებულ ლექციებზე და სემინარზე, არ იქნებიან დაშვებული გამოცდებზე, როგორც სამხედრო აგრეთვე საერთო აკადემიურ საგნებში.
სამხედრო საგნების ლექციების და სემინარებიდან განთავისუფლებულნი არიან სამწყობრო და სათადარიგო მეთაურები.

ექიმი
დავით ლაზარეს-ძე თევზაძე
დაბრუნდა და განაახლა ავად. მიღება
სპეციალობა: ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
მიღება: საღამოს 5—7 საათ გარდა კვირა დღეებისა.
პონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის)—სოლოლაკში.
ტელ. 25—73. 25—14

აპოლო პრემიერა
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
დიდებით მოვაჭრენი
სოლეი
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
ანა სტენის, ა. სუდაკევიჩის, პოლის მონაწილეობით
მინიონი პრემიერა მხატვრ. ფილმი
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
უკანასკნელი ატრაქციონი
პუჟნაიას, როგოჟინის და საშინის მონაწ.
პალასი საზღვარგარეთის ახალი ნაწარმოები
1 ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.
შავი ციკლონი
არფასტო მეორე კვირა
1 ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
ზეროს ვაჟი
დუგლას ფერბენკსის მონაწ.
დარბაზი
1 ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.
კარმენ ბონი კომედიაში
ნამდვილი მამაკაცი
პროგრამის გარეშე: ცნობილი მომღერალი ქალის მარ-კნაბეს გასტროლები.
მალე განთქმული ფილმი ინჟინერი ელაგინი. 0-24

„მეჟრაბპომ-ფილმ"-ის ნაწარმოები
დღეს, პრემიერა!!
კინო-თეატრებში „აპოლო", სოლეი"
მხატვრული სურათი
დიდებით მოვაჭრენი
რეჟისორი: ლ. ობოლენსკი, ოპერატორი: ა. დორნი
მთ. როლებში: ანა სტენი, ა. სუდაკევიჩი, პ. პოლი, ვ. აქსიონოვი და ი. ვოლკოვი.
ნ 3240

ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის დირექცია
უკანასკნელად აფრთხილებს აბონემენტების პატრონებს, რომლებიც მორიგ შესატანი თანხას არ შეიტანენ მათი პირველი წარმოდგენის მომენტისათვის, მაგრამ არა უგვიანეს 6 ნოემბრისა, რომ მათი აბონემენტები გაიყიდება საერთო წესით, ამ აბონემენტებით არავითარ შემთხვევაში არ შეუშვებენ თეატრში და დირექცია არავითარ პრეტენზიებს არ მიიღებს ამის გამო.

ექიმი
ს. ანდრეევა
განაახლა შინაგან ავადმყ. მიღება სპეც. სახსრების და ჯირკვლების დაავადება (ტუბერკულიოზი), საღ. 6—7 ს. ელბაქაძის დაღმართი 29, (ცირკის პირდაპირ) ტელ. 11—78.

ექიმი
კ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი. 1—90. 25—3

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვა
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე საღამოს 5—8 საათამდე.
კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 3319 13—8

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ ის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01. 25—12

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება. შინაგანი სნეულებანი— სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა.
ბროსეს ქ. № 7 (მე-3 საბჭ. აფთიაქის გვერდით)

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად მკურნალობს სიფილისს, კანის და ვენერიულ ავადმყოფობას.
მიღება დღის 2 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქუჩა, № 35, ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან. 25—1

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. კონტოროვიჩისა
ფრეილიხის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—12

კბილის ექიმი
ი. გ. ხარებავა-ბაქრაძე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმობა, პლომბები, ყოველი ფორმის ხელოვნური კბილები.
სნეულ კბილების ამოღება უმტკივნეულოდ. კლარა ცეტკინის (ყ. ელისაბედის) ქუჩა, № 117. 25—7

ექიმი
ა. დ. პეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67 25—1.

კინო-დარბაზში
დღეს და ყოველდღე
მოსკოვის ცნობილი მომღერალი ქალის
ს. პ. მარ-კნაბეს
გასტროლები ყოველ სეანსის შემდეგ
ეკრანზე საუკეთესო კომედია
ნამდვილი მამაკაცი
კარმენ ბონის მონაწილეობით,
პირველი სეანსის დასაწყისი საღამოს 6 ს. 15 წ.
ნ. 3241

საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება
აცნობებს თავდაცვა-ავიაქიმის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს და მის უჯრედებს, საწარმოთა და დაწესებულებათა ადგილკომებსა და ფაბქარხკომებს, რომ იგი ავრცელებს ჟურნალ „ავიაქიმელ"-ს პრემიებით, აგრეთვე რუკას „შეიარაღებული მსოფლიო" მასთან დართულ დიაგრამით „მსოფლიოს შეიარაღებული ძალები". ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართოთ საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების გავრცელების განყოფილებას—საწარმოო - სავაჭრო — მიმწოდებელ სექტორს. შუა ბაზარი № 8. ნ. 3231 2—1

ექიმი
პ. ს. ფონ-ირეცელი
პლეხანოვის პროსპ., № 10).
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცების და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—6

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
იღებს: დილ. 8—9 საათ. საღ. 6—8 საათ. ნაშუად. 4—5 ს. მხოლოდ ქალებს.
მისამართი: კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდიმთავრის) ქუჩ. ქალაქის მეორე საავადმყოფოს პირდაპირ. 25—4

დაიწყო მიღება
ექ. **მ. ო. ზანდუკელი**
შინაგან და ნერვიულ სნეულებათა ელექტროსინათ. სამკურნ. კაბინეტი
იღებს საღამოს 7—8 საათ. ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11. ტელ. 4—82. 25—15

თვალის ექიმი
მ. ორლოვსკაია
თვალის ოპერაციები და სათვალეების შერჩევა
ღებულობს დილის 9-დან 12 საათამდე და საღამოს 5-დან 7 საათამდე.
ამოს (ყოფ. ქსენიას) ქუჩა, № 9. 25—5

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ელსმენი № 15—02. 3086 25—31

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
მიღება დილით: 7—8 საათ. საღ. 6—8, 5—6 ქალების.
მარტის ქ. № 6 (ყ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან. 25—4

ექიმი-ტერაპევ
დ. ე. პაპიტაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება: შინაგანი სნეულებანი, სპეც. კუჭ-ნაწლავების და ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის დაავადებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე 5—7 საათამდე, კრილოვის ქ. № 8. 25—5

ექ. **თოდაძე**
დაბრუნდა
სპეციალ. ქირურგია და უროლოგია. თირკმელების, ბუშტის და სასქესო ორგანოების დაავადებანი. ბელგიის ქ. № 1. 4—6 საათამდე 3080 25—20

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 4 მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

მიხა ცხაკაიას სახელობის
ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი
(ლენინის ქ. № 49)
მკურნალობის ყოველგვარი ფიზიკური მეთოდები: ელექტრონი, ტალახით, წყლით, სინათლით მკურნალობა, მექანოთერაპია, რენტგენო-რადიოთერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა.
მკურნალობა ამბულატორული და სტაციონარული.
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე კვირა-უქმე დღეების გარდა დილის 10 საათიდან 1 საათამდე.
შინაგანი (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა ცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობანი, რევმატიული დაავადებანი და სხვ.), ნერვიული და ქალთა ავადმყოფობანი.
ავადმყოფების ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.
ფასიან ავადმყოფების მიღება. მკურნალობის პირობების შესახებ ცნობების გაცემა ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87. ნ. 3303.

საბჭოთა აპარატის გამწმენდი თბილისის საოლქო კომისია
აცხადებს ქალაქ თბილისის მოსახლეობის საყურადღებოდ, რომ ა.წ. 1 ნოემბერს, მუშათა ცენტრალურ კლუბში, პლეხანოვის პროსპექტი, № 123, დაიწყება
თელასის აპარატის წმენდა
წმენდა იწარმოებს საღამოს 5 საათიდან 10 საათამდე. გამწმენდი კომისია სთხოვს ყველა მოქალაქეს, ვისაც აქვს თელასის აპარატის მუშაკთა საწინააღმდეგო განცხადება, წერილობით წარუდგინოს კომისიას.
ნ. 3232 2-1 აპარატის გამწმენდი საოლქო კომისია.

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.
— საგარეთუბნო ბილეთი № 711 და პირადობის მოწმობა—გიორგი გიგუაშვილის სახელზე. 3683
— განათლების მუშ. კავშ. საწევრო წიგნაკი ისააკ იოსების-ძე ძებისაშვილის სახელზე 3685
— ატესტატი № 153, გაცემული სოფ. როხის სოფ. ახალ. სკოლის მიერ, ნოე კაცაძეს სახელზე. 3685
— მეტრიკული ამონაწერი № 459, კავშირის წიგნაკი № 678 და სიმწიფის მოწმობა № 358 შალვა ჯახუტაშვილის სახელზე. 3685
— სამხედრო მოწმობა - გიორგი ზაქარიას-ძე გოგოსაშვილის სახელზე. 3992
— პურის წიგნაკი—სოფიო პეტრეს ასული ეგიკოვას სახელზე. 3993
— პურის წიგნაკი—ნინო ორჯონიკიძეს სახელზე. 3995
— კოოპერატივის წიგნაკი № 4010, გაცემული ქუთაისის მუშკოოპის მიერ, გრიგოლ ტარასის-ძე ყუბანეიშვილის სახელზე. ნ. 3236
— პირადობის მოწმობა № 29, და საწევრო წიგნაკი № 137—პავლე ილიტეს ძე ებანოიძეს სახელზე. ნ. 3237
— პირადობის მოწმობა, გაცემული ქართ. საარტ. ლეგიონის მიერ და პარტკანდიდატობის ბილეთი № 1595—მინა ნიორაძეს სახელზე. 3996
— სამხედრო პირადობის მოწმობა, პროფკავშირის წიგნაკი № 5461 და მუშათა კლუბის წიგნაკი მიხეილ სვანიძეს სახელზე. 3997
— „ზაკპოს" წიგნაკი № 22010 - შაქრო ოხანაშვილის სახელზე. 4000
— კავშირის წიგნაკი № 13/12367—პეტრე საყვარელიძეს სახელზე. 3998
— მეტრიკული ამონაწერი ნიკოლოზ ქავთარაძეს სახელზე. 3999

ტირაჟი—42.905
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამის ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904